მაია ბურჭულაძე

თოხთამიშის მახვილი

მეცხრე დეტექტური რომანი ციკლიდან `დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში~

ვოვა აზნაუროვი მანქანაში იჯდა და შეფს ელოდა. შეფი ქალთან იყო. ქალი რვასართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა _ ბინაში მწვანე ფარდებით. უწინ ვოვას ეგონა, რომ ქალისთვის მთავარი სილამაზეა. მას შემდეგ, რაც შეფის საყვარელი გაიცნო, აზრი შეიცვალა. თურმე, შესაძლებელია იყო ლამაზი, მაგრამ მაინც უდაბნოს კაქტუსს ჰგავდე.
შეფიც აკვირვებდა, რაღა?! იმ ქალისგან ისეთი ფიზიონომიით გამოდიოდა, თითქოს დაკონსერვებული ბადრიჯანი შეჭამა, ახლა კი კუჭს აყურადებს: მაწყენს თუ შემერგებაო? დალოცვილო, თუ გულით ჭამ _ შეგერგება, თუ არა _ ფაღარათი გარანტირებული გაქვს. სექსის ამბავში დაძალება სადაური წესია? გაკვეთილი ხომ არაა, მასწავლებელს ჩააბარო?! ქალების მეტი რა ყრია, რომელი ჭკუათმყოფელი გეტყვის უარს პარლამენტარ კაცს?!
შეფი ზუსტად დათქმულ დროს გამოვიდა სადარბაზოდან. ზუსტად ისეთი მჟავე გამომეტყველებით, როგორც მძღოლი ვარაუდობდა.
_ პარლამენტში? _ ჰკითხა მოწიწებით.
შეფმა უსიტყვოდ დაუკრა თავი. დანიშნულების ადგილამდე სულ რაღაც ხუთი წუთი იყო დარჩენილი, როდესაც შეფმა მოულოდნელად ენა ამოიდგა:
_ თხოვნა მაქვს შენთან. კონფიდენციალური.
ვოვას გაუკვირდა, თუმცა მზადყოფნით დაუქნია თავი. შეფი სიტყვაძუნწი კაცი იყო, ამინდზე ვერ ჩამოუგდებდი სიტყვას, ახლა კი _ კონფიდენციალურიო. უკვე საინტერესოა.
_ ისეთი დელიკატური საქმეა, არც ვიცი საიდან დავიწყო... _ შეფმა ყოყმანით ჩაახველა. _ მოკლედ, ერთი ადამიანის თვალთვალი მინდა დაგავალო.
_ ვახ!
_ `ვახ~ როგორ გავიგო? ხო თუ არა?
_ ხო, შეფ, ხო! მაგაზე ადვილი რა არის?!
ვოვას გაუხარდა. მანქანაში უაზრო ყურყუტს, თვალთვალი როგორ არ ჯობს! ვითომ ჯაშუში ხარ. მაგალითად, შტირლიცი! ვოვას მეხსიერებაში კალეიდოსკოპური სისწრაფით ამოტივტივდა კადრები კინოფილმიდან `გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება~: `ესესის~ ოფიცრები კოკარდიანი ქუდებითა და გალიფე შარვლებით, შამპარავი შელინბერგი, ცინიკური გერინგი, ისტერიკული ადოლფი... ვახ!

_ ისეთი ადვილიც არ არის, შენ რომ გგონია. არ უნდა შეგნიშნონ.
_ ვა, თუ შემნიშნეს, ეგ რაღა შპიონობა გამოვა?!
_ საიდუმლოს შენახვა იცი?
_ კაცს თუ სიტყვა მივეცი, აი, სუ რო ფეხით დამკიდონ, არ გავთქვამ. _ ვოვამ მეტი დამაჯერებლობისთვის გულში მჯიღი იკრა.
შეფს ცალყბად გაეღიმა:
_ იმედია ფეხით არავინ დაგკიდებს. სათვალთვალო ობიექტი... მმმ... მდედრობითი სქესისაა.
_ ქალი?
_ ჰო, ახალგაზრდა ქალი. 25 წლამდე.
_ პარტიული მუშაკი? _ ხმადაბლა, მაგრამ პატივისცემით იკითხა ვოვამ. უახლოესი წარსულიდან გამომდინარე, პარტიული მუშაკი მისთვის სოლიდურ გვამებთან ასოცირდებოდა. სამი წელი ატარებდა ცეკას მაღალჩინოსანს, უფრო სწორედ, მის ცოლ-შვილსა და სიდედრს. შარშან მომკვდარა საწყალი. გულით. ვოვამ გაზეთებიდან შეიტყო, თორემ პანაშვიდზე მაინც მივიდოდა.
შეფმა წაუყრუა. მძღოლი არ ჩასციებია _ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

_ _ _

ტყეში ხეტიალით დაღლილი სესილი ბებერ მუხასთან შედგა და მოწყვეტით დაჯდა მიწაზე. სიმძიმის ქვეშ გამხმარი ფოთლები მეგობრულად ახრაშუნდნენ, თითქოს მართლა ეტკინათ ჭკნობაშეპარული გვერდები.
სესილმა ხარბად შეიყნოსა შემოდგომის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი. წელიწადის ეს დრო პირდაპირ ნირვანაში აგდებდა. სადაც გაიხედავ თვალში გხვდება ორიგინალურად დაგრეხილი ტოტი ან ნიადაგიდან ამოყრილი ფესვი _ შესანიშნავი მასალა აქსესუარების დასამზადებლად. ხისგან სხვადასხვა ფიგურების კეთება იყო სესილის ჰობი, რომელმაც კომერციულადაც მომგებიანი აღმოჩნდა. ერთია, როცა საკუთარი სიამოვნებისთვის ირჯები, სულ სხვაა, როცა შენს ნაცოდვილარს ვიღაც ყიდულობს. ე. ი. ტყუილუბრალოდ არ გიშრომია. ყველა ვერ ახერხებს სასარგებლოს სასიამოვნოსთან შეთავსებას. მან ეს მოახერხა. ყოველ შემთხვევაში, ფიგურებთან მიმართებაში. რადგან იყო დრო, როცა არანაკლები ენთუზიაზმით წერდა სტატიებს, რომლებშიც კაპიკებს უხდიდნენ, მაგრამ მაინც წერდა. ხელოვნებათმცოდნე იყო და მოსწონდა თავისი პროფესია. გულურყვილოდ ეგონა, რომ ვიღაცას მართლა აინტერესებს ევფრატის წყლებში ჩაძირული ანტიკური ქალაქი. მერე ინერციით წერდა, მერე კი მიხვდა: დრო ეხარჯება, ფული კი კატასტროფულად აკლდება. ძნელია მშიერ კუჭზე დედალოს-იკაროსიან ფრესკებზე ფიქრი და მერე ამ ფიქრის ქაღალზე გადატანა. მე შენ გეტყვი, ზურგს უმაგრებდა ვინმე...
სესილის მამას, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს ინალ არჩაბაძეს იმ მომენტში დაარტყა ინსტულმა, როცა საკუთარი სახლის აივნიდან ცეცხლში გახვეული სოხუმი დაინახა. წლისთავზე დედაც მიჰყვა. თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი სესილ არჩაბაძე მარტო დარჩა. ის მიეჩვია ცხოვრებას მშობლების გარეშე, სოხუმის გარეშე, ჭიშკართან აყუდებული თავქოჩორა პალმების გარეშე... მას მერე წლები გავიდა. სესილი გათხოვდა, გამოთხოვდა და ისევ მარტო აღმოჩნდა. ჯერჯერობით უძლებდა. ალბათ, გაძლებაზე იყო აცრილი.
ფიგურების ნაირსახეობით კოჯრის ტყე უნიკალურია. ქალაქთანაც ახლოა, ტრასაც ორ ნაბიჯზეა. სესილმა საკუთარი ხელით შეკერილი ჯვალოს ტევადი ზურგჩანთა მოიხსნა და მთელი დღის `ნაალაფარი~ მიწაზე გადმოაპირქვავა. მარტო ამ მომენტისთვის ღირდა ამდენი ხეტიალი...

გრძელი დაკოჟრილი ფესვი მოხუცის ვარიკოზით დაავადებულ ფეხს ჰგავდა, სპირალივით დაკლაკნილი ტოტი ბოლოში გაფართოებული წამონაზარდით _ კაპიუშონიან კობრას... ამისგან კი ზღაპრული ფრინველის გაკეთება შეიძლება. მაგალითად, ფასკუნჯის. თვალების ნაცვლად მალაქიტის ქვები წავა. სულაც ზღვის კენჭები. მერედა რამდენი აქვს?... შარშან ჩამოიტანა მწვანე კონცხიდან. სხვები რომ მზეზე ირუჯებოდნენ, ეს კენჭებს დაეძებდა, ნატვრის თვალივით. კიდევ კარგი მატარებელში ვიღაც თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, თორემ რა მიათრევდა ერთ ჩემოდან ქვას ტაქსიმდე?!
თაყვანისმცემლები სესილს არ აკლდა, მაგრამ რაოდენობა სულაც არ ნიშნავს ხარისხს. ბოლო დროს ყოფილი ქმარიც საეჭვოდ გააქტიურდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ ის ჯერ კიდევ სასურველი ქალია და არა წეღან მოწონებული ვარიკოზიანი ფესვი.
`ცოტას დავისვენებ და წავალ~, სესილმა ფოთლებზე დაწვა და სხეული მოადუნა. მიწის გრილმა ამონასუნთქმა მოთენთა და ძილი მოჰგვარა. უცებ თვალები ჭყიტა: ცის ფონზე მუქად გამოიკვეთა საინტერესოდ დაგრეხილი ტოტი. სესილის ფანტაზიამ წამში დახატა ორიგინალური კომპოზიცია. მაგალითად, ვედრებით გაწვდილი ხელები. აჟიტირებული წამოხტა. ის ტოტი არ დაითრიოს!
ხე იმაზე მაღალი და უხვტოტიანი აღმოჩნდა, ვიდრე ქვევიდან ჩანდა. არც სანუკვარი `ხელი~ იყო მანცდამაინც ერთი ხელის გაწვდენაზე. ტოტებზე გაბოტილი სესილი საყრდენის ძებნაში აკრობატივით ლაყლაყებდა და ქოშინით მიიწევდა წინ. უფრო სწორედ, მაღლა.
 აი, ისიც. სანუკვარი ტოტი. ახლოდან დიდი არაფერი, მაგრამ სახლში მოარჯულებს. სესილმა საჯდომი დააფიქსირა და ის იყო ჯაყვა დანა მოიმარჯვა, რომ შორიდან მოგუდული ხმები მოესმა.
ტყის სიღრმისკენ ორი მამაკაცი მოაბიჯებდა. ტოტებს შორის კრთოდა ერთის ხაკისფერი ქურთუკი და მეორეს ჯინსის პანამა. არ ჰგავდნენ ბოროტმოქმედებს, მაგრამ სესილმა გადაწყვიტა, რომ სიფრხილეს თავი არ სტკივა. სჯობს, არ შენიშნონ.
ბედის ირონიით კაცები ზუსტად იმ მუხის ძირში შედგნენ, სადაც შემოქმედებით წერას ატანილი სესილი შესკუპულიყო, ქამრებს დაეჯაჯგურნენ და არც მეტი, არც ნაკლები _ მოშარდვა დაიწყეს.
სესილმა თვალები დახუჭა, სუნთქვა შეიკრა, მაგრამ ყურებს ვერაფერი მოუხერხა. ხმელ ფოთლებზე აჩუხჩუხებული სითხე ვერაფერი მოსასმენია, მით უფრო, რომ ხუთი წუთის წინ იმ ფოთლებზე შენ ნებივრობდი.
_ მაყუთი უნდა დააწერო, ძმაო, მაყუთი. აი, ჩემი რჩევა. პატარაზე თუ მიაშანტაჟებ, ყველაფერზეა წამომსვლელი.
სესილმა ზევიდან ჩამოხედა. ძველბიჭურად მეტყველი სუბიექტი ხაკისქურთუკიანი აღმოჩნდა.
_ გამორიცხულია, არ შემერგება ეგ ფული. _ მშვიდად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე უპასუხა პანამიანმა.
_ ისე შეგერგება, მზე მაღლა იქნება!
_ მზე ალბათ იქნება, მაგრამ მე თვალს ვერ გავუსწორებ.
_ ვითომ რატომ?
_ სინდისი შემაწუხებს.
_ მე შენც ფული დაანახე მაგ შენს სინდისს და ეგრევე ზადნის მისცემს.
_ არა. სამუზეუმო ექსპონატი მუზეუმში უნდა ინახებოდეს და არა ვიღაც სოლომონ დვალის კერძო კოლექციაში. დამნაშავე კი უნდა დაისაჯოს.
_ შენ რა კომკავშირელივით ბაზრობ?
_ წესიერი კაცივით. _ მოუჭრა პანამიანმა და უცებ მიწაზე დაგდებული ზურგჩანთა შენიშნა. _ ეს რა არის? _ იკითხა დაინტერესებულმა.

_ ეე, ნაღმი არ იყოს, ხელი არ ახლო, ბიჭო!
_ ტყეში ნაღმს რა უნდა, ვინ უნდა ააფეთქონ? ტერაქტი მეტროში გამიგია, თვითმფრინავში...
ქურთუკიანმა, ყოველ შემთხვევაში, ორი ნაბიჯით დაიხია, სესილმა კი საკუთარი სახელი გაიგონა. ის პანამიანმა ამოიკითხა მის ხელჩანთაზე. სესილს ჩვევად ჰქონდა თავის ნახელავზე სახელის ამოქარგვა. ბრენდის ამბავში.
_ რანაირი სახელია?... სესილი. _ გაუკვირდა ქურთუკიანს.
_ მშვენიერი ფრანგული სახელია.
_ მოდაში აღარ არის, თორემ ისე რა უშავს.
_ ეგრე, არც ავთოა მოდაშია. _ ჩაიცინა პანამიანმა.
_ სანამ ქართველობა იარსებებს, ავთანდილი და ტარიელი ვეჩნად მოდაში იქნება.
_ და ჩიორას რატომ გეძახიან?
_ უბანში შემარქვეს. ბავშვობაში მობუზული დავდიოდი ხოლმე. ჩიტივით.
_ ახლაც მობუზული ხარ. გცივა?
_ ისე რა...
_ დავიძარით, თორემ ექვსზე გადაღება მაქვს, _ თქვა პანამიანმა და დაწინაურდა. ქურთუკიანიც გაჰყვა.
სესილმა შვებით ამოისუნთქა. როგორც კი უცნობები თვალს მიეფარნენ, მონიშნულ ტოტს წაეპოტინა, მაგრამ გასროლის ხმამ ადგილზე გააშეშა.
პირველს მეორე გასროლა მოჰყვა.
სესილი ხის ტანს ჩაეხუტა და გაირინდა. ვერც იგრძნო, როგორ გაუსხლტდა ხელიდან დანა. აქ, მისგან სულ რაღაც ორ ნაბიჯში, სავარაუდოდ, მკვლელობა მოხდა! თუ კაცებმა წაიმეტიჩრეს და ჰაერში ისროლეს? თუ ასეა, რატომ არ ისმის მათი თავმომწონე შეძახილები?... არა, მკვლელობას ჰგავს... ის კი ცოცხალი მოწმე გამოდის. ცოცხალ მოწმეს მიწიდან ამოიღებენ თუ ხიდან ჩამოხსნიან, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ნებისმიერ შემთხვევაში, სიკვდილი არ აცდება.
ყურს მანქანის ძრავის ბღუილი მიწვდა. მერე სიჩუმე ჩამოწვა, როგორც გამოქვაბულში. თითქოს ყველაფერი გაქვავდა _ მიწაც, ცაც, ფოთოლიც, ხეზე გარინდული სესილიც... სადღაც ახლომახლო ჩიტმა გაიფრთხიალა. ბუნება მოძრაობაში მოვიდა და სესილსაც რეალობის შეგრძნება დაუბრუნდა. ავტოპილოტზე მომართულივით ჩამოძვრა ხედან, ზურგჩანთას ხელი დაავლო და სავარაუდო ბოროტმოქმედების ადგილისკენ წალასლასდა, იმ იმედით, რომ ეს ყველაფერი მოეჩვენა.
სამწუხაროდ, შეცდა. პანამიანი პირქვედამხობილი ეგდო შეყვითლებული ფოთლების ხალიჩაზე. სისხლიანი პერანგი თავისთავად ცხადყოფდა, რომ ზურგიდან ესროლეს. მერე კი საკონტროლოც დაახალეს. კეფაში.
სესილმა შინაგან ცახცახს სძლია და პანამა გადასწია.
სადღაც უნახავს ეს სახე, ოთხკუთხა ნიკაპი, ძვლოვანი სწორი ცხვირი... `ექვსზე გადაღება მაქვს~. გონებაში მისი უკანასკნელი სიტყვები ამოტივტივდა. ჟურანალისტია, გაიფიქრა თავზარდაცემულმა. ტელეკომპანია `ტვ-21~-ის ჟურნალისტი ბაჩა ქორქია!

_ _ _

სოლომონ დვალი, იგივე სოლო, საკუთარ გალერეაში იჯდა და ყურადღებით უსმენდა ავთო გაბედავას, იგივე ჩიორას. ვიტრაჟიდან მოჩანდა ძველი თბილისის ვიწრო ქუჩა, ლურჯი სახლი აჟურული აივნით, კაფე ღია ცის ქვეშ... კაფეში ახალგაზრდები ლუდს სვამდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ, საღეჭ რეზინებს ბუშტავდნენ, უწმაწურ სიტყვებს ისროდნენ...

სოლომ მათ კამპანიაში თავისი ერთადერთი ქალიშვილი, მერიკო წარმოიდგინა და წინასწარ გაბრაზდა. კიდევ კარგი, მერიკო სხვანაირია. არ ჰგავს ამ უტვინოთა, უსახოთა, უსაქმოთა პოპულაციას.
მერიკო წიგნის ჭია იყო, მამასავით. მაკა, სოლოს ცხონებული ცოლი, მხოლოდ ყვითელ პრესას კითხულობდა. წიგნი ძილს გვრიდა. საკმარისია ერთი აბზაცი წაეკითხა, რომ თავისით ეხუჭებოდა თვალები. ეტყობა, მისი ორგანიზმი ქვეცნობიერად აპროტესტებდა ინტელექტის მიწოდების ნებისმიერ მცდელობას. სამაგიეროდ, ლამაზი იყო. კრიალა თეთრი პირისკანი და სოფი ლორენის ვნებიანი ტუჩები ჰქონდა. თავის დროზე სოლოს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მისი გულის მოსაგებად. ჯერ მხოლოდ ურიცხვი თაყვანისცემლების მოშორება რამდენი მუშტი-კრივის ფასად დაუჯდა! სხვა საკითხია, რამდენად უღირდა თავის გამოდება ქალისთვის, რომელიც დროთა განმალობაში ისეთივე უინტერესო გახდა მისთვის, როგორც შარშან შესმული ღვინო.
ჩიორამ მოყოლა დაასრულა და სოლოს მზერას თვალი გააყოლა. ლუდი ინატრა. ცივი. დიდი კათხით.
_ ხომ არ იჩქარე? _ ჩვეული, დამცინავ-მედიდური მანერით ჰკითხა სოლომ.
_ არა. _ თავდაჯერებულად გაეპასუხა ჩიორა. _ არ იყო ეგ ბიჭი დათმობაზე წამომსვლელი. კაცი თუ მაყუთზე ვერ წამოიკიდე, ტყვია უნდა რეკო შუბლში და მორჩა ბაზარი!
_ არ ვიცი, არ ვიცი...
_ ხვალ-ზეგ სიუჟეტს გააშანშალებდა და მერე ამტკიცე რამდენიც გინდა: აქლემი არ ვარო!
_ ხოოო... ეგეც მართალია.
_ მე სხვა რამ მაშინებს... _ ჩიორამ ყოყმანით მოიფხანა მოგრძო, ჭორფლიანი ცხვირი. _ პროკურატურა თუ დაინტერესდება გამქრალი ექსპონატით, მერე სად მიდიხარ?
_ ევას პავაროტში. _ მოუჭრა სოლომ. _ არაა შენი საქმე.
ჩიორა აილეწა. ამ უმადური გალერეისტის ხათრით სიცოცხლით სავსე ბიჭი ტახივით გააგორა, ეს კი პასუხს ამადლის. მართალია, სანქცია ჟურნალისტის მკვლელობაზე სოლოს პირდაპირი ტექსტით არ გაუცია, მაგრამ ჩიორა სიტყვიერი დასტურის გარეშეც ხვდებოდა პატრონის ფარულ ზრახვებს. ჩვენში რომ დარჩეს, არც დვალების ოჯახის პროდუქტებით მომარაგებას აძალებდა ვინმე, არც მერიკოს მწყემსვას, მაგრამ აკეთებდა! თავს მოვალედ თვლიდა და იმიტომ. ეტყობა, მხოლოდ ის `თვლიდა.~ სოლო ჩიორას თავადის კარზე მომუშავე ხელის ბიჭად აღიქვამდა, რომელიც შეთავსებით კილერად მუშაობს. ნაპატიმრალს მეტი არც მოეთხოვება.
_ ნუ დაიბოღმე, საწყენად არ მითქვამს. _ უკან დაიხია სოლომ და შემრიგებლურად გაუღიმა.
_ არც მე მომიკლავს გასართობად. _ ჩაიბურტყუნა ჩიორამ. _ სიტუაციით ვისარგებლე. კაციშვილმა არ იცოდა ვის შეხვდა და რა მიზნით.
_ და ასე, ცხვარივით გამოგყვა კოჯორში?
_ ახალგორის ექსპედიციის ერთ-ერთ მონაწილესთან შეხვედრას დავპირდი. სიხარულით ჩამიხტა მანქანაში...
_ ტრასიდან ხომ არ დაგინახა ვინმემ?
_ ისეთ ადგილას მივაყენე მანქანა, გამორიცხულია.
_ სროლის ხმას ვერ გაიგებდნენ?
_ ჩიტები კი, სხვა ვერავინ.
_ დარწმუნებული ხარ? _ ჩააცივდა სოლო.
_ პრინციპში, კი.
_ `პრინციპში~ რას ნიშნავს?
_ ერთი პატარა ნიუანსი იყო, არც ვიცი, ღირს თუ არა...
_ ღირს.

_ ხის ძირში, საცა მივაფსით, ზურგჩანთა ეგდო. რაღაც ხარახურა ფესვებით შიგ ... ბაჩამ, მხატვარს დარჩებოდაო. დარჩა და დარჩა. მეთქი, რაში მაინტერესებს?! მაგრამ უკანა გზაზე დავეჭვდი: ვაიდა, იმ ჩანთის პატრონი სადმე ტყეში ტრიალებდა და ყველაფერი დაინახა? დავბრუნდი. ტყეს სხვა მხრიდან მოვუარე. ფრთხილად ვმოძრაობ. გარშემო ისეთი სიჩუმეა, ბუზის გაფრენას...
_ გაფორმების გარეშე. მოკლედ.
_ მოკლედ ისაა, რომ ზურგჩანთა აღარ დამხვდა ადგილზე. _ გამოტყდა ჩიორა.
_ გვამი?
_ გვამი იყო. ალბათ, პოლიციაც. შორიდან სირენის ხმა გავიგე და ეგრევე მოვტყდი.
_ მერე, ესაა `ნიუანსი~? _ იყვირა სოლომ და დასარტყმელად აღმართული ხელი ჰაერში გააშეშა.
არ შეიძლება ჩიორას ცემა. ჯერ ერთი ვერ მოერევა. მეორეც, ჩიორა მაკა არ არის, სახეზე ხელების აფარებას დასჯერდეს და გამძვინვარებულ ქმარს მომჩვარული სხეულის ჩაწიხვლის საშუალება მისცეს. ჩიორა ხელს შემოუბრუნებს, შეიძლება მოკლას კიდეც. არადა, მოენატრა... პირდაპირ ხელები ეფხანებოდა ვინმეს გასალახად. სამწუხაროდ (ან საბედნიეროდ), მაკა მკვდარია. სოლო კი უნდა დამშვიდდეს, პირს მომდგარი გინება უკან დააბრუნოს და პრობლემაზე კონცენტრირდეს.
_ გამოდის, პოლიციას ვიღაცამ შეატყობინა. და იმ ვიღაცას სრულიად შესაძლებელია დაენახა შენი, უფრო სწორედ ჩემი მანქანის მარკა და ნომერი. ასეა?
ჩიორა ნირწამხდარი ამოოხვრა თავისთავად ცხადყოფდა თანხმობას.
_ მოსაკლავი ხარ. _ კბილებში გამოცრა სოლომ.
_ იმედია, არ გამიმეტებ.
_ ვითომ რატომ?
_ ჩემზე ერთგული ადამიანი არ გეგულება დედამიწის ზურგზე და იმიტომ.
`სიმართლეს ამბობს, ძაღლისშვილი~, გულში დაეთანხმა სოლო, მაგრამ რა თავში იხლის ერთგულებას, თუკი კვალი მასთან მივა? ნებისმიერ შემთხვევაში, ამ საქმის ნებაზე მიშვება არ ივარგებს.
_ ის ქალი უნდა გავშიფროთ. _ ფიქრებს მიუხვდა ჩიორა.
_ ვინ ქალი?
_ მოწმე.
_ რა იცი, რომ ქალია? ნახე?
_ ნახვით არ მინახავს, მაგრამ სახელი ვიცი. სესილი ჰქვია.
_ ?
_ ზურგჩანთაზე იყო ამოქარგული. და კიდევ... _ ჩიორამ ქურთუკის ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო და სოლოს გაუწოდა. _ მეორედ რომ მივბრუნდი, მიწაში დამხვდა ჩარჭობილი. იქამდე არ იყო. ასიანი.
სოლომ დანა ჩამოართვა და ყურადღებით დაათვალიერა. ჩვეულებივი ჯაყვა იყო, შინდისფერი ტარითა და გვარიანად დაკაწრული პირით.
_ ხეზე იჯდებოდა. _ დაასკვნა სოლომ.
_ ვინ?
_ ქალი, სახელად სესილი.
_ რომელ ხეზე?
_ რომელსაც შენ და იმან... იმ უბედურმა ბიჭმა მიაფსით.
_ ხეზე რა ჩემი ფეხები უნდოდა?
_ აკი ფესვები ედო ზურგჩანთაში?!
_ ფესვებს ხის კენწეროში ეძებდა, ტო?
_ ტოტებს ეძებდა, შე გოიმო, ორიგინალურ ტოტებს, ლოკოკინებს, გირჩებს...

_ ეხლა არ მითხრა ლოკოკინა რაღაც შეხებაშია ხელოვნებასთანო! _ ჩიორამ ანაშით შეკეთებული ტარიანი გააძრო და მუდარით შეხედა სოლოს. _ მოვწევ რა, თორემ ნერვი აღარ შემრჩა მთელი...

_ დაბოლილი თუ წახვედი საქმეზე, იმიტომაც მოგივიდა იაღლიში.

_ ბოიშვილი ვიყო მარტო სტრესის მოსახსნელად ვეწევი ხოლმე.

სოლომ ხელი ჩაიქნია, ჩიორამ საქმიანად მოუკიდა ტარიანს.

_ იფ, იფ... ახლა შეგვიძლია ხელოვნებაზეც ვიბაზროთ... პარდონ, ვიბაასოთ, შენ ხარ ჩემი ბატონი. არა, მართლა მაინტერესებს, რა შეხებაშია ლოკოკინა ხელოვნებასთან?

_ ხელოვნებასთან შეხებაშია ყველაფერი, რაც ხელოვანს, ამ შემთხვევაში მხატვარს, თვალში მოუვა. _ სოლომ ზურგსუკან სტენდზე ანიშნა, სადაც თავს იწონებდა ორიგინალური კომპოზიცია: გაყვითლებულ-გაფშიკინებული გაზეთის ნაგლეჯი, აკვარელის საღებავით დახატული მამაკაცის ტორსი, მავრთულის ხვია, თოჯინის ფეხი, ნახევრადმოწეული სიგარა და ავტორის ფრთიანი ხელმოწერა. _ შენი აზრით, ეს რა არის, ავთანდილ?

_ მარაზმი. _ გულწრფელად უპასუხა ჩიორამ.

_ ხალხი ყიდულობს ამ `მარაზმს~, ოღონდ სხვა რამეს ეძახის. ავანგარდისტულ ხელოვნებას.

_ რომ მაჩუქონ, არ მინდა.

_ კიდევ უფრო დიდი მარაზმია, მყიდველი რომ ჰყავს ამ... ამ შემოქმდებით აღვირახსნილობას. _ სოლო უცებ დასერიოზულდა. _ აქეთ მოიხედე, ჯიგარო, დავალება უნდა მოგცე.

ჩიორამ მოდუნებული სხეული გამართა და ერთგულად მიაჩერდა თვალებში.

_ იმ სესილის კოორდინატებს დამიდგენ. დაიწყებ სამხატვრო სალონებით, სადაც იბარებენ ხისგან დამზადებულ კომპოზიციებს. თუ მართლა მხატვარია, ეცოდინებათ. ნივთმტკიცებად დანასაც გაიყოლებ, რეაქციას დააკვირდები და იმის მიხედვით იმოქმედებ.

_ _ _

კონსპირაციის მიზნით ვოვა აზნაუროვი თავის წინაისტორიულ `ჟიგულს~ მოაჯდა, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იყიდა და რომელიც ჯერაც სუნთქავა. შეფმა საწვავის ფული ჩაუთვალა და ნანახისა და მოსმენილის აღნუსხვა მოთხოვა. ობიექტის გამოჩენის მოლოდინში ვოვამ მოუსმინა სამ სიმღერას, მოსწია ორი ღერი სიგარეტი, სახლში დარეკვაც მოასწრო, და როცა იფიქრა, არც ისეთი საინტერესო ყოფილა ჯაშუშის პროფესიაო, ობიექტიც გამოჩნდა: საკმაოდ სიმპათიური ქალიშვილი ბიჭური ვარცხნილობითა და მაღალყელიანი ბოტასებით. სულ არ ჰგავდა პარტიულ მუშაკს. ის ჰგავდა სპორტსმენს, რომელსაც ეს-ესაა დაიპყრო საოცნებო მწვერვალი. თვალებიც რაღაცნაირი ჰქონდა: ნათელი, სხვიანი დ გაკვირვებული.

რა საერთო უნდა ყოფილიყო მუდამ გაწკეპილ შეფსა და ამ ტურისტივით გამოწყობილ გოგოს შორის?

ობიექტმა მიკროავტობუსი გააჩერა, სანაპიროზე ჩამოვიდა და ყოჩაღად აუყვა შარდენის ქუჩისკენ ამავალ კიბეებს.

ვოვამ ძლივს მოასწრო თავისი დაფეხვილი `ჟიგულის~ დაბინავება და თავპირისმტვრევით დაედევნა. ობიექტი შორს არ წასულა, ვიწრო შუკაში, რომელიღაც შემინული კარი შეაღო და შიგ გაუჩინარდა. ვოვაც მიჰყვა, მაგრამ კარს იქით ერთი ხელის დადება სახელოსნო აღმოჩნდა. დამთვალიერებელს იქ არაფერი ესაქმებოდა. ვოვამ მიიხედ-მოიხედა და სამხატვრო გალერეაში შეაბიჯა. აქედან კარგად ჩანდა

სახელოსნიც და იქ მყოფი ობიექტიც, რომელიც აქტიური ჟესტიკულაციით რაღაცას უხსნიდა ულვაშიან ხელოსანს.
ვოვა პატივისცემით მიაჩერდა გალერეის კედლებზე გაკრულ
პანოებს. განსაკუთრებით ერთმა მოხიბლა, მწუხარესახიანმა ქალმა მუჭისხელა ძუძუებითა და ფოთლებით შემოსილი მკლავებით.
`დაფნე~ _ ეწერა ლითონის ტაბლოზე ლათინური ასოებით.
ანუ დაფნა. მიხვდა ვოვა. ჰე, ჰე, დაფნის ფოთოლი გაუგია, მოხარშულ თევზს უხდება ძალიან, მჟავე კომბოსტოს... ქალის სახელიც თუ იყო, ნამდვილად არ იცოდა.
`დაფნე~-დან კაცისთავიან ცხენთან გადაინაცვლა. ცხენი ყალყზე იდგა, კაცს კი მშვილდ-ისარი მოეზიდა. მაინც, რა ხალხია ეს მხატვრები, გაიფიქრა ვოვამ. ან მარტო ცხენი დაეხატა, ან მარტო კაცი.
ვოვამ პანოს თვალი მოწყვიტა და ისევ ვიტრინაში გაიხედა. ობიექტი სახელოსნოში იყო. შარდენზე ხალხი მიმოდიოდა. ვიტრინებთან ჩერდებოდნენ, გზას აგრძელებდნენ. ზოგიც ღია კაფეში იჯდა და ყავას მიირთმევდა. როგორც გალერეის გასწვრივ მჯდარი ხაკისქურთუკიანი. ყავას ვოვაც დალევდა, მაგრამ აქ ალბათ ცეცხლი უკიდია ფასებს.
ვოვამ გვერდიდან გამჭოლი მზერა იგრძნო. მიიხედა. მზერა გალერეის თანამშრომელ მანდილოსანს ეკუთვნოდა და იმდენად მეტყველი იყო, ვოვამ თავი უხერხულად იგრძნო. ის, თავისი პროლეტარული ჰაბიტუსით, არ ეწერებოდა პოტენციურ მყიდველებში. ჩვენში რომ დარჩეს, არც მაღალი ხელოვნების ტრფიალს ჰგავდა.
სახელოსნოდან გამოსულმა ობიექტმა ვოვას სულზე მიუსწრო, თუმცა საგონებელშიც ჩააგდო. სადღა იყო ქალიშვილის სხივიანი თვალები, ხაფანგში გაბმულ ნადირს ჰგავდა. მაგალითად, ნიამორს. ხელჩანთაც ისე ჰქონდა გულზე მიხუტებული, თითქოს ვინმე წართმევას უპირებდა.
ვოვა დაინტრიგებული გაჰყვა. ცოტა ხანში აღმოაჩინა, რომ ის არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ქალიშვილს უთვალთვალებდა. ხაკისქურთუკიანი ტიპი, წეღან რომ ყავას სვამდა, ობიექტს საპატიო მანძილზე მისდევდა.
დაახლოებით ნახევარი საათი სამივენი ერთმანეთს მისდევდნენ. ლესელიძის აღმართზე ქალი მიკროავტობისში ჩაჯდა. ნომრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სახლში ბრუნდება, ხილიანის ქუჩაზე.
ვოვა აღარ დალოდებია რას მოიმოქმედებდა მეორე მდევარი, დაჩქარებული წესის მოცოცხა თავისი მანქანიკენ.
თხუთმეტ წუთში ის ადგილზე იყო. ავტოფარეხებით გაძეძგილ ეზოში. ერთ-ერთ ავტოფარეხში სასურსათო მაღაზია გაეხსნათ, საილუსტრაციოდ ხილ-ბოსტნეულით დამშვენებული აბრაც გამოეფინათ.
მალე ობიექტიც გამოჩნდა. ისეთივე დამფრთხალი ჩანდა, როგორც წეღან შარდენზე. ერთხელ წაიბორძიკა კიდეც, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, გზა განაგრძო. რაღაც მოხდა იმ სახელოსნოში, დაასკვნა ვოვამ და უცებ თაღის ჩრდილიდან გამომავალი ხაკისქურთუკიანის აწოწილი სილუეტი შენიშნა. ეტობა სახლამდე სდია ობიექტს, მაგრამ რატომღაც სადარბაზოში არ შეჰყოლია. პატარა ხანს ეზოში იტკეპნებოდა, მერე კი ხმადაბალი სტვენით წამოვიდა ვოვას მიმართულებით.
საჭესთან მჯდარი ვოვა სავარძელზე ჩაცურდა, ჩაიფუშა, დაპატარავდა... საერთოდ, შიში აპატარავებს ადამიანს, იმდენად არა, რომ სრულებით გააქროს, მაგრამ თვალშისაცემად კუმშავს. ჩხვლეტია ტკივილმა ვოვას ნაწლავებში გაჰკრა და სადღაც კუდუსუნთან კონცენტრირდა. შეუძლებელია ხაკისქურთუკიანმა ის იცნოს, ამაზე მეტ კონსპირაციულობას თვით შტირლიციც ვერ მოახერხებდა.
მართლაც, კაცმა გულგრილად ჩაუარა `ჟიგულში~ მოკუნტულ მძღოლს და ე.წ. სასურსათო მაღაზიაში შევიდა.
_ სიგარეტი გაქვთ? _ გაისმა მისი ხრინწნარევი ბარიტონი.
_ კი. _ გაეპასუხა გამყიდველი ქალი.

ვოვამ შვებით ამოისუნთქა, კუდუსუნის მიდამოებში მოფუთფუთე ჭავლმა გამოსავალი იპოვა და ქშუტუნით გამოხტა გზის სინათლეზე. მანქანის სალონში უსიამოვნო სუნი დადგა. ვოვამ ფანჯარას ჩაუწია და მიაყურადა.
_ რაღაც მინდა გკითხოთ... თქვენის ნებართვით... _ თავაზიანად აჟღურტულდა ბარიტონი.
_ კი გენაცვალე!
_ ამ კორპუსის მაცხოვრებლებს იცნობთ?
_ როგორ არა?! დავბერდი ამ სახლში. პირველ სართულზეა ჩემი ბინა. რა გაინტერესებთ?
_ ამასწინათ, ერთი ქალიშვილი მოვაცილე ამ კურპუსამდე. სამწუხაროდ მარტო სახელი ვიცი, ხომ ვერ დამეხმარებით?
_ რა ჰქვია?
_ სესილი.
`სესილი.~ გულში გაიმეორა ვოვამ. დაფნასი არ იყოს, უცნაური სახელია.
_ სესილის როგორ არ ვიცნობ, გადასარევი გოგოა. _ თავი გამოიდო გამყიდველმა.
_ რაღა დაგიმალოთ, მეც ასე მომეჩვენა. რომელ სართულზე ცხოვრობს?
_ მესამეზე.
_ გვარსაც თუ მეტყვით...
_ არჩაბაძეა, გენაცვალე.
_ აფხაზია? _ გაუკვირდა კაცს.
_ არჩაბაძეები აფხაზები არიან? _ თავის მხრივ დაინტერესდა გამყიდველი.
_ მგონი კი, პრინციპში რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია გოგო იყოს კარგი.
_ მაგაში გეთანხმები. გოგო მართლა კარგია, მაგრამ არ გაუმართლა... მშობლები დაკარგა, ქმარს გაშორდა...
_ განათხოვარია? _ შეიცხადა ბარიტონმა.
_ ჰო, რა მოხდა მერე? პროფესორის ნაცოლარია, ვიღაც ოხერის და მუდრეგის კი არა!
`ვაიმე, ობიექტი სახელად სესილი შეფის ყოფილი ცოლია!~ გონება გაუნათდა ვოვას.
_ არ ვიცი, არ ვიცი... და რა გვარია ქმარყოფილი?
_ გვარი არ ვიცი, პროფესორი რომ იყო, კოჭებში ეტყობოდა.
_ ვითომ, კოჭებში ეტყობათ ეგ ამბავი?
_ რა ვიცი, გენაცვალე, სულ გალსტუკით კი დაიჯგიმებოდა და... _ არგუმენტი მოიყვანა ქალმა.
ჰალსტუხი რომ სტატუსის მაჩვენებელი იყოს, ეგრე ვოვაც გაიკეთებდა. ერთხელ ეკეთა. საკუთარ ქორწილში. თუმცა ინტელექტის შემოტევა არ უგრძვნია. ისევ ის ავლაბრელი ბიჭი იყო, ოღონდ ცოტა მთვრალი და ცოტა ცოლიანი.
ხაკისქურთუკიანმა ირიბი დაკითხვა დაასრულა და თავის გზაზე წავიდა. ვოვას კი ახალი თავსატეხი გაუჩნდა. ნუთუ მის მედიდურ შეფს ეს გაჩხინკული გოგო უყვარს? თუ ასეა, მაშინ კაქტუსოვან ქალთან რაღას დაძვრება? და თუ დაძვრება, რატომ ცოლად არ მოიყვანს?ს

_ _ _

შეფად წოდებულს სინამდვილეში არჩილ ჩიქოვანი ერქვა. ის მაღალ, კოლონებიან სახლში ცხოვრობდა. სახლი ძველი იყო, სტალინისდროინდელი. დღეს აქ ე.წ. წითელი ინტელიგენციის შთამომავლები ცხოვრობდნენ. თავად `ინტელიგენცია~ ფასადზე იყო გამოტანილი, მემორიალური დაფების სახით. მას შორის, საპატიო ადგილი ეკავა არჩილის მამას: აკადემიკოს გულბაათ ჩიქოვანს.
ვრცელ სადარბაზოში გამომშრალი ფსიტისა და გარდასული დიდების ჩამყაყებული სუნი იდგა, მაგრამ ვოვა მაინც მოწიწებით აუყვა განიერ კიბეებს. ხუმრობა საქმეა? შეფმა

პირველად დაპატიჟა თავის სახლში! ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. ე. ი. ენდობა, ურთიერთობა სურს... ნეტავ, ბავშვის ნათლიას არ წაჰყვება? პატარა ალიკას დაამშვენებდა პარლამენტარი ნათლია. თუ ნაადრევია მსგავსი ფიქრი?...
კარი შეფმა გააღო, ოთახში შეუძღვა. ნახატებით დაფარული კედლების დანახვაზე ვოვას სამხატვრო გალერეა გაახსენდა. იმ განსხვავებით, რომ აქაურ ნახატებში ერთი და იგივე ქალი ფიგურირებდა, ოღონდ სხვადასხვა ასაკში.
არჩილმა ვოვას მზერა დაიჭირა.
_ დედაჩემია. _ უთხრა თავშეკავებული, თუმცა თავმომწონე ღიმილით.
_ ვაა...
_ მოგწონს?
_ მომწონს რომელია?! ქალიც მომწონს და ნახატიც, ყველაფერი თავის ადგილზე აქვს: თვალი, ცხვირი, ხელები... აბა, დღეს რომ გალერეაში ვნახე ის იყო? წელს ზევით კაცი, ქვევით ცხენი. ნამდვილი ცხენი! ფეხებით, კუდის, რამე...
_ კენტავრი იქნებოდა.
_ ?
_ მითოლოგიური პერსონაჟია. _ განუმარტა არჩილმა. _ არ ვიცოდი გამოფენებზე თუ დადიოდი...
_ ეეე, თქვენი საქმის გადამკიდე მომიწია... _ დაიმორცხვა ვოვამ.
_ ჰო-ო? აბა, დაჯექი და მომიყევი, ვიდრე დედაჩემი მოსულა.
ვოვამ მაგიდასთან მიმდგარი სკამი გამოსწია, მაგრამ დაჯდომისთანავე წამოხტა და გულგახეთქილმა ახედა ჭერს: მიწისძვრა ხომ არ არისო.
უზარმაზარი, სამიარუსიანი ბროლის ჭაღი უძრავად ეკიდა ჭერში.
_ ნუ გეშინია, სკამი იქნება მორყეული. _ მიხვდა არჩილი და სკამი გამოუცვალა. _ ამ ავეჯს რომ უყურებ, საუკუნეზე მეტს ითვლის. თავის დროზე ჩემმა დიდმა ბაბუამ გამოიწერა საფრანგეთიდან. სარესტავრაციოა, მაგრამ ვერ მოვიცალე.
_ ვაა...
_ აბა, მომიყევი, რა ქარმა შეგაგდო გამოფენაზე?ს
ვოვამ დაწვრილებით მოახსენა ყველაფერი და რეაქციის მოლოდინში დაიძაბა.
_ გამხდარი აყლაყუდა ნისკარტა ცხვირით... _ არჩილმა ნერვიულად ააკაკუნა მაგიდაზე თეთრი, მოვლილი თითები. შეეცადა წარმოედგინა ინკოგნიტო მდევარი, მაგრამ კაცის მაგივრად რატომღაც სვავს ხედავდა. _ რამდენი წლის იქნება?
_ პლიუს-მინუს ორმოცი.
_ დარწმუნებული ხარ, რომ ქალს არ იცნობს?
_ სახელიც კი პირველად გაიგო.
_ ღირსია. _ ჩაილაპარაკა არჩილმა. _ მეტის ღირსია.
_ ვინ? _ თავი მოისულელა ვოვამ, თუმცა მშვენივრად მიხვდა, ვის გულისხმობს შეფი.
არჩილმა კითხვა აირიდა, შეიძლება არც გაუგია, ფიქრებმა წაიღო. მერე უცებ წამოდგა და არაფრისმთქმელი გამომეტყველებით მიაჩერდა მძღოლს. ვოვა მიხვდა: აუდიენცია დამთავრებულია.
ის იმედგაცრუებული გამოვიდა ჩიქოვანების ბინიდან. რის ნათლია, რა გულის გადაშლა... ჭიქა ყავა არ შესთავაზეს. არა, ყავას კაცი სახლშიც დალევდა, უბრალოდ, ზრდილობის ამბავია ოჯახში პირველად მოსულ კაცს რამე შესთავაზო. ვოვას ოჯახში ასე იყო მიღებული, ეტყობა აკადემიკოსებთან სხვანაირადაა.

– – –

ტელეკომპანია ტვ-21-ის ჟურნალისტი დიმიტრი ძნელაძე სტატიას წერდა ფრანგული ყოველკვირეულისთვის. ფრანგებთან თანამშრომლობა საქართველოში ჩამოსვლის დღიდან არ შეუწყვეტია. ვინიცობაა, აქ სიტუაცია შეიცვალა, ყოველთვის შეიძლება

გაჰქუსლოს ემიგრაციაში და უპრობლემოდ აღიდგინოს თავი ძველ სამსახურში. მერკანტილური მიდგომაა, მაგრამ პრაქტიკამ დაამტკიცა: რაც მეტია მერკანტილობის ხარისხი, მით ნაკლებია დამამცრებელ სიტუაციაში აღმოჩენის შანსი. მით უფრო, ისეთ ქვეყანაში, სადაც ერთი კაცის სიტყვას მეტი ფასი აქვს, ვიდრე თეთრზე შავით დაწერილ კონსტიტუციას.
დიმიტრიმ რამდენიმე აბზაცი აკრიფა და მიხვდა, რომ გაიჭედა. უკვე იმდენჯერ დაწერა ისლამიზაციის საფრთხეზე, თავისუფლად შეეძლო დაეცვა სადოქტორო დისერტაცია. მაგრამ ჟურნლის მთავარი რედაქტორი ალენი ნოგარე მაინცდამაინც ისლამზე იყო ჩაციკლული. ამჯერად მას აინტერესებდა კავკასიური ფენომენი რადიკალურ ისლამთან მიმართებაში.
`კავკასიური ფენომენის~ დასადგენად აღმართული თითი დიმიტრის ჰაერში გაუშეშდა, რადგან კარზე ზარი გაისმა.
დოდო იქნება, გაიფიქრა დიმიტრიმ, მისი კარის მეზობელი ზედა სართულიდან, რომელსაც რეგულარულად ღია რჩებოდა ონკანი და რომლის გამო დიმიტრის ახალგარემონტებული სამზარეულო ჯარისკაცთა ყაზარმას დაემსგავსა. კომპენსაციის სახით დოდოს დაზარალებული მეზობლისთვის დროგამოშვებით ცხელ-ცხელი კერძები ჩამოჰქონდა. ზედ დაყოლებული გრძელ-გრძელი ბოდიშებით.
საღამოს 9 საათზე დიმიტრი არც ჭამის, მით უფრო, არც
კრიმინალისტიკის ვირუსით შეპყრობილ მეზობელთან ღლიცინის ხასიათზე იყო, მაგრამ წუთიერი ყოყმანის მერე კარი გააღო: სინდისმა შეაწუხა.
მართლაც, ზღურბლზე მონუმენტური აღნაგობის დოდო იდგა ვიღაც შავტუხა მამაკაცთან ერთად. ცხელი კერძი, როგორც ასეთი, არსად ფიგურირებდა.
_ კაი გამარჯობა შენი! _ გურულად მოუქცია დოდომ. _ ვოვას არ იცნობ, პირველი სადარბაზოდან? _ ანიშნა შავტუხაზე.
_ არა. _ მწყრალად მიუგო დიმიტრიმ და ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი. `ვოვას პირველი სადარბაზოდან~ სულგუნიანი ღომი ერჩია, მაგრამ კარი გაღებული იყო, უკან ვერ დაიხევდა.
_ დედაია, რა ბზიკმა გიკბინა, ჩემო ტკბილო მეზობელო?
_ საიდან მოიტანეთ... _ დიმიტრი საკუთარ თავზე გაბრაზდა. ხომ არ ეტყოდა, ხელცარიელი რომ დაგინახე, კუჭმა ბოიკოტი გამომიცხადაო.
_ რა ვიცი, გენაცვალე, იმისთანა `არა~ მთხლიშე, აქლემის შეფურთხებულს ჰგავდა.
_ როგორ გეკადრებათ!
_ ეგა ხართ ქალაქელები, თქვენ-თქვენ სოროებში ხართ შემძვრალები, მინდვრის თაგვებივით. მეზობელი არ იცით და მოყვარე. ბიჭო, ნატანებში ქათამი ვერ გაძვრებოდა ორღობეში ჩემი დასტურის გარეშე! _ დოდომ მონოლოგი დაასრულა და საეჭვოდ დადუმდა. _ რავა ჩამდგარხარ მაგ კარში ხონთქარის დაცვასავით, არ შემოგვიშვებ ოჯახში თუ?
დოდომ შემტევად გადმოდგა ღონიერი ფეხი, დიმიტრის ისღა დარჩენოდა დაუპატიჟებელი სტუმრები სახლში შემოეშვა.
_ აგი ახალგაზრდა კაცი ვოვა აზნაუროვია, მისი სიდედრი ცხოვრობს ჩვენს კორპუსში. ლამარა. გადასარევი კაი ქალი, ჩემს კახუნას ამეცადინებდა რუსულში. _ დოდო შუბლშეკრული მიაჩერდა დიმიტრის. _ იმფერ მომჩერებიხარ, მგონი ლამარასაც არ იცნობ?
_ არა.
_ ფუი, შეგირცხვა ულვაში! _ დოდომ ხელი ჩაიქნია და უხერხულად აწურული ვოვა წინ გაიგდო. _ აგი გრძელთმიანი ყაზახი ცნობილი ჟურნალისტი დიმიტრი ძნელაძეა. კარგად დააკვირდი, ბიჭო, ტელევიზორშიც მასე გასაპარსი ჯდება ხოლმე. ვითამ, მოდაშიაო. ჰე, არ გეცნობა?

დიმიტრის გულით შეეცოდა ტყუილის სათქმელად მომართული უცნობი, რომელიც აშკარად პირველად ხედავდა `ცნობილ ჟურნალისტს~.
_ კაი, გვეყოფა ლაილაი, გადავიდეთ საქმეზე. _ განაგრძო დოდომ. _ დაჯექი აგერ, ჩემო ვოვა, და მოუყევი დიმიტრის შენი გაჭირვების ამბავი.
ვოვამ ტახტის კიდეზე ჩამოჯდა და მორიდებულად ჩაახველა.
_ ჰო, ახლა, ამოღერღე, არ უნდა მაგას ხი-ხი. _ შეაგულიანა დოდომ.
_ ლიჩნად მე არაფერი მიჭირს, _ ბორძიკით დაიწყო ვოვამ. _ მაგრამ არის ერთი... მოკლედ, კერძო დეტექტივს ვეძებდი და ქალბატონმა დოდომ თქვენზე მომასწავლა.
`ესენი გიჟები არიან~, გაიფიქრა დიმიტრიმ.
_ პოლიციას არ მიმართეთ? _ იკითხა ხმამაღლა.
_ არ შეიძლება. _ ხელები აასავსავა ვოვამ, _ რო გაიგონ დეტექტივს ვეძებ, სამსახურს დავკარგავ.
_ სამსახურის დაკარგვა რავარია ჩვენ დროში?! _ ჩააკვეხა დოდომ.
_ დაიწყეთ, ყურადღებით გისმენთ. _ ნება დართო დიმიტრიმ, მაგრამ ვოვა მოულოდნელად დადუმდა.
_ შენ დაგაფსა კატამ, ვოვა აზნაუროვო, არ მენდობი ხომ?- _ მიუხვდა დოდო.
ვოვამ თავი ჩაქინდრა.
_ ჯანდაბას, ლამარას სიძე მაინც არ იყო! _ დოდო უკმაყოფილოდ წამოიმართა მოსიყვარულებული სავარძლიდან და ბაჯბაჯით გაემართა დერეფნისკენ, იმ იმედით, რომ უმადური პროტეჟე შეაჩერებდა.
შენც არ მომიკვდე, ისე მიაღწია კარამდე, არავის ჩამოუხევია კალთები.
`ეჭვიან ცოლზე უარესი ცნობისმოყვარე მეზობელია,~ გაიფიქრა დიმიტრიმ და როგორც კი დოდო თვალს მიეფარა, ვოვას ანიშნა, დაიწყეო.
გაირკვა, რომ ყოფილმა ქმარმა თავის მძღოლს, ანუ ვოვას, ყოფილი ცოლის გადაადგილების გრაფიკის შესწავლა დაავალა. ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ კონსპირაციულმა აყლაყუდამ, რომელიც ხელსაყრელ მომენტს ეძებდა დევნის ობიექტის მოსაკლავად, დიმიტრი დააინტრიგა.
_ საიდან მოიტანე რომ მოკვლა უნდოდა?
_ გულმა მიგრძნო. _ ალალად უპასუხა ვოვამ.
_ გული, სული და სხვა ორგანოები საგამომძიებლო საქმეში გამორიცხე. მე მინდა ფაქტები. როდის გაიფიქრე პირველად, რომ ქალის მოკვლას აპირებს?
_ როდის და... გუშინ გავიფიქრე, როცა სესილი სახლიდან გამოვიდა. ის ტიპი ქვევით ელოდებოდა, ეზოში. წავიდა ქალი არკისკენ, ეგეც გაჰყვა. ცუდად გაჰყვა, ქურდულად რა... მიიხედ-მოიხედა და უცებ რაღაც მოძრაობა გააკეთა... თითქოს დანის ამოღება უნდოდა. ან პისტოლეტის. ეგრეევე დავქოქე მანქანა, პირველი მივეცი და არკისკენ დავგაზე. ისე შემომხედა, ვიფიქრე: კაროჩე, ახლა ცოცხლად შემჭამს! ვუთხარი შეფს, ფინთი თვალი აქვს მეთქი, მაგრამ არ სჯერა. არ უნდა დაიჯეროს, რა?!
_ და ქალი სად წავიდა?
_ ქალმა ვერაფერიც ვერ გაიგო. იქვე, მაღაზიაში გადავიდა, რაღაც პროდუქტები იყიდა და მალევე დაბრუნდა. მეც შორიახლოს ავეკიდე, მეთქი, კიდევ რამე არ აუტეხოს იმ დამპალმა! მეც ცოდო ვარ, დიმიტრი-ჯან, ორი შვილი მყავს გასაზრდელი, დაცვად ხომ არ დავუდგები უცხო ქალს? არადა, ჯიგარი მიგრძნობს, დასაბრედად დასდევენ. პოლიციას ვერ ვეტყვი. გიჟად ჩამთვლიან. სად მაქვს შარის თავი, ერთი უბრალო შოფერი ვარ! შეფსაც ვერ ჩავუშვებ. პირობა მაქ მიცემული.
_ და შენი შეფი რას ამბობს?
_ ჰმ, ეტყობა იმ ტიპს სესილის გაცნობა უნდაო... დალოცვილო, თუ გაცნობა უნდა, ვინ უშლის, ტო? მივიდეს, გამარჯობა უთხრას, ტუდა-სუდა... ისიც ვიფიქრე, შეფმა ხომ არ იქირავა ის აყლაყუდა კაცი?... _ ხმას დაუწია ვოვამ.
_ მაშინ შენ რაღაში სჭირდები? მანდ სხვა ამბავია.

_ რაღაც ცუდი ამბავია, ბატონო დიმიტრი, იმ ქალიშვილმა რაღაც იცის და თავიდან მოშორება უნდათ. აი, წყალი არ გაუვა, რა...
_ დიმიტრი დამიძახე, კარგი?
ვოვამ მზადყოფნით დაუქნია თავი.
_ ის ტიპი, პოტენციური მკვლელი... მანქანით გადაადგილდება
თუ ფეხით?
_ პირველად ფეხით იყო, მეორედ _ მანქანა ელოდებოდა. გოგო რომ მაღაზიიდან გამობრუნდა, უკან აღარ გაჰყოლია, ისეთ გასისინებულ ჯიპში ჩაჯდა, ჩემი `ჟიგული~ სირცხვილით გაწითლდა. ხო, იმ ჯიპში ერთი კაციც იჯდა. სოლიდური, ცოტა ჭაღარა.
_ ნომერი დაიმახსოვრე?
ვოვამ თავმომწონედ ჩაიცინა და ნომერი უკარნახა.
დიმიტრიმ უშიშროების პოლკოვნიკთან, მიხეილ ხვედელიძესთან დარეკა და მალევე გაარკვია `გასისინებული ჯიპის~ პატრონის ვინაობა:
სოლომონ დვალი, იგივე სოლო. მუშაობდა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, პარალელურად კურირებდა საერთაშორისო პროგრამას სახელწოდებით : `პირველი კავკასიელები~ (აქაც კავკასიელები!). დღეის მდგომარეობით არის სამხატვრო გალერეის მფლობელი. ერთი თვის წინ დვალის ყოფილი უწყების მიმართ პრეტენზია წამოაყენა ჟურნალისტმა ბაჩა ქორქიამ...
ბაჩა ქორქია!
დიმიტრიმ აღელვებულმა დასცა ბოლთა. რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტი ბაჩა მოკლული იპოვეს ტყეში, ახლა ვიღაც სესილს დასდევენ... უბრალო დამთხვევაა თუ არსებობს რაღაც კავშირი?
_ ვოვა, შენი შეფის ვინაობა უნდა გამიმხილო.
ვოვამ კატეგორიულად გააქნია თავი.
_ მაშინ ჩემი იმედი არ გქონდეს.
_ ვახ, რა გავაკეთო, ჰა? მეც გამიგე, დიმიტრი, სიტყვა მაქვს მიცემული. კაცური სიტყვა.
_ მესმის, მესმის, მაგრამ თუკი იმ ქალის... სესილი, არა?... სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, შენი შეფი კი ყურსაც არ აპარტყუნებს, რა ფასი აქვს ასეთ `კაცურ სიტყვას?~
ვოვა აღელდა, აწრიალდა, ოფლმა დაასხა...
_ დროზე გადაწყვიტე, ჩამაყენებ საქმის კურსში თუ კარგ მეზობლებად დავიშლებით? _ ცეცხლზე ნავთი დაასხა დიმიტრიმ.
_ არჩილ ჩიქოვანი. _ ჩახლეწილი ხმით მიუგო ვოვამ, _ პარლამენტარია.
_ პარლამენტარი არჩილ ჩიქოვანი. _ გაიმეორა დიმიტრიმ, _ არა, არ გამიგია. მაჟორიტარია თუ მმართველ პარტიას მოჰყვა მზითვში?
_ მაჟორიტარი.
დიმიტრიმ ვოვას კოორდინატები გამოართვა და საქმის კურსში ჩაყენებას დაჰპირდა. კომპიუტერის ეკრანმა მეგობრულად ჩაუკრა თვალი და სიბნელეში შთაინთქა.
დიმიტრიმ სინდისის ქენჯნა იგრძნო, მაგრამ ისედაც გაქცეულ მუზა ვერ მოაბრუნა და ახალ `საქმეზე~ გადაერთო.
მოსაძებნია ბაჩა ქორქიას კოლეგა ჟურნალისტის მობილურის ნომერი. მენიუს მიმოხილვის შემდეგ დიმიტრიმ ინა მერაბიშვილი აღმოაჩინა. ინა კარგი გოგოა, თუ რამე იცის, არ დაუმალავს.
მაგრამ ინამ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ ბაჩა წესიერი ადამიანი და პროფესიონალი ჟურნალისტია. იყო.
_ იქნებ ვიღაცის ინტერესს შეეხო? _ ჩაეკითხა დიმიტრი.
_ როცა აკეთებ სკანდალურ რეპორტაჟებს, დიდი ალბათობაა ვიღაცის ინტერესს შეეხო.
_ იყო პასუხი.
_ პოლიტიკური მოტივს გამორიცხავ?
_ მე არაფერს გამოვრიცხავ, დიმიტრი, მათ შორის პირადულს.

_ იცი რამე?
_ ჭორის დონეზე.
_ მაინც?
_ საყვარელი ჰყავდა, ქმრიანი ქალი.
_ გასაგებიაა... _ გაწელა დიმიტრიმ. _ ინა, ბაჩას კომპიუტერში ჩაჭყეტა რამდენადაა შესაძლებელი?
_ უშენოდაც კარგად ჩაიჭყიტა გამომძიებელმა და ხელმოსაკიდი ვერაფერი აღმოაჩინა. თუ არ ჩავთვლით გადაცემისთვის აკრეფილ ტექსტებს.
`აკრეფილ ტექსტებზე~ დიმიტრის თავისი გაჭირვება გაახსენდა, ინას გამოემშვიდობა და რადიკალური ისლამის საშიშროებაზე ჩაფიქრდა.

_ _ _

იმავე უბანში, არცთუ ისე შორს დიმიტრის სახლიდან, არანაკლებ ჩაფიქრებული სესილ არჩაბაძე იჯდა და უკვე მერამდენედ ხარშავდა თავში ხელოსანთან ვიზიტს. კოჯრის ტყეში დარჩენილი ჯაყვა ვიღაცამ იპოვა და რატომღაც სწორედ სესილის ნაცნობ ხელოსანს მიუცუნცულა: ვინიცობა პატრონმა მოაკითხოსო. ვიღაცამ კი არა, მკვლელმა! რომელიც არასასურველი მოწმის გასაშიფრად წინასწარ დასახული სტრატეგიით მოქმედებდა. სესილი კი სულელი ბავშვივით აჭყლოპინდა დაკარგული დანის დანახვაზე, თუმცა მოგვიანებით მიხვდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და მას შემდეგ მოსვენება დაკარგა.

მოსალოდნელი საფრთხის სიგნალი იმავე ღამეს მიიღო: ისევ ატირებული ჩვილი დაესიზმრა...
ერთი წლის წინ სესილმა აბორტი გაიკეთა. მარტივად გაიკეთა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. ეგონა, წარსულს დაივიწყებდა და ახალი ფურცლიდან დაიწყებდა ცხოვრებას. წარსული, შეიძლება ითქვას, დაივიწყა, მაგრამ ახალი ფურცლის მაგივრად ახალი დაავადება მიიღო _ ნევროზი. რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სესილს პერიოდულად ესმოდა ჩვილის ტირილი _ შორეული, ირეალური, უმწეო... ფსიქიატრს მიაკითხა. ხომ უნდა გაერკვია, მართლა გიჟია თუ ბუნებაში არსებობს პარალელური სუბსტანცია, სადაც თავს იყრიან ვერდაბადებულ ჩვილთა სულები, რომელთა მთავარი დანიშნულება სესილისთანა ცოდვილი დედების ფსიქოლოგიურ ტერორში ყოფნაა.
_ შენი პრობლემა იმაშია, რომ დღემდე ვერ მოინელე აბორტის გაკეთება. რაც მთავარია, საკუთარ თავს არ უტყდები. _ უთხრა ექიმმა.
_ დავუშვას, გამოვუტყდი. მიშველის?
_ არა.
_ აბა, რა ვქნა?
_ მოინანიე.
_ უსათუოდ მოძღვარს ჩავაბარო აღსარება?
_ არ არის აუცილებელი. საკუთარ თავს ჩააბარე, ოღონდ გულწრფელად. ისე, არც მოძღვრები იკბინებიან.
_ არ ვარ მზად. არ შემიძლია.
_ რატომ გაიკეთე აბორტი?
_ ქმრის ჯიბრზე.
_ არ გიყვარდა?
_ არა.
_ იმთავითვე არ გიყვარდა თუ მერე შეგძულდა?
_ მე სიყვარულით გავთხოვდი.
_ იქნებ ვინმე გაიჩინო... _ შეაპარა ექიმმა.
_ საყვარელი?

_ თუნდაც.

_ ვცადე, მაგრამ არ მიშველა. პირიქით, უარესად გავხდი.

_ მაშინ ახალ სიყვარულს დაელოდე.

_ იქამდე რა ვქნა?

_ იქამდე ტრანკვილიზატორებს გამოგიწერ.

ექიმის დანიშნულებამ უშველა თუ მართლა მოინელა თავისი უსაქციელობა, ფაქტია, რომ 2 თვის თავზე სესილმა თავი უკეთ იგრძნო. ყოფილი ქმრის მოულოდნელმა გამოჩენამ ოდნავ ააფორიაქა, მაგრამ არც იმდენად, რომ სმენითი ჰალუცინაციები განახლებოდა. არჩილი ყვავილებით ხელდამშვენებული მობრძანდა და საზეიმოდ ამცნო თავისი გადეპუტატების ამბავი.

_ მერე? _ ჰკითხა სესილმა.

_ მერე არაფერი. _ მხრები აიჩეჩა ქმარყოფილმა, _ უბრალოდ საქმის კურსში ჩაგაყენე.

_ აქაოდა დეპუტატი ვარ, სესილი კისერზე ჩამომეკიდებაო, არა?

_ სხვა, შენს ადგილზე მეტსაც იზამდა.

სესილს ცოტა დააკლდა ხმამაღლა ეყმუვლა. `სხვა შენ ადგილზე...~ _ ამ სარკალური სიტყვების ხშირ-ხშირად გამეორების გამო შეიძლება ითქვას ოჯახი დაანგრია, არჩილი კი ვერაფერს მიხვდა, ისევ თავის ამპლუაშია. ამას ქვია, კუზიანს სამარე გაასწორებსო.

`შენ ადგილზე სხვა ბედნიერი იქნებოდა~, `შენ ადგილზე სხვა ღმერთს მადლობას შესწირავდა~, `შენ ადგილზე სხვა ქმრის გვარზე გადავიდოდა...~ არჩილის მენტორული ტონი ადრეც აღიზიანებდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ უყვარდა ქმარი. ხუმრობა საქმეა?! ათობით ასპირანტიდან ახალგაზრდა ლექტორმა არჩილ ჩიქოვანმა სწორედ ის, სესილ არჩაბაძე აირჩია!

მერე, როცა პირველმა ეიფორიამ გაიარა, სესილმა აღმოაჩინა, რომ ჩვეულებრივი მოკვდავის ცოლია, რომ არჩილს, სხვების მსგავსად თავისი პატარ-პატარა საწუხარები აქვს: თმის ნაადრევი ცვენით დაწყებული ნაღვლის ბუშტის შეტევით დამთავრებული. ეს კარგიც იყო და ცუდიც. კარგი იმიტომ, რომ სესილი გამოვიდა კონკიას მდგომარეობიდან და მიხვდა: მას არაფერი აქვს ჩიქოვანების დასაწუნი. ცუდი იმიტომ, რომ სესილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა სნობიზმი. განსაკუთრებით, დედამთილი, ქალბატონი ინესა აღიზიანებდა, მისი არაადექვატური რეაქცია ზრდასრული შვილის ყოველ წამოხველებაზე და რძლის ხაზგასმული იგნორირება.

გულის სიღრმეში ინესა მზითვიან რძალზე ოცნებობდა, შეძლებულ მძახლებზე, ვის წინაშეც ამაყად გამოამზეურებდა თავის ისტორიულ სერვიზს პეტერბურგის საიმპერატორო ქარხნიდან. სესილს კი ფეხებზე ეკიდა ისტორიული სერვიზიც და ალმასისთვლიანი ბეჭედიც დადიანების კოლექციიდან, რომელსაც ქალბატონი ინესა საგანგებოდ ინახავდა მომავალი შვილიშვილისთვის.

არჩილიც კარგი ხვითო გამოდგა, იმის მაგივრად ფეხმძიმე ცოლი დაეცვა, დედის გარშემო დარბოდა უდღეური კვიცივით. ხოდა, ახლა ირბინონ ტანდემში. აღარ არის შვილიშვილი. შესაბამისად, არც ალმასისთვლიანი ბეჭდის მომავალი მემკვიდრე.

საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ სესილმა ისევ დასამშვიდებელი დალია და დასაძინებლად მოემზადა, იმ იმედით, რომ აკვიატებული ჩვილი არ დაესიზმრება. სიზმარს ვერ აცდა, მაგრამ ამჯერად ფორტუნამ გაუღიმა, ჩვილის მაგივრად მფარველი ანგელოზი ესიზმრა, ახალგაზრდა თაფლისფერთვალება მამაკაცი ზურგსუკან მოფარფატე თეთრი ფრთებით. ის წყლის ზედაპირზე გადაადგილდებოდა და როგორც სესილს მიეჩვენა, მის დასახმარებლად მოიჩქაროდა.

_ _ _

სესილის დანახვაზე ხელოსანმა სამკუთხა წარბები გაკვირვების ნიშნად შუბლზე აქაჩა:
_ შენ ძაან მოუხშირე ჩემთან სიარულს, ხო იცი? ისევ შეკვეთა მოიტანე?
_ არა, ამჯერად სხვა საქმეზე მოვედი. _ სესილმა შინნაქსოვი ქუდი მოიხადა და ტაბურეტზე ჩამოჯდა. _ ის კაცი კიდევ ხომ არ გამოჩენილა?
_ ვინ კაცი, გოგო?
_ აი, ვინც ჩემი დაკარგული დანა იპოვა.
_ როგორ არ გამოჩენილა?! იმავე საღამოს გამოიარა, დანის პატრონი იკითხა.
_ მერე?
_ რა `მერე,~ ხომ გამოჩნდი?
_ გამოვჩნდი.
_ ჰოდა, მეც ეგრე ვუთხარი. მეთქი, გამოჩნდა. არ უნდა მეთქვა?
_ როგორ გამოიყურებოდა? _ კითხვა შეუბრუნა სესილმა.
_ მაღალი, გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი... _ ჩამოთვალა ხელოსანმა. _ კეხიანი ცხვირით... ჰო, ბუსავით მრგვალი თვალები ჰქონდა. რა ხდება, რო?
სესილმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. ხელოსანი არ ჩასძიებია, ქლიბი აიღო და ნიჟარის ნატეხიდან კამეას გამოჩორკნას შეუდგა.
გალერეაში, სადაც სესილი აზრების მოსაკრებად შეხეტიალდა,
საკმაოდ ცნობილი და საკმაოდ უინტერესო მხატვრის ნამუშევრები იყო გამოფენილი. იუველირული სიზუსტით შექმნილ დეტალებში მესაათის მონდომება უფრო იკითხებოდა, ვიდრე შემოქმედის ტალანტი. ზრდილობის გამო ერთი წრე დაარტყა და სანაპიროზე ჩავიდა. ერთხანს გაშტერებული უყურებდა მტკვრის ტალახისფერ სხეულს. `ხომ არ ვისკუპო?~ გაუელვა თავში. გააზრებაც ვერ მოასწრო, რომ ვიღაცის უჩინარმა ხელმა ჰაერში ასწია და მოაჯირზე გადააყუდა.
`მიშველეთ!~ უნდოდა ეყვირა სესილს, მაგრამ მოულოდნელად თავდამსხმელმა ხელები მოადუნა და ზურგსუკან აღმოცენებულ დაბრკოლებაზე გადამისამართდა.
`დაბკოლება~ აღმოჩნდა სპორტული აღნაგობის თაფლისფერთვალება მამაკაცი, ის, რომელიც სიზმარში ნახა, მაგრამ ფრთების გარეშე. მან შედარებით გამხდარი თავდამსხმელი საკუთარი ღერძის გარშემო დაატრიალა და ზედაც კაი გვარიანი პანღური მიაყოლა.
თავდამსხმელი წაფორხილდა, მაგრამ მარდად წამოხტა და ისეთი სისწრაფე განავითარა, გაკიდებას აზრი არ ჰქონდა.
_ ხელჩანთის წართმევა უნდოდა? _ სესილს დაეკითხა უცნობი.
_ არა, ჩემი მოკვლა.
_ ?
_ მდინარეში გადაგდება. _ დააზუსტა სესილმა.
უცნობმა ისე შეხედა, რომ სესილს საკუთარი ნათქვამის შერცხვა. მართლაც, რთული დასაჯერებელია დღისით-მზისით მტკვარში გაგდებდნენ. არადა, აშკარად იყო მცდელობას.
_ დაჯექით, სახლამდე მიგიყვანთ. _ უცნობმა ფირუზისფერ `პეჟოზე~ ანიშნა.
სესილი უსიტყვოდ დაემორჩილა. ან რა აზრი ჰქონდა გაპრანჭვას? დღეიდან ეს მომხიბლავი მამაკაცი მისი მფარველი ანგელოზია.
_ თქვენ მე სიკვდილს გადამარჩინეთ.
_ აჭარბებთ.
_ არა, მართლა...
_ მომიყევით.
_ გრძელი ისტორიაა....
_ გეჩქარებათ?
_ არა.

_ მაშინ გისმენთ.
_ ის მაინც ვიცოდე, ვინ მისმენს.
_ ააა... დიმიტრი მქვია. _ გაუღიმა უცნობმა.
სესილი მიხვდა: მხოლოდ ამ ღიმილის გამო ღირდა წეღანდელი სტრესის გადატანა.

_ _ _

სოლომონ დვალი ძილში კრთოდა და ცახცახებდა. შეკრთები, როცა 21-ე საუკუნეში დაძინებული მე-14 საუკუნეში ამოჰყოფ თავს...
...დაბლობზე განფენილი ლაშქარი იერიშის მოლოდინშია, საზეიმოდ ფრიალებს გორგასლიან-დავითიანი დროშები, მზეზე ლაპლაპი გაუდის ჩაჩქანსა და მუზარადს, ფარსა და ჯაჭვის პერანგს...
ყორნისფერ ბედაურზე ამხედრებული წვეროსანი ომახიანად მიმართავს მეომრებს:
_ ქართველნო! ფრიად უმჯობეს არს სანატრელ სიკვდილი სამშობლოსა და სარწმუნოებისთვის, ვიდრე-ღა სიცოცხლე მორჩილებასა და მონობაში!
და სოლომონის ფანტომი ხვდება _ წვეროსანი მხედარი არც მეტი, არც ნაკლები ბაგრატ მეხუთეა. ხოლო მოწინააღმდეგე მხარე _ თვალუწვდენელი ურდო კოჭლი თემურის მხედართმთავრობით.
მეფის ბოლო სიტყვებს შეტევაზე გადმოსული ურდო შთანთქავს. ყველაფერი ერთმანეთში ირევა _ კაცი, ცხენი, სისხლი...
სადღაც სასახლის ბნელ ტალანებში კივის ტყვედ აყვანილი ანა დედოფლი, მის კივილს თემურ ლენგის მჭახე ხმა ფარავს:
_ აღიგავოს პირისაგან მიწისა ყოველივე ქართული და ქრისტიანული, გაიძარცოს ქალაქები, დაირბეს სოფლები, აწიოკდეს ქალები და ბავშვები!
სამარყანდის გზაზე ტაატით მიირწევიან ნაძარცვ-ნაალაფარით დამძიმებული ფორნები... სოლოს ფანტომს ეტირება, სურს ურმიდან გადმოვარდნილ პატიოსანი თვლებით მოჭიქულ ხატი აიღოს, მტვერი გადაწმინდოს, გულზე მიიხუტოს... მაგრამ გაურკვეველი ძალა თავბუდამხვევი სისწრაფით მიაქანებს დროსა და სივრცეში, შეკუმშული სივრცე ირღვევა და ის ხედავს თოხთამიშს _ ოქროს ურდოს ყაენს. ერთი ხელი მახვილის ვადაზე უდევს, გაქვავებული სახით უსმენს აქოშინებულ მაცნეს:
_ კოჭლმა თემურმა გაანადგურა ხორეზმშაჰი, შენთან კავშირში დასდო ბრალი... ო, მბრაძანებელო! მტერმა ნასახლარად აქცია სატახტო ქალაქი უნგერხი და 200 ათასიანი მხედრობით შენს ასაწიოკებლად მოემართება.
განრისხებული თოხთამიში თათბირად იწვევს ნოინებს, საშინლად უხურს ხმლის ვადაზე დასვენებული ხელი. ეს ცუდი ნიშანია! მახვილ-თილისმამ იცის ის, რაც არ იცის თავად თოხთამიშმა...
_ რა, რა იცის? _ უნდოდა ეყვირა სოლომონს, მაგრამ სიტყვების ნაცვლად გაურკვეველი ბგერები ამოახველა და... და გამოფხიზლდა.
დრო ღამის ორ საათს უჩვენებდა. ანუ წინაისტორიული ექსკურსია დაახლოებით 5 წუთს გრძელდებოდა, მას კი მოეჩვენა თითქოს წლები გავიდა.
სასიამოვნოდ აფორიაქებული სოლო საწოლზე წამოჯდა.
ეს არ იყო წარსულში მოგზაურობის პირველი შემთხვევა. მას შემდეგ, რაც მან, სოლომონ დვალმა, ხელთ იგდო თოხთამიშის უნიკალური მახვილი, მისი ცხოვრება დაემსგავსა ერთ გრძელ, გარკვეულწილად უშედეგო, მაგრამ მაინც სასიამოვნო მოლოდინს. ის ღამის დადგომას ელოდა, რომ კიდევ ერთხელ გადაელახა დროის ფენომენი და ხელით თუ არა, თვალით შეხებოდა წარსულს.
ძილისპირული ხილვებს არ ჰქონდათ გარკვეული თანმიმდევრობა, ზოგჯერ ზედიზედ ეწვეოდა ხოლმე, ზოგჯერ ისე გავიდოდა მთელი კვირა, მახვილ-თილისმას არც ახსენდებოდა ახალი პატრონი. იდო თავისთვის ლეიბის ქვეშ და სავარაუდოდ,

სოლომონის ენერგეტიკით იმუხტებოდა. ამ მხრივ მაკამ დროზე გაასწრო, ცოლის ფაქტორი სოლოს ხელს შეუშლიდა მედიტაციაში. ქმრისგან ისედაც დაზაფრულ მაკას სიზმრად რომ თემურ-ლენგი მოვლენოდა, საწყალი სულ გადადგებოდა ჭკუიდან.

მაკა, მაკა...

სოლოს თვალწინ მომაკვდავი ცოლის მიტკლისფერი სახე დაუდგა, იასამნისფერი რგოლებით უპეებში, ცხვირში კი სპეციფიკურმა სუნმა შეუღიტინა _ კატაბალახის და შარდოვანის. ცხადია, სიმსივნით დაავადებული ადამიანის ჟასმინის სურნელს არ აფრქვევს, მაგრამ სოლოს მაკას საყვარელი სუნამოც კი აღიზიანებდა, ისევე, როგორც მისი ცხოვრების წესი.

მას სძულდა ჟურნალები, რომლებსაც ცოლი კითხულობდა; ნივრიანი ჩიპსები, რომლებსაც ის სერიალის ყურებისას აკნატუნებდა; სძულდა მაკას ცალტვინა დაქალები, მათი მეტყველება, გემოვნება, მორალური კრიტერიუმები... ის იმდენად იმუხტებოდა ამ სიძულვილით, რომ მაკას გაკეთებულ საჭმელსაც ვეღარ იტანდა. არადა, დიასახლისობას ვერ დაუწუნებდი, ორ საათში შეეძლო მამაპაპური სუფრის გაშლა. მართალია, ბოლო ათი წელიწადი სტუმრიანობამ დვალების ოჯახში საგრძნობლად იკლო, მაგრამ სოლო ამაშიც მაკას ადანაშაულებდა. მისმა აპათიამ დააფრთხო საახლობლო წრე. როდის გამოდევნა მსუქანმა, ძროხისთვალება ქალმა ლამაზი, ცქრიალა გოგო, სოლომ არ იცოდა. შეიძლება იცოდა, მაგრამ საკუთარ თავს არ უტყდებოდა. ადამიანი გაურბის უსიამოვნო ეპიზოდების გახსენებას...

ის, რომ ნორმალური მამაკაცი ქალს ხელით არ უნდა შეეხოს, სოლომ თეორიულად შესანიშნავად იცოდა, მაგრამ მაკას დაუცველობა უარესად ახელებდა ხოლმე. მორიგე ცემა-ტყეპის შემდეგ ბოდიშს უხდიდა, მერე ისევ ცემდა... რომ არა კიბოს დიაგნოზი, ერთხელაც შემოაკვდებოდა საწყალი.

ქალიშვილზე სოლოს არასოდეს აღუმართავს ხელი, პირიქით, თბილად და ზომიერად მკაცრად ეპყრობოდა. აღზრდის ასეთმა მეთოდმა გაამართლა. მერიკო მიზანდასახული, ბეჯითი გოგონა იზრდებოდა, ფრიადებზე სწავლობდა და სოლოს ღრმა რწმენით წინ დიდი მომავალი ელოდა.

ძილგამფრთხალმა სოლომ ერთხანს ფანჯარასთან იყურყუტა, პროჟექტორებით განათებულ ეზოზე მიმინოს მზერა გადაატარა. კერძო სახლი ძვირიანი სიამოვნებაა. მარტო ვიდეოთვლების დაყენება რა დაუჯდა?!

სოლო ფეხაკრეფით გაუყვა დერეფანს. გათენებამდე ადრეა. წყალს გადაღვრის და შეეცება ძილი შეიბრუნოს. ქალიშვილის ოთახთან შედგა. უცებ ისეთი სინაზე მოაწვა, საკუთარი თავის შერცხვა. არ იყო მიჩვეული სენტიმენტებს. ოდნავ შეაღო კარი. პლიუშის საღამაშოებით გარშემორტყმულ მერიკოს გულაღმა ეძინა განიერ ტახტზე. ვარდისფერი სპილო ჩიორამ აჩუქა დაბადების დღეზე, შავი პანტერა _ მამამ. სათამაშოების სიმრავლეს მის ასაკში სოლო თავისებურად ამართლებდა. რაც უფრო გვიან გამოვა მერიკო ბავშვობის ასაკიდან, მით უფრო ნაკლებ სისულელეს ჩაიდენს. ჩაიდენს, რო?...

მერიკო არ იყო დედასავით ლამაზი, სამაგიეროდ მოაზროვნის გამობურცული შუბლი და პროპორციული ნაკვთები ჰქონდა. მაკა მერიკოს ასაკში მაკიაჟს ხმარობდა, ცხვირსახოცივით იცვლიდა თაყვანისმცემლებს და საათობით ეკიდა ტელეფონზე, მერიკო კი პაემანზეც არაა ნამყოფი. ალბათ არაა, თორემ სოლოს არ გამოეპარებოდა. ძალიანაც კარგი. სიყვარულს მხოლოდ იმედგაცრუება მოაქვს, სოლომ საკუთარ თავზე იწვნია.

მძინარე მერიკოს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ძილშიც ალგორითმს ამოხსნაზე წვალობდა. ერთადერთი, რაც დისონანსში მოდიოდა მის ფსიქოტიპთან, იყო სპირალივით დახვეული ხშირი წაბლისფერი თმა. თმაგაშლილი მერიკო რაღაცით წააგავდა ფრანსისკო გოიას მუზას კაეტანა ალბას. ხშირი წარბები, ასკეტურად დაწყობილი ტუჩები, ალმაცერი მზერა... მსგავსება საბედისწერო ესპანელ

ქალბატონთან მხოლოდ მაშინ იყო თვალშისაცემი, როცა სააბაზანოდან გამოსული მერიკო სარკის წინ თმას იშრობდა. როგორც კი დაუმორჩილებელ კონას აფთიაქის რეზინში მოიქცევდა, მსგავსება მომენტალურად ქრებოდა. მერიკო ემსგავსებოდა იმას, ვისი დანახვაც სურდა მამამისს _ ფრიადოსან გოგონას კარიერის გარიჟრაჟზე. სოლოს ყურადღება ნოხზე დაგდებულმა ჯიბის ფორმატის წიგნმა მიიქცია. მისი შვილი ძილის წინ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს და არა მარგინალურ პრესას, დედამისივით.
რა ბედნიერებაა!
წიგნი ორი თითით დაითრია და ელდა ეცა. მისი სასიქადულო ქალიშვილი ნაბოკოვის `ლოლიტას~ კითხულობს! სირცხვილი და თავის მოჭრა! ვინ იცის, სიზმარშიც იმ გათახსირებულ გუმბერტს ხედავს და არა ალგორითმს, როგორც სოლო ვარაუდობდა! მაინც საიდან მოათრია ეს ბინძური საკითხავი? მორალთან მწყრალად მყოფმა ჯგუფელმა თუ ათხოვა... არა, ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ხვალვე დაავალებს ჩიორას მერიკოსთვის თვალყურის მიდევნებას, მსგავსი შინაარსის წიგნებიდან იწყება გარყვნილების პირველი ეტაპი.

სოლომ წიგნი ხალათის ფართე ჯიბეში ჩაიდო და თავის ლოგინს მიუბრუნდა.

აი, ისიც, თოხთამიშის მახვილი, 7 საუკუნის წინ გამობრძმედილი და ბედის ირონიით სოლომონ დვალის ხელში მოხვედრილი. სად არის მისი ჯადოსნური ძალა? წამახულ წვერში, ვერცხლით მოვარაყებულ ვადაში თუ გორდაზე ამოტვიფრულ არაბულ ტექსტში?
არქიოგრაფიის პროფესორის, არჩილ ჩიქოვანის აზრით ტექსტი კორდოვის ხალიფას კარის პოეტს, იბნ აბ რაჰიმს უნდა ეკუთვნოდეს. თარგმანი დაახლოებით ასე ჟღერს: `სისხლიან ველზე ათასსახე სიკვდილი დგება, გმირს ეზიზღება, მიჰქრის მისკენ, ბრძოლაში კვდება, დაე, გონებამ სძლიოს ვნება, სურვილი, მკვლელი, ისე იცხოვრე, თითქოს დღეა უკანასკნელი.~ გორდის შიდა მხარეს იყო მეორე წარწერაც: `მე ვარ მახვილი თოხთამიშისა~. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ მახვილის თავდაპირველი მფლობელი სწორედ თოხთამიში იყო და არა რომელიღაც ქართველი დიდებული.
რაც შეეხება თავად თოხთამიშს, ის დამარცხდა თემურ-ლენგთან ბრძოლაში და გაქცევით უშველა თავს . არჩილის ვარაუდით, არ არის გამორიცხული, თოხთამიშ ხანისთვის წართმეული მახვილი თემურ-ლენგს რომელიმე შემორიგებული ქართველი დიდებულისთვის ეფეშქაშა და ამ გზით მოხვედრილიყო საქართველოს მიწაში, სადაც იპოვა კიდეც მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა.

_ _ _

არჩილ ჩიქოვანი პარლამენტის სხდომაზე იჯდა და მოწოლილი მთქნარების შეკავებას ცდილობდა. ასი წელი არ აინტერესებდა კანონი ბიუჯეტის შესახებ, მაგრამ როგორც კანონმორჩილი მოქალაქე იჯდა და ისმენდა. ჰქონდა სხვა მიზეზიც. ისტერიკულად ეშინოდა `შატალისტი~ დეპუტატების სიაში მოხვედრის, ვისი გვარების დასახელებითაც პარლამენტის თავჯდომარე დილას აქეთია იმუქრებოდა.
კარგია მანქანა მძღოლითურთ, უცხოური მივლინებები, ფურშეტებზე ჩამოტარებული შამპანიური... ცუდია _ როცა ზემოჩამოთვლილი სიკეთეები ბედნიერებას არ განიჭებს. არჩილს მუდმივად ენატრებოდა ძველი სამსახური. იქ, დროჟამისაგან გაყვითლებულ ფოლიანტებში იყო მისი ადგილი, და არა კანონშემოქმედებით დაწესებულებაში, სადაც სხვათა წაქეზებითა და საკუთარი წინდაუხედაობით მოხვდა.
გვერდით მჯარი კოლეგა გატაცებით მესიჯობდა. არც მას აინტერესებდა კანონი ბიუჯეტის შესახებ. სამაგიეროდ, პოპულისტური განცხადებების ჩემპიონი იყო. ქუჩის

აქციებზე გაკეთებული კარიერა პარლამენტში გადმოამისამართა და დროგამოშვებით ისეთს დასჭექდა, კედლები ზანზარებდა ხოლმე.

ზარი დაირეკა. პარლამენტარები მოწაფეების შესაშური სულსწრაფობით გაცვივდნენ ფოიეში. ვინ სიგარეტის მოსაწევად, ვინ შარდის ბუშტის დასაცლელად, ვინ ჟურნალისტებთან საყელყელაოდ. თუმცა ჟურნალისტები ყველას არ წყალობდნენ, სად რომელიღაც რაიონის მაჟორიტარი, სად მეხუთე მოწვევის დეპუტატი, რომელის პარლამეტში ჯდომის მთავარი მიზანი საკუთარი ბიზნესის ლობირებაა და არა კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ერთ ასეთ სუბიექტს ჟურნალისტმა საპირფარეშომდე სდია, კარზე მიხატულმა ჩიბუხმა შეაკავა, თორემ პირდაპირ უნიტაზზე ჩაიწერდა ინტერვიუს.

არჩილი მშვიდად გაემართა გასასვლელიკენ, მისი უინიციატივო, გაწონასწორებული ფიგურა არ წარმოადგენდა ჟურნალისტთა ინტერესის საგანს.

ავტოსადგომზე შექუჩულ მძღოლებს საკუთარი სესია გაემართათ. დღის წესრიგში იდგა საწვავის ფასები და ამერიკა-ერაყის გაჭიანურებული ომი. სხვებზე მეტად ვოვა აზნაუროვი აქტიურობდა _ ხელებს შლიდა, წარბებს ქაჩავდა, ლამის ტყავიდან ამოვარდნილიყო.

არჩილის გამოჩენაზე ის ნაჩქარევად გამოემშვიდობა საკაცობრიო პრობლემებით შეპყრობილ კოლეგებს და მანქანისკენ გამოსწია.

_ მშვენიერი ორატორი ყოფილხარ. _ შეაქო არჩილმა. _ მაგრამ ბუშმა რა დაგიშავს, მაინც ვერ გავიგე.

_ ომი რომ დაიწყო და აღარ ამთავრებს, მაგაზე ვედავები. შე მამაცხონებულო, ყოველდღე ამოდენა ხალხი იხოცება, ან ბოლომდე მიაწექი ან უკან გამოდი. არ ვარ მართალი?

_ მართალი რომ ხარ, ეგ ცოტას ნიშნავს, მთავარია იყო გამარჯვებული.

_ მართალი ხართ, შეფ.

`შეფი~, არჩილს ყურს ჭრიდა. თუმცა `ამხანაგს~ სჯობდა. მამამისი, აკადემიკოსი გულბაათ ჩიქოვანი ვერ იტანდა ამ მიმართვას, კომუნისტებსაც ვერ იტანდა, თუმცა მშვენივრად სარგებლობდა ყველა იმ სიკეთით რასაც საბჭოთა იერარქია სთავაზობდა: პირადი მძღოლით დაწყებული, სახელმწიფო აგარაკით დამთავრებული.

მანქანა არჩილსაც ემსახურებოდა და მამამისისგან განსხვავებით დამოუკიდებელ ქვეყანაშიც ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, შინაგანი თავისუფლება მამას გაცილებით მეტი ჰქონდა. ესეც და სხვა რამეც. გულბაათ ჩიქოვანს არასოდეს გაუბედავდნენ იმას, რაც არჩილს გაუბედეს. თანაც ვინ? ცხვირმოუხოცავმა სტუდენტებმა!

მათ მძევლად აიყვანეს საძულველი ლექტორის საყვარელი ცოლი სესილი და ბატონ არჩილს ერთადერთი პირობა წაუყენეს: მარტო მისულიყო და კაცურად დალაპარაკებოდა. არჩილს არც უფიქრია მისვლა, `კაცურად დალაპარაკებაზე~ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ადგა და პოლიციაში დაასმინა. შეეშინდა და იმიტომ! მას შეეშინდა შეურაცხყოფილი, დამცირებული, კურსზე ჩარჩენის შიშით გონდაკარგული პატარა ბიჭების, რომლებმაც მის გასამწარებლად უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს.

ეს არ აპატია სესილმა, ამის გამო გაიკეთა აბორტი! რაც მთავარია, არც მოუსმინა! არადა, არჩილს ჰქონდა მიზეზი, და ეს მიზეზი ადრეულ ბავშვობაში იღებდა სათავეს...

13-14 წლის იყო, როცა ეზოს ბიჭებმა აითვალისწუნეს, მიზეზიც არ აუხსნიათ, ისე გარიყეს. ალბათ იმიტომ, რომ ხელის შებრუნება არ შეეძლო, არც უწმაწური სიტყვებით ყოყლოჩინობა, არც ჩაცუცქულ გარჩევებში მონაწილეობა... აჩიკო სახლში ჩაიკეტა და ისტორიულ წიგნებს ჩაუღრმავდა. განსაკუთრებით, იდუმალებით მოსილი აღმოსავლეთი იტაცებდა. უპრობლემოდ ჩააბარა არქეოლოგიის ფაკულტეტზე, ისწავლა არაბული ენა, 26 წლისამ საკანდიდატო დაიცვა, 30 წლისა დოქტორი გახდა, მაგრამ ქვეცნობიერი

შიში იმ თავზეხელაღებული ბიჭების მიმართ მთელი ცხოვრება გაჰყვა. ნებისმიერ ზეაქტიურ სტუდენტში იმათ აჩრდილს ხედავდა და დიდი სიამოვნებით უწერდა იმაზე დაბალ ნიშანს, ვიდრე სინამდვილეში იმსახურებდნენ.
არადა, არჩილ ჩიქოვანის მიუკერძოებლობაზე უნივერსიტეტში ლეგენდები დადიოდა. სინადვილეში საკუთარ ჭიას იხარებდა, ფეხქვეშ გათელილ ბავშვობაზე იყრიდა ჯავრს. მაგრამ ბავშვობის კომპლექსებზე ლაპარაკს ხომ არ დაუწყებდა შეყვარებულ ცოლს? სესილის თვალში ის მთლად ღმერთი თუ არა, ნახევრად ღმერთი ნამდვილად იყო. მან კი ჩვეულებრივი მოკვდავივით ჩაისვარა.
არქეოლოგიის სამსახურის უფროსის სოლო დვალის წინადადებამ სულზე მოუსწრო ნერვების კონად ქცეულ არჩილს. ბატონმა სოლომონმა ახალგორის გათხრებისას ნაპოვნი ექსპონატის დამალვის სანაცვლოდ საარჩევნო კამპანიის დაფინანსება შესთავაზა. ბუნებით წინდახედულ არჩილს ამჯერად დიდხანს არ უფიქრია. ერთ თვესაც რომ გაგრძელებულიყო სესილის არყოფნით გამოწვეული დეპრესია, ფსიქიატრიულში ამოჰყოფდა თავს.
დათანხმდა. ბოლოს და ბოლოს, კაცობრიობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად იდებოდა თოხთამიშის მახვილი _ სახელმწიფო მუზეუმში თუ სოლომონ დვალის სიგნალიზაციით გაძეძგილ სახლში.
სხვა საკითხია, ღირდა თუ არა ჩიტი ბრდღვნად. სესილმა არ მიიღო გადეპუტატებული ქმარყოფილი, ჰოლანლიურ მაღაზიაში ნაყიდი თაიგული მიიღო, არჩილს კი ტაქტიანად მიანიშნა კარზე. მარტო იმის გამო, რომ გაუთლელი ვოვა აზნაუროვი `შეფს~ დაუძახებდა, ნამდვილად არ ღირდა ამ ავანტიურაში გახვევა. არასოდეს უგრძვნია თავი ასეთ უფუნქციო ადამიანად. საყვარელი საქმე ეძახდა, სიძველისგან გაცრეცილი ფოლიანტები ცოცხლებივით უხმობდნენ... ვინ იცის, რამდენ ახალ აღმოჩენას მალავენ ისინი, არანაკლებ მნიშვნელოვანს, ვიდრე თოხთამიშის საბედისწერო მახვილია.
_ საით, შეფ? _ ვოვას ხმამ რეალობაში დააბრუნა ფიქრებში წასული არჩილი.
_ არქივთან ჩამომსვი.
_ არქივთან?
_ ჰო. ვოვა, შენი აზრით რა უნდა კაცს სრული ბედნიერებისთვის? _ უფრო საკუთარ თავს დაეკითხა არჩილი, მაგრამ ვოვამ ისე სხაპასხუპით უპასუხა, ეტყობა უფიქრია ამ თემაზე:
_ კაი ცოლ-შვილი, კაი სამსახური, კაი ძმაკაცები.
_ ჰმ, შენ რომელიმე გაკლია?
_ კაი სამსახური მაკლია. _ აღიარა ვოვამ.
_ რატომ, შოფრობა არ მოგწონს, ბიჭო? _ სათვალის ზემოდან ამოხედა არჩილმა.
_ არ გეწყინოს, შეფ, მაგრამ მწყინდება ხოლმე უაზრო ყურყუტი მანქანაში... მაგ დროს იცი, რაზე ვფიქრობ?... ხო არ ჯობდა მეც საპოჟნიკი გამოვსულიყავი, პაპაჩემივით. ძაან ხალისობდა ხოლმე როცა ფეხსაცმელს კერავდა. თან ღიღინებდა, თან კერავდა, სულ კაი ხასიათზე იყო. კლიენტიც კმაყოფილი ჰყავდა, მთელი უბანი მაგასთან დადიოდა ხოლმე... თუ არ მიწყენ, ერთსაც გაგიმხელ. აი, ტაქსზე რო ვიჯექი, მაშინაც კი უფრო კარგად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ახლა. ხან ვინ ჩამიჯდებოდა, ხან ვინ... შეხედავ, დაელაპარაკები, აქეთურს იტყვი, იქითურს გეტყვის... კაცს უნდა უყვარდეს თავისი საქმე, სხვანაირად ძნელია.
`თუ ბედნიერების საიდუმლო მხოლოდ ამ სამ ატრიბუტშია, წასულია ჩემი საქმე.~, გაიფიქრა არჩილმა. საყვარელ საქმეს ჩამოშოდა, ოჯახი არ ჰყავს, ნამდვილი მეგობარი კი არც არასოდეს ჰყოლია.
_ რაც იმ ქალის თვალთვალი დამავალეთ, ცოტა გავერთე, მაგრამ ეგეც სახათაბალო საქმეა.
_ რატომ?

ვოვა დაიბნა. არჩილმა რომ იცოდეს, მის ყოფილ ცოლს მისივე მძღოლმა ჟურნალისტი დიმიტრი ძნელაძე მიუქსია, საკუთარ სათვალეს დაღეჭავდა.
_ შენ გეკითხები, ვოვა?
_ ადამიანს რომ ვიღაც უთვალთვალებს, ხათაბალა არაა?
_ თუ არაფერს უშავებს, უთვალთვალოს.
_ არ ვიცი, არ ვიცი...
_ და ახლა სად არის?
_ ვინ?
_ ქალი, რა თქმა უნდა.
_ ნახევარი საათის წინ სახლში იყო.
_ წავიდეთ. ერთი დავხედო, რას წარმოადგენს ის უჩინმაჩინი მოთვალთვალე.
_ ყოველთვის კი არ უთვალთვალებს?! _ თავი დაიზღვია ვოვამ.
_ რაც გითხარი, ის გააკეთე. _ მოუჭრა არჩილმა.
_ აკი არქივიო?
_ არქივი მოიცდის.
ვოვამ ყურს უკან დამაგრებული სიგარეტი პირისკენ გაიქანა, მაგრამ არ მოუკიდა. შეფი სასტიკად უკრძალავდა მანქანაში მოწევას. მერე იკითხავს, შოფრობა რატომ არ მოგწონსო?!
ათიოდე წუთში სესილის სახლთან იდგნენ, ავტოფარეხში გამართული მაღაზიის გვერდით. აქედან კარგად ჩანდა სადარბაზოც და ტროტუარზე შემხტარი დიმიტრის `პეჟოც~. ე. ი. ჟურნალისტი ობიექტთან იმყოფება. ღმერთმა ნუ ქნას, გაიშიფროს!
ვოვამ თვალები გააცეცა და ხეების ჩრდილში ნაცნობი ჯიპი დაინახა, უცნობი სუბიექტით შიგნით.
არჩილმა მის მზერას თვალი გააყოლა და ლამის სული განუტევა. მანქანაში არც მეტი, არც ნაკლები სოლომონ დვალი იჯდა. კაცი, რომელმაც ამ საშინელ ავანტიურაში ჩაითრია. ნეტავ რა დარჩენია სესილის სახლთან?
იმავე წამს სადარბაზოდან გამომავალი ჩიორა დაინახა, რომელიც უმალ ჩახტა ჯიპში და აქტიური ჟესტიკულაციით ალაპარაკდა. ეს ქვექვეშა ტიპი ახალგორის გათხრებზეც ახლდა სოლომონს. გამორიცხულია, არჩილის და სოლოს გარიგების შესახებ არ იყოს ინფორმირებული. ღმერთო, ეს გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, იმაზე დიდი შეცდომა, ვიდრე სესილთან მიმართებაში!
_ ვახ, ერთი გამაგებინა, რას ერჩიან იმ გოგოს? _ შეწუხებული სახით წამოიძახა ვოვამ.
არჩილს შერცხვა. მძღოლს უფრო ადარდებდა უცნობი ქალის ბედი, ვიდრე ყოფილ ქმარს. არა, მასაც ადარდებდა, მაგრამ ისე არა, დადამბლავებული საჯდომი სკამიდან მოეწყვიტა და საქმეში გარკვეულიყო. ზევით აიხედა და აქ, უკვე მეორე შოკი მიიღო. აივანზე გადმოდგარი სესილი და ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცი გაფაციცებულები ადევნებდნენ თვალს ეზოდან გამავალ ჯიპს.
_ ეს ვიღაა? _ არჩილმა გამომცდელად შეხედა ვოვას.
_ ვინ? _ თავი გაისულელა მძღოლმა, თუმცა შესანიშნავად მიხვდა, ვის გულისხმობდა შეფი.
_ მამაკაცი, აივანზე...
_ არ ვიცი, პირველად ვხედავ. _ ვოვამ მსუყედ გაწითლდა.
_ საყვარელია?
_ რავი, ჩაცმულ-დახურულები არიან და...
სესილს ვიღაც ჰყავს, გული ჩასწყდა არჩილს. ეს კი თაიგულით მიადგა, იმ იმედით რომ... არავითარი რომ! სესილი მისთვის დაკარგულია. ქეთევანი უნდა მოიყვანოს ცოლად, მორჩა და გათავდა. მერე რა, რომ არ უყვარს?! სამაგიეროდ, კარგი ცოლი იქნება, რაც მთავარია, კარგი რძალი. დედის გულსაც მოიგებს და ბოლოს და ბოლოს, თვითონაც დაისვენებს.

_ წავედით! _ ესროლა მძღოლს.
_ იმათ გავყვე?
_ ვის?
_ კრიმინალებს.
_ ვინ კრიმინალებს, შენ ხომ არ გაგიჟდი?
_ ის ხალხი ცუდი თვალით უყურებს თქვენ საყვარელ ქალს.
_ ვინ `საყვარელ ქალს~?! _ აღშფოთდა არჩილი. _ მგონი მოუკრეფავში გადადიხარ!
ვოვამ უსიტყვოდ დაქოქა მანქანა.

_ _ _

ერთი კვირა გავიდა ბაჩას მკვლელობიდან. დიმიტრის ესიკვდილებოდა შვილმკვდარ დედასთან სტუმრობა, მაგრამ სიტუაცია შესაძლოა ისე გამოვიდეს კონტროლიდან, სესილმაც ბაჩას ბედი გაიზიაროს.
ვოვა აზნაუროვი რომ არ აჭარბებს, ამაში დიმიტრი სესილის მონაყოლმა და ზედ დაყოლებული ე. წ. ინკასატორის ვიზიტმა დაარწმუნა. რომ არა დიმიტრი, სესილი კუდზე დამჯდარ აყლაყუდას სახლში შემოუშვებდა და სიკვდილსაც გაიჩალიჩებდა.
_ თქვენ მე ორჯერ გადამარჩინეთ, დიმიტრი. ნამდვილი მფარველი ანგელოზი ხართ. _ უთხრა სესილმა.
დიმიტრის სესილის გასაცნობად სანაპიროზე დადგმული სპექტაკლის შერცხვა, მაგრამ გულახდილობის ხასიათზე დამდგარ მოწმეს ვერ დააფრთხობდა და ცოტა არ იყოს შეიფერა კიდეც.
ასე იყო, თუ ისე, უკან დასახევი გზა არ ჰქონდა. ფაქტობრივად, უკვე ბაჩას ბინის ზღურბლზე იდგა და ზარს რეკავდა.
კარი ბაჩას დედამ გააღო. დიმიტრის ვერ წარმოედგინა, რომ 26 წლის კაცს შეიძლება ასეთი ახალგაზრდა დედა ჰყავდეს, და ასეთი ლამაზი... რძისფერი პირისკანი, წითური თმა, პირდაპირი გამოხედვა... მონაზვნად აღკვეცილ კურტიზან ქალს ჰგავდა თავის გრძელსა და ფართხუნა ტრიკოტაჟის კაბაში.
_ დიმიტრი ვარ, ქალბატონო ელენე...
_ როგორც შემიძლია დაგეხმარებით. _ დაბალი, ხრინწნარევი ხმით წარმოთქვა ელენემ და ოთახში შეუძღვა.
როგორც ჩანს, არ აპირებდა უცხო ადამიანთან თავისი უბედურების დემონსტრირებას. დიმიტრის კი კიბეზე ამოსვლისას ფეხები უკან რჩებოდა, წყევლა-კრულვისა და მოთქმის თანხლებით ნამდვილად გაუჭირდებოდა შვილმკვდარი დედის დაკითხა.
ოთახში პატრონივით წითურმა კატამ შემოისეირნა, საპატიო
წრე დაარტყა და ელენეს კალთაში ისკუპა.
_ ბაჩას მკვლელობის მიზეზის დადგენას ვცდილობ, _ დაიწყო დიმიტრიმ. _ თქვენი აზრით, პოლიტიკური სარჩული გამორიცხულია?
_ მასმედიას სურს ასე წარმოაჩინოს, განსაკუთრებით, ტელეკომპანიას, სადაც ბაჩა მუშაობდა. ჩემგანაც უნდოდათ ინტერვიუს აღება, მაგრამ უარის გავისტუმრე. არ ვაპირებ ჩემი შვილის პოლიტიკური შეხედულებები საჯარო განხილვის საგნად ვაქციო.
_ მიზეზი?
_ მიზეზი ბანალურია... ბაჩასთვის, როგორც ყველა ნორმალური ადამიანისთვის, არ არსებობდა მოსაწონი ხელისუფლება, თუმცა ძალისმიერი დამხობის მომხერე არასოდეს ყოფილა. ისედაც, არ იყო პოლიტიკით შეპყობილი ჟურნალისტი. მე სხვა რამე მგონია...
_ ?
_ ბაჩას ერთი გოგონა უყვარდა, გათხოვილი გოგონა... მე წინააღმდეგი ვიყავი ამ კავშირის. მისი სახელის გაგონება არ მინდოდა, რას ჰქვია ჩემმა შვილმა... _ ელენემ

ღრმად ჩაისუნთქა, ყელზე მომდგარი ცრემლი თუ დააბრუნა. _ რას ჰქვია, ჩემმა შვილმა განასხოვარი ქალი შეირთოს მეთქი. მოგვიანებით შევიტყვე, ის ქალი არც აპირებდა ქმართან გაყრას. მიუხედავად ბაჩას დაჟინებული თხოვნისა, არ აპირებდა. ისიც არ ვიცი დანამდვილებით, მართლა უყვარდა თუ არა ჩემი ბაჩა... შეიძლება ეს იყო უბრალო გატაცება, შეიძლება ნამდვილი სიყვარული... ასეა თუ ისე, პირველად სწორედ მან წერტილი დაუსვა ამ სახიფათო თამაშს, ქმარს დაუბრუნდა, სულით და ხორცით, ასე ვთქვათ.
_ რატომ `სახიფათო~?
_ ვიცი, ვისი ცოლიც არის და იმიტომ.
დიმიტრიმ გაგებით დაუკრა თავი.
_ ბაჩა განიცდიდა, ადგილს ვერ პოულობდა, დეპრესიული გახდა... აქედან მე ვუფითილებდი, ის თავს იცავდა... ღმერთო ჩემო, რა სულელი ვიყავი... _ ელენემ სინანულით გააქნია თავი. _ თურმე ყოველდღე პირჯვარი უნდა მეწერა, რომ ცოცხალია, ჯანმრთელი, სახლში უვნებელი დაბრუნდა... დანარჩენი სისულელეა.

_ ქალბატონო ელენე, თქვენ იმ ქალის ქმარზე გაქვს ეჭვი?

_ დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკურზე მეტად პირადი მოტივი მესახება.

_ მაშინაც კი, თუ ქმარი არჩია საყვარელს?...

_ გაორებული ადამიანის არჩევანი მყიფეა და მოკლევადიანი. ამ გოგონას ჩემი ბაჩაც უყვარდა და ქმარსაც ვერ ელეოდა. ასეთებიც ხდება, ჩემგან არ გესწავლებას. მე ხომ არ ვიცი რა მოხდა ცოლ-ქმარს შორის? იქნებ ცოლი ყველაფერში გამოუტყდა, ქმარმა კი თავიდან მოიშორა მეტოქე.

_ თქვენთვის შეიძლება სულერთია, მაგრამ იმ გოგონას ქმარს ბაჩა არ მოუკლავს.

ელენემ კატა ჩამოსვა და გამომცდელად შეხედა:

_ არ არის სულერთი. ძალიან არ მინდა იმ კაცის მოკლული გამოდგეს, კარგის გარდა მასზე არაფერი მსმენია. თქვენ რაღაც იცით, დიმიტრი... რაღაც ისეთი, რაც არც გამომძიებელს მოსვლია თავში, არც მე. ასეა?

_ დაახლოებით.

_ გისმენთ.

_ არის მოწმე. ის შეესწრო ბაჩას მკვლელობას, მანვე შეატყობინა პოლიციას, მაგრამ ვინაობის გამხელა არ უნდა.

_ რატომ? _ ტუჩები გაექცა ელენეს.

_ იმიტომ, რომ ბაჩას ბედი არ გაიზიაროს.

_ გამომძიებელმა რატომ არაფერი მითხრა?

_ არ არის საქმის კურსში. მხოლოდ მე ვიცი.

_ გასაგებია. _ ელენემ ხელის კანკალით მოუკიდა სიგარეტს, ნაფაზი დაარტყა და ვედრებით შეხედა დიმიტრის. _ არაფერიც არ არის გასაგები... ამიხსენით, გთხოვთ... _ ინფორმაციის გაჟონვა მკვლელს დააფრთხობს.

_ ჩემი იმედი გქონდეთ, ალბათ ხვდებით, რას ნიშნავს ჩემთვის სიმართლის ცოდნა.

დიმიტრიმ ყველაფერი უამბო, სესილის მიერ ტყეში მოსმენილი დიალოგით დაწყებული, თვალთვალით დამთავრებული. მხოლოდ მოწმის ვინაობა დაუმალა.

_ უცნაურია... _ ჩაფიქრებულმა თქვა ელენემ. _ ეს უფრო ჰგავს სიმართლეს... ექსპონატზე ლაპარაკობდნენო, არა?... იცით, ამასწინათ, ბაჩამ მეგობარი ისტორიკოსის ტელეფონის ნომერი მთხოვა, საქმე მაქვსო. არ გამოვრიცხავ, სწორედ სამუზეუმო ექსპონატით ყოფილიყო დაინტერესებული. გინდათ, გადავამოწმებ?

_ ძალიან დამავალებთ. _ გაუხარდა დიმიტრის და ელენეს ბაჩას კომპიუტერის გახსნის ნებართვა თხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო.

ელენე დასარეკად გავიდა, დიმიტრი კი მარტო დარჩა ბაჩას კაბინეტში. პირველი, რაც თვალში მოხვდა, იყო პასტელში შესრულებული ელენეს ახალგაზრდობის პორტრეტი. სულ რამდენიმე დღის წინ ბაჩა ამ ოთახში იღვიძებდა და იძინებდა, ამ სკამზე იჯდა, ამ კომპიუტერზე მუშაობდა... ან არ მუშაობდა, შეყვარებულთან ჩეთაობდა, ფილმებს უყურებდა, ინფორმაციას ეცნობოდა... ნებისმიერ შემთხვევაში, ცოცხალი იყო და იმედით ელოდა ხვალინდელ დღეს.

დიმიტრიმ კომპიუტერი ჩართო, მაგრამ კოდის გამო მეილში შეღწევა ვერ მოახერხა. რამდენიმე ვარიანტი სცადა, მაგრამ უშედეგოდ. უკვე ადგომას აპირებდა, როცა ოთახში ელენე შემოვიდა ყავის ჭიქით ხელში:

_ ჩემს მეგობარს ველაპარაკე... არ ვიცი, სამუზეუმო ექსპონატს რა კავშირი აქვს თოხთამიშის პიროვნებასთან, მაგრამ ბაჩას სწორედ თოხთამიშზე აინტერესებდა ინფორმაცია.

_ ვინ არის თოხთამიში?

_ ახლავე მოგახსენებთ, რაღაცები მოვნიშნე, რომ არ დამვიწყებოდა... _ ელენემ ფურცელი მოიმარჯვა და ახლომხედველი თვალები მოჭუტა. _ თოხთამიში, ოქროს ურდოს ყაენი, ჩრდილო-მონღოლური წარმომავლობის... თემურ-ლენგის დაუძინებელი მტერი... კარგი ურთიერთობა ჰქონდა გიორგი მეშვიდესთან, ბაგრატ მეხუთის ძესსან. 1393 წელს, როცა თემურ-ლენგი საქართველოს აოხრებით იყო დაკავებული, ჩრდილო ულუსიანებმა თოხთამიშის სარდლობით გადმოლახეს დარუბანდი და თავს დაესხნენ შირვანს. თემურმა უკან გაბრუნება იკადრა, მაგრამ გვიანღა იყო _ ჩრდილოელებს უკვე გაესწროს. მოგვიანებით თემურმა მოახერხა თოხთამიშის განადგურება. სულ ეს არის. მაგრამ რა შუაშია ამ ყველაფერთან მახვილი, წარმოდგენა არ მაქვს!

_ რა მახვილი?

_ ბაჩას თოხთამიშის მახვილი აინტერესებდა.

_ მახვილი, არა? თოხთამიში... _ დიმიტრიმ სწრაფად აკრიფა ზემოხსენებული სიტყვა და მოუთმენლად მოსვა ყავა.

ფოსტა მომენტალურად გაიხსნა. დიმიტრიმ ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო ინფორმაციის გაცნობა.

_ ერთი წუთით! _ შეაჩერა ელენემ. _ ნუ ჩქარობთ, მეც ჩამაყანეთ საქმის კურსში... იცით, კომპიუტერის არაფერი გამეგება, არადა მინდა ვიცოდე, რით სუნთქავდა ჩემი შვილი ბოლო დღეებში.

დიმიტრიმ მაუსი ააწკაპუნა. ეკრანზე ბაჩას შეყვარებულის ფოტოსურათი გაბდღვიალდა. სწორედ რომ გაბრდღვიადა, რადგან მასაც ელენესავით წითური, ბულულა თმა ჰქონდა. ეტყობა, ბაჩას ძალიან უყვარდა დედა, რადგან ქვეცნობიერად მსგავს ქალზე გააკეთა არჩევანი.

ეტყობა იგივე აზრი გაუჩნდა ელენესაც, თვალებით დააკვდა დაწუნებულ სარძლოს და მოულოდნელად ატირდა.

დიმიტრის უნდოდა რაღაც დამამშვიდებული ეთქვა, მაგრამ შესაფერის სიტყვებს თავი ვერ მოუყარა, ისინი უბრალოდ არ არსებობდა ბუნებაში.

_ საკმარისია. ხელს აღარ შეგიშლით. _ მოგუდული ხმის ჩაილაპარაკა ელენემ და მხრების ცახცახით გავიდა ოთახიდან.

დიმიტრი კი ეკრანს ჩაუღრმავდა. შეკითხვები მახვილის შესახებ ბაჩას გაგზავნილი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და არქეოლოგიურ სამსახურებში, ასევე ქალაქ მოსკოვის ისტორიის ინსტიტუტში. პასუხები მოკლე იყო და ლაკონური _ ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში ნამდვილად იყო ისტორიული პიროვნება, მაგრამ ცნობები მისი ლეგენდარული მახვილის შესახებ არ მოგვეპოვებაო.

აი, ისიც, რასაც ეძებდა _ თოხთამიშის მახვილის ფოტოასლი! სურათი, სავარაუდოდ, გათხრების დროს იყო გადაღებული, რასაც მოწმობდა კვადრატებად დათხრილი მიწა და მახვილის გვერდით დაწყობილი არქეოლოგიური გათხრის შედეგად მოპოვებული

ნივთები: გრძელყელიანი სპილენძის კულა, ვერცხლის ხვია, ფურცლოვანი ოქრო სპილენძის ფირფიტოვანი სარჩულით... უკანა ფონზე გარკვევით ჩანდა ბარი, წერაქვი, დანა, ფუნჯი... ლანდშაფტის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო უნდა ყოფილიყო. დიმიტრიმ მაქსიმალურად გაადიდა მახვილის ზომა. მოვერცხლილ ვადაზე გამოიკვეთა არაბულენოვანი წარწერა, რომლის შინაარსი, ცხადია, ვერ გაიგო.
ბაჩამ რაღაც იცოდა მახვილის შესახებ, უფრო სწორედ მისი ინკოგნიტო მფლობელის შესახებ და როგორც ჩანს, გაჩუმებას არ აპირებდა. მაგრამ საიდან ჩაუვარდა ხელში ეს სამოყვარული ფოტო? სად, რომელ წელს წარმოებდა ფოტოზე ასახული გათხრები და ვინ იყო ექსპედიციის ხელმძღვანელი? არის თუ არა დაცული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამ ფოტოზე წარმოდგენილი ექსპონატების რაღაც ნაწილი მაინც? და ბოლოს: რა შუაშია ამ ყველაფერთან სოლომონ დვალი?
დიმიტრიმ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მიმოწერა ფლეშკაზე გადაიტანა და სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, სადაც თავის მწუხარე ფიქრებს მისცემოდა ქალბატონი ელენე.
_ მიაგენით, რამეს? _ ჰკითხა მაშინვე.
_ ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თოხთამიშის მახვილი მართლა არსებობს ბუნებაში და ის კერძო კოლექციონერის ხელშია. _ უპასუხა დიმიტრიმ.
_ დავუშვათ, ასეა. ამაში არის რამე კანონსაწინააღმდეგო?
_ შესაფერისი დოკუმენტაციის გარეშე სამუზეუმო ექსპონატის ფლობა დანაშაულია. აღრიცხული თუ არ არის, კატალოგში თუ არის, გამოდის მოპარულია.
_ მოპარული... _ გაიმეორა ელენემ. _ ბაჩამ იცოდა ქურდი კოლექციონერის ვინაობა, იმიტომაც მოკლეს.
_ ამას დამტკიცება უნდა.
_ ანუ გყავთ ეჭვმიტანილი?
_ უტყუარი ფაქტების გარეშე ხელს ვერავის დავადებ.
_ ქურდობიდან მკვლელობამდე ერთი ნაბიჯია. ის ადამიანი მკვლელია, დიმიტრი...
_ მკლელობასაც დამტკიცება უნდა.
_ შემპირდით, რომ ყველაფერს გააკეთებ ბოროტმოქმედის გამოსავლენად! _ ელენემ დიმიტრის მაჯაზე ხელი ჩაავლო და განწირულივით ამოხედა.
_ გპირდებით.

_ _ _

დიმიტრის ფეხი არ ჰქონდა სახლში შედგმული, რომ დოდო დაეხატა ღომით გადაპიპინებული მათლაფაში ჩაცურებული სულგუნის მსუქანი ნაჭრებით. მშიერ კუჭზე ცხელ ღომს არაფერი სჯობს, მაგრამ დოდო ის ქალი არაა, მოსაკითხით შემოიფარგლოს. დოდოს ჭორაობა უნდა, დიმიტრის კი გეგმაში მუზეუმების დალაშქვრა აქვს.
_ დიდი მადლობა, დოდო, მაგრამ ძალიან მეჩქარება...
_ ხუთი წუთი არც აქეთაა, არც იქით. ჭამე და წადი საცა გინდა, მე დავჯდები და გიყურებ. `შენ დაჯდები და კითხვებით დამატერორებ~, გულში გაეპასუხა დიმიტრი და ხელების დასაბანად სააბაზანოში შევიდა.
_ ეჩქარება... შენი კუჭის პატრონი ყოველ ორ საათში რაცხას უნდა იყრიდეს პირში, მაგრამ არ გყავს პატრონი და რა ვქნა? _ ქოთქოთებდა სამზარეულოსკენ მიმავალი დოდო.
_ იმ საქმის შესახებ, თქვენ რომ გაინტერესებთ, ჯერჯერობით არაფერი ვიცი. _ თადარიგი დაიჭირა დიმიტრიმ.

_ ვაი შენს პატრონს უბედურს! შენ გგონია ცალტვინა ვოვაზე საჭორაოდ ჩამევეხერგე მერვე სართულიდან ასი კილო ქალი? _ აიფოფრა დოდო. _ ჭამე, ბიჭო, რას მომჩერებიხარ?! ღომი ცხელია კარგი, სიდედრი _ ცივი...

_ გააჩნია, სიდედრს.

_ დიმიტრი, ბიჭო, იმფერი სიდედრი მყავს შენთვის შეგულებული, დედასავით მოგივლის...

_ ანუ ცოლი სიდედრის ხათრით მოვიყვანო...

_ დედა, ეს რრა მითხარი! გოგო ჰყავს ისეთი, ვარსკვლავებს ეთამაშება! ექიმია, სტომატოლოგი... კბილი არა გაქვს დასაპლომბი?

_ ნწუ. _ სავსე პირით უპასუხა დიმიტრიმ.

ღომი გემრიელი იყო, სულგუნი პირში დნებოდა. დოდოს გაწბილებაც ცოდვაა, მერე რა, რომ ცოტა ასინეთაა, სამაგიეროდ ადამიანები უყვარს, ისინიც კი, ვისაც მიწასთან ასწორებს. დოდოს მწარე ენა სრულ იდილიაში ცხოვრობს მისივე კეთილ გულთან, ხოლო ძარღვიანი წყევდა კი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ფოლკლორის ნიმუშად.

ამასობაში, დოდო სტომატოლოგიდან შვილიშვილზე, 17 წლის კახაზე გადაერთო, რომელიც მეზობლის გოგოს ყვარობს.

_ ვანაა თუ იცი? _ დოინჯი შემოირტა დოდომ და გამომცდელად შეხედა.

_ ვინ?

_ იღლიას რო აჩვენებს რეკლმაში.

_ რა-ას? _ დიმიტრის ლუკმა გადაცდა. ძლივს მოითქვა სული.

_ არ გჯერავს, ხო? ჩართე ტელევიზორი და საკუთარი თვალით ნახე! ე. ი. რა უნდა გადამიხადონ იმის ფასი, რომ საკუთარი იღლია ქვეყანას დავანახო?!

_ მილიონი.

_ ?

_ მილიონი რომ მოგცენ, მაშინაც არ დათანხმდებით?

დოდო ჩახვდა იუმორის არსს და სიცილით გადაბჟირდა:

_ ბიჭო, მილიონად ვარესსაც ვიზამ!

დიმიტრიმ აღარ დააკონკრეტებინა `ვარესის~ შინაარსი, ცარიელი თეფში განზე გასწია და წამოდგა. დოდო მიხვდა: აუდიენცია დამთავრებულია.

. . .

ნახევარ საათში დიმიტრი მუზეუმში იყო, სადაც მიაკვლია კიდეც მისთვის სამოყვარულო ფოტოზე ნანახ ექსპონატებს: სპილენძის კულასა და ვერცხლის ხვიას. მახვილი არ ჩანდა. ის დროა, დირექტორს გაესაუბროს.

დირექტორმა, ასთენიური აღნაგობის მამაკაცმა სახელად პეტრემ ჟურნალისტის აკრედიტაციას გულგრილად დახედა, ფოტოსურათებზე წარმოდგენილი ექსპონატების დანახვაზე შეცბა, ხოლო თოხსამიშის მახვილის ხსენებაზე საბოლოოდ დაიბნა.

_ ეს ორი ექსპონატი ნამდვილად ჩვენი მუზეუმის განკარგულებაშია. _ დიდმუცლა კულასა და ვერცხლის ხვიაზე მიუთითა. _ რაც შეეხება მახვილს, ასეთი არ გვაქვს. ზოგადად მახვილი როგორ არ გვაქვს, მაგრამ ასეთი _ არა.

_ ეს ორი ექსპონატი როდის და საიდან მოხვდა მუზეუმში?

_ ახალგორის სამარხებიდან. დაახლოებით 1 წლის წინ. ეს მცირეოდენი ნაწილია სამარხში აღმოჩენილი განძისა.

_ განძში რას გულისხმობს? _ დაინტერესდა დიმიტრი.

_ განძი, როგორც ასეთი, შეიძლება იყოს მატერიალური და ისტორიული ღირებულების. მაგალითად, სპილენძის კულა საყოფაცხლვრებო ინვენტარია, ოქროს ფირფიტა _ განძი.

_ შეიძლება დანარჩენ ექსპონატებს დავხედო?

_ რა თქმა უნდა. მეორე დარბაზი, მარჯვენა შესასვლელი, მესამე სტენდი. თუ გნებავთ მიგაცილებთ, პატარაზე მეც გავილი მუხლებს.

_ როგორ შეგაწუხოთ...

დირექტორი დიმიტრის პასუხს არ დალოდებია, ასაკისთვის შეუფერებელი სიმკვირცლით წამოხტა სკამიდან.

დერეფანს გაუყვნენ.

_ აქ ნელა მიდის დრო, შეიძლება ითქვას, გაჩერებულია. _ ფილოსოფიურად აღნიშნა ბატონმა პეტრემ. _ მუზეუმის სიცოცხლისუნარიანობას დამთვალიერებელი განაპირობებს... ბევრი დამთვალიერებელი. კაიროს ნაციონალურ მუზეუმში ისეთი ხალხმრავლობაა, მგონი ტუტანხამონის მუმიაც კმაყოფილი დარჩებოდა. საქართველო ეგვიპტე არ არის, მაგრამ სათანადო რეკლამის პირობებში შეიძლება ტურისტების მოზიდვა. სკოლის მოწაფეებს თუ წამოასხამს ხოლმე ენთუზიასტი მასწავლებელი... იშვიათად, მაგრამ ცნობისმოყვარე ჟურნალისტებიც კი გვსტუმრობენ. _ ეშმაკურად ჩაიცინა.

ჟურნალისტის გაგონებზე დიმიტრი იედგა, მაგრამ დირექტორს სვლა არ შეუნელებია, უკაცრიელ დერეფანში საგანგაშოდ გაისმა მისი მყარძირიანი ფეხსაცმელის პაკუნი.

_ ამიხსენით, გათაყვა...

_ თქვენ არ ხართ პირველი, ვინც თოხთამიშის მახვილით დაინტერესდა. ამასწინათ, ერთი ახალგაზრდა გვესტუმრა... გვარი არ მახსოვს, წითური ბიჭი იყო...

ბაჩა! მიხვდა დიმიტრი. ალბათ ბატონი პეტრე იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც არ უყურებს საინფორმაციო გამოშვებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალგაზრდა ჟურნალისტის ბაჩა ქორქიას მკვლელობის შესახებ უეჭველად ეცოდინებოდა.

უფროსობის დანახვაზე საგამოფენო დარბაზში მჯდარმა ქალმა საქსოვი სადღაც შეჩურთა და დამნაშავე ღიმილით წამოიმართა.

_ იჯექი, იჯექი. _ ხელის აწევით დაამშვიდა დირექტორმა. _ აქეთ მიბრძანდით... _ მიუბრუნდა დიმიტრის. _ აგერ, თქვენს ფოტოზე წარმოდგენილი ვერცხლის ხვია და სპილენძის კულა. იმავე სამარხიდანაა სამყელიანი სასმისი, ჯაჭვის პერანგი, მოოქროვილი სანელსაცხებლე, საწინამძღვრო ჯვარი... ახლა მარჯვნივ გაიხედეთ... ეს სატევარის კოტაა, ეს კი ჭვირული ყელსაბამი, შენ ხარ ჩემი ბატონი... ირმის გამოსახულებიანი ავგოროზი, ვერცხლის თასი არიადნეს პროფილით...

_ და ეს ყველაფერი სამარხებში იყო?

_ დიახ. რამდენიმე მეტრის დაშორებით მთავარი სამარხიდან. ჩვენი ვარაუდით, განძი რომელიმე ქართველმა დიდებულმა გადამალა თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს. ექსპონატები დაახლოებით ამ პერიოდს განეკუთვნება.

_ მთავარ სამარხში არაფერი ყოფილა? _ დაინტერესდა დიმიტრი.

_ ადამიანის ძვლები და მაშინდელი ამუნიციის დეტალები _ დეზები, სამკერდულები, მუზარადები...

_ ბატონო პეტრე, ხომ ვერ გაიხსენებთ, ვინ მოგაწოდათ ინფორმაცია ამ აღმოჩენის შესახებ?

_ არქეოლოგიის მთავარმა სამსახურმა.

_ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ამ ნივთებს შორის არ არის თოხთამიშის მახვილი?

_ სიმართლე გითხრათ, არ მესმის თქვენი დაჟინებული ინტერესი მახვილის მიმართ. საიდან მოიტანეს რომ ამ დასახელების ნივთი ბუნებაში არსებობდა და ის უსათუოდ თოხთამიშს ეკუთვნოდა?

_ ერთმა ნაცნობმა ივარაუდა... _ იცრუა დიმიტრიმ.

_ ჰახ! _ სასაცილოდ არ ეყო დირექტორს. _ ისტორია არ დგას ვარაუდებზე, ნივთმტკიცება უნდა გქონდეთ. თანაც არა ერთი და ორი. თქვენი აზრით, არქეოლოგიურ გათხრებს ვარაუდები განაპირობებს? არა, ბატონო, არა... უპირველეს ყოვლისა, მუშაობას იწყებს დაზვერვა, რომელიც კონკრეტული რეგიონის არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების არეალს გამოავლენს. შემდეგი ეტაპი ისტორიული წყაროების მოძიებაა, სამხარეთმცოდნეო ლიტერატურის შესწავლა... დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემებს, შემთხვევით აღმოჩენებს, ადგილობრივი მოსახლეობაში შემონახულ თქმულებებს... და მხოლოდ ამის შემდგომ იკრიბება კომისია და მსჯელობს, გასცეს არქეოლოგიური სამუშაოების დაწყების ნებართა თუ თავი შეიკავოს.

_ საკმაოდ გრძელი პროცედურა ყოფილა. _ თავი გააქნია დიმიტრიმ. _ ხომ არ გახსოვს, ვინ გასცა ნებართვა?

_ თუ მეხსიერება არ მღალატობს, სოლომონ დვალმა, ერთი წლის წინ ის ხელმძღვნელობდა არქეოლოგიურ სამსახურს.

_ გასაგებია. _ ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

_ რა არის `გასაგები?~

_ ეჭვი მაქვს, რომ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა უკვალოდ გაქრა. ჯერჯერობით მხოლოდ ეჭვი მაქვს, ამიტომ თავს ვიკავებ გახმაურებისგან. თქვენც იგივეს გთხოვთ.

დირექტორმა გაგებით დაუქნია თავი.

_ _ _

სესილმა `ნაპოლეონის~ ფირფიტებს კრემი წაუსვა, ზემოდან შაქრის ფხვნილი მიმოაბნია და თავის მოწესრიგებას შეუდგა.

კაცმა რომ თქვას, რა ენაპოლეონება, როცა ფეხდაფეხ
სიკვდილი დასდევს, მაგრამ დღეს დიმიტრის ელოდება, თავის მფარველ ანგელოზს... ელოდება და ეპრანჭება.

სასილმა საკუთარ გარდერობს გადახედა. ახალთახალი სტრაზებიანი კაბა ძალიან ლამაზია, მაგრამ აშკარად ადაბლებს. მანეკენზე უფრო ეფექტურად გამოიყურებოდა და ესეც ამიტომ დახარბდა. სულელი... თანაც კაბას ქუსლებიანი ფეხსაცმელი მოუხდება, ზედმეტი გადაპრანჭვა კი არ ივარგებს. მართლა და მართლა, პარარძალივით ხომ არ დახვდება 2 დღის გაცნობილ კაცს?

კაბა გამოირიცხა. ტყავის ჟილეტი ატლასის პერანგით მეტისმეტად მილიტარისტულია, მაღალყელიანი ჩექმები _ მეკობრული... საბოლოო ჯამში შოტლანდიურმა ქვედაკაბამ გაიმარჯვა, ზოლიანი ყელწინდითა და ნაქსოვი ტოპით. ცოტა ექსტრავაგანტულია, სამაგიეროდ სტილისტურად გამართლებული და სიტუაციის შესაფერისი.

_ ვინმეს ელოდები? _ შემოსვლისთანავე ჰკითხა დიმიტრიმ, როცა ელეგანტურად გაწყობილი სუფრა დაინახა.

_ შენ. _ სესილი გაწითლდა.

_ მართლა? _ ის ალალად გაუკვირდა დიმიტრის, რომ სესილი მიხვდა: `მფარველ ანგელოზს~ მასზე, როგორც ქალზე არც უფიქრია. საწყენია.

_ აი, ნაპოლეონი გავაკეთე. _ თქვა დამნაშავე ღიმილით.

_ მიყვარს `ნაპოლეონი~, თუმცა უხერხული საჭმელია.

_ ?

_ ესთეტიკური თვალსაზრისით. თანაც, ისეთივე გიგანტური ფირფიტები თუა, როგორსაც დედაჩემი აცხობს, ნიანგის ყბები უნდა გქონდეს, ჩაკბეჩა მოახერხო.

სესილმა ხმამაღლა გადაიკისკისა. ცოტა ზედმეტი მოუვიდა, ისეთი სასაცილოც არაფერი თქმულა, სწრაფად გაასწორა ნაკვთები:

_ ვეცდები პატარებად დავჭრა... ჩაის დალევ თუ ყავას?

_ ჩაის.

_ აბა, მომიყევი რა ხდება ჩვენს ფრონტზე?

_ ჯერ ვჭამო თუ ჯერ მოვყვე?

_ ჯერ ჭამე, თორემ ჩაი გაცივდება.

_ მიიხედე, უნდა ჩავკბიჩო, _ გაიცინა დიმიტრიმ და ნაპოლეონის ნაჭერი პირისკენ გაიქანა.

სესილმა სიცილით დახუჭა თვალები, თუმცა მაშინვე გაახილა და თვითონაც გემრიელად შეექცა.

დიმიტრიმ ნახელავი შეუქო, კრემით მოთხუპნილი ხელ-პირი დაიბანა და დაიწყო:

_ წუხელ მთელი ღამე ვარჩევდი ბაჩას ელექტრონულ ფოსტას და აი, რა დასკვნამდე მივედი: ბაჩა ფაქტიურად გასული იყო დამნაშავის კვალზე და მის გატელევიზორებას აპირებდა. პრეისტორია დაახლოებით ასეთია: ბაჩას ხელში აღმოჩნდა თოხთამიშის მახვილის ფოტოსურათი, მაგრამ იდენტური მახვილი არ აღმოჩნდა არც ერთ მუზეუმში. ამის შემდეგ ბაჩა ელექტრონულ წერილებს აგზავნის კულტურის სამინისტროში, ძეგლსა დაცვის დეპარტამენტში, არქეოლოგიის სამსახურში... თან ურთავს ფოტომასალას. პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. არ ვიცით, არ გვინახავს, პირველად გვესმის... ეს რაც შეეხება ოფიციალურ მხარეს. არაოფიციალურად, მახვილით ავატარს ამოფარებული კერძო პირი ინტერესდება და შეხვედრას თხოვს. მიმოწერიდან ერთი თვის თავზე ბაჩას კლავენ.

_ მეილის მიხედვით რა პრობლემაა ინკოგნიტოს დადგენა?

_ ჩემთვის პრობლემაა, გამომძიებლისთვის არა, მაგრამ ის

ის მაშინვე დაინტერესდება ინფორმაციის წყაროთი, ანუ შენით. მზად ხარ ჩვენების მისაცემად?

სესილმა მზერა აარიდა. საზეიმო განწყობა უცებ გაქრა, ნაპოლეონის ნაჭრებივით. ის არ არის მზად ჩვენების მისაცემად. თუკი ბაჩას მკვლელობაში კერძო კოლექციონერის ხელი ურევია, საქმე გაცილების უარესადაა, ვიდრე მას წარმომედგინა, რადგან კოლექციონერი თავისი არსით არანაკლები ფანატიკოსია, როგორც ტერროროსტი. თავს შეაკლავს და ექსპონატს არ დათმობს. ცხადია, დიმიტრის უნდა საქმე მალე გაიხსნას, მაგრამ დაუცველობის გარანტიას ისიც ვერ აძლევს. ვინ არის მისთვის სესილი? ქუჩაში გაცნობილი გოგო, რომელსაც ერთხელ დახმარების ხელი გაუწოდა. ალბათ ზის და ფიქრობს, რატომ არ მომტყდა ის ხელიო.

_ თუ გამოძიებასთან ითანამირომლობ, შეიძლება დაცვაც

აგიყვანონ. _ ფიქრებს მიუხვდა დიმიტრი.

_ ხუმრობ?

_ არა.

_ აქეთ რომ მომდონ შარი? ამდენ ხანს სად იყავი, მოსულიყავი, ჩვენებას მოგეცაო... მერე სად მივდივარ?

დიმიტრიმ მწარედ ამოიოხრა. იყო სიმართლის მარცვალი სესილის სიტყვებში. ვერ გარისკავს:

_ არ ვიცი შენ სად მიდიხარ, მაგრამ მე რომ ახალგორში მომიწევს წასვლა, ზუსტად ვიცი.

_ როდის?

_ არ ღირს გადადება, აქედან პირდაპირ დავაწვები. _ დიმიტრი კარისკენ გაემართა.

_ მეც წამიყვანე, რა?... – დაადევნა სესილმა.

დიმიტრიმ გაკვირვებულმა მოიხედა.

სესილი პასუხს არ დალოდებია. საკიდიდან პიჯაკი ჩამოხსნა და კარი გააღო.

დიმიტრის მანქანაში ტყავისა და ხარისხიანი ოდეკოლონის სუნი იდგა. დიმიტრის სუნი. სესილმა რომანტიკული ფიქრების აღსაკვეთად ღრმად ჩაისუნთქა და ცას ახედა. იქ გოროზად იზლაზნებოდა მონაცრისფრო-სოსანისფერი ღრუბელი.
_ გაწვიმდება. _ აღნიშნა თავისთვის.
_ არა მგონია, ქარი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ უბერავს.
_ მაშინ ფასანაურში გაწვიმდება.
_ შეიძლება. _ მოკლედ უპასუხა დიმიტრიმ.
ამით ლაპარაკის თემა ამოიწურა. სესილმა თავი დამცირებულად იგრძნო. დამცირებულად და ზედმეტად. აბა, რა ეგონა, ლამის ძალით ჩაუხტა მანქანაში დაზვერვაზე მიმავალ კაცს!
ახალგორამდე გამოიამინდა, ზოზინა ღრუბელმა უკან დარჩა, მოწმენდილ ცაზე კი შემოდგომის ლიმნისფერი მზე დაიხატა.
სოფელთან არმისული ნახირს შეეჩეხენ, დიმიტრიმ სვლა შეანელა მენახე გლეხკაცს გაუსწორდა:
_ გამარჯობა, ძიაკაცო! შეკითხვა მაქვს...
_ მკითხე, მერე. _ მენახირემ კუნელის ბუჩქთან შეყოვნებულ ძროხას სახრე გადაუჭირა.
_ ამ სოფლის მიდამოებში არქეოლოგები მუშაობდნენ, გზას ხომ ვერ მიმასწავლით?
_ აგერ, იმ გორაკს ხომ ხედავ? _ გლეხმა აღმოსავლეთისკენ გაიშვირა დაშუშხული თითი. _ იქ იყო გათხრები, რაც წასაღები იყო, წაიღეს, სათქვენოდ არაფერი დარჩა. _ იხუმრასავით.
_ ბევრი იყო წასაღები?
_ უფრო ადამიანის ძვლები, ნეტა რა თავში იხლიან? მეორედ ცოტა ხნით იყვნენ, მალევე იპოვეს რაც უნდოდათ და უკან გაბრუნდნენ.
_ როდის იყვნენ?
_ პირველად 3-4 წლის წინ. ბლომად ხალხი იყო ჩამოსული, დაღამებამდე ჩიჩქნიდნენ მიწას, რო იტყვიან, სულს უბერავდნენ თითო ძვალს. სოფელმაც იხეირა და სტუმრებიც კმაყოფილი დარჩა. მაშ!
_ რას გულისხმობთ? _ ვერ მიხვდა დიმიტრი.
_ მთელი ზაფხული ოთახებს ვაქირავებდით, გლეხკაცისთვის ეგეც შეღავათია. ახლა სოფლის ნობათი? პური, კვერცხი, რძე, ყველი... სად რო ქალაქში წაიღებ გასაყიდად, სად აქვე რო გყავ კლიენტი.
_ მეორედ ღამისთევით იყვნენ?
_ მაშა! პავლესთან გაჩერდნენ, მარკოზაშვილთან.
_ სად ცხოვრობს პავლე?
_ აი, ამ გზას გაუყვები, პირველივე მოსახვევში შეხვალ და პავლეს სახლსაც მიადგები.
_ მადლობა.
_ მადლობას, ერთი პაპიროსი მოგეცა, თუ გაქვს... _ შეაპარა მენახირემ.
_ არ ვეწევი. _ ხელები გაშალა დიმიტრიმ.
_ მე მაქვს! _ სესილმა ჯიბეზე გაიკრა ხელი და `ვოგის~ კოლოფი გაუწოდა.
_ ესა პაპიროსი კი არა, პეპელაა! _ მენახირემ უკმაყოფილოდ შეჭმუხნა ცხვირი, მაგრამ ორი ღერი მაინც ამოღო.
პავლე მარკოზაშვილი, გარუჯულსახიანი შუახნის მამაკაცი ეზოში შეშას ჩეხდა. მისი მოკლე, დაქანებული შუბლი ყოველგვარი ღრმულების გარეშე გადადიოდა წამახულ ცხვირში და მინდვრის ზაზუნას ამსგავსებდა. გვერდის ედგა ახალგაზრდა ყმაწვილი და სამიოდე წლის თმაგაწეწილი გოგო, ისიც ზაზუნისებრთა ოჯახიდან. ბიჭს ოსტატურად გამოჰყავდა წკნელის ჯოხზე გეომეტრიული ფიგურები, გოგო აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს.

_ აქა მშვიდობა! _ დაიძახა დიმიტრიმ და ეზოში შეაბიჯა.
სესილი მობუზული შეჰყვა უკან. სახლიდან ისეთი აჟიტირებული გამოვარდა, არც უფიქრია, რომ შემოდგომის მიწურულს ტვიდის პიჯაკით სოფელ-სოფელ დეფილირება არანორმალურია. აქაური მზე, როგორც ჩანს, მხოლოდ საკუთარ თავს ათბობს.
_ მშვიდობა მოგცეს ღმერთმა. _ ჩაიბურტყუნა პავლემ და შეშიის ჩეხვა განაგრძო.
ან ცუდ ხასიათზეა, ან ცნობისმოყვარეობის დეფიციტს განიცდის, გაიფიქრა სესილმა.
ბიჭმა ჯოხის თლა შეაჩერა, გოგონა კი ასკინკილით გამოიქცა სტუმრების დასახვედრად, თუმცა გზაში გადაწყვეტილება შეცვალა და ყოყმანით შედგა.
დიმიტრის ისღა დარჩენოდა თვითონ მისულიყო უცხვირპირო მასპინძელთან და გათხრებზე ჩამოეგდო სიტყვა.

_ ამისთანა რა დაკარგეთ იმ ნამოსახლარში, წინ და უკან რო დარბიხართ?! _ გაუკვირდა პავლეს.

_ ჩემამდეც იყო ვინმე? _ აქეთ გაუკვირდა დიმიტრის.

_ ასე სამი თვის წინ ტელევიზიის ხალხი იყო მოსული, დოკუმენტური ფილმი უნდა გადავიღოთო. მეც დამიძახეს, რაღაი გათხრებში ვმონაწილეობდი.

_ რომელ გათხრებში, ძველში თუ ახალში?

_ ორივეში, ოღონდ პირველად კაპიკებს მიხდიდნენ, თანაც არსად ეჩქარებოდათ, მთელი ზაფხული მუშაობდნენ. მეორედ შარშან შემოდგომაზე მოვიდნენ. ჩქარობდნენ ძალიან... თუ მოინდომებ, კარგად გადაგიხდითო. ჰეხ, მოვინდომე რომელია?... ჩემი ბიჭებიც მოვიხმარე და სამი მეტრის სიღრმეში ჩავედით.

_ მერე?

_ რა მერე, იპოვეს რასაც ეძებდნენ. ისე გაუხარდათ რო, ერთმანეთს ახტებოდნენ.

_ რა იპოვეს?

_ მახვილი.

_ როგორ გამოიყურებოდა?

_ ძველი იყო, ჟანგიანი... ჩემმა ბიჭმა სურათიც კი გადაუღო.

_ შეიძლება დავხედო?

_ აკი მივეცი?

_ ვის მიეცით? _ დადარაჯებული ხმით იკითხა დიმიტრიმ.

_ ბაჩას. ჟურნალისტსა! ხო გითხარი, ტელევიზიის ხალხი იყო მოსული კინოს გადასაღებად მეთქი.

_ ნამდვილად ბაჩას მიეცით?

_ ჰოდე! რა, არ უნდა მიმეცა? _ პავლემ შემცბარმა მოიფხანა ზაზუნას ცხვირი.

_ უნდა მიგეცათ. _ დაამშვიდა დიმიტრიმ. _ და ჟურნალისტი ბაჩა ფოტოსურათების წასაღებად სპეციალურად იყო ჩამოსული?

_ არა. აკი ფილმს იღებდა?

_ აბა, საიდან გაიგო ფოტოსურათის შესახებ? _ ჩააცივდა დიმიტრი.

_ კაცო, თუ რამე კანონსაწინააღმდეგო ჩავიდინე, პირდაპირ მითხარი, თორემა თავი დაკითხვაზე მგონია. _ აღელდა პავლე.

_ დამშვიდდით, პავლე, უბრალოდ, სურათებთან დაკავშირებით გაუგებრობას აქვს ადგილი. თუ არ შეწუხდებით, დაწვრილებით გაიხსენეთ ყველაფერი.

_ რა გავიხსენო?

_ ტელევიზიის თანამშრომლების გამოჩენის ამბავი.

პავლემ ნაჯახი კუნძში ჩაარჭო, შუბლზე ნაოჭი აისხა და გახსენებას შეეცადა:

_ გაღმა ნახირსა ვწყემსავდი, როცა ტელევიზიის ხალხი მოვიდა. რაღაცეები გადაიღეს, მერე კიდენა დასასვენებლად ჩამოსხდნენ. მეც იქ ვაყავ... ვილაპარკეთ ამ მთის, იმ მთის... ძალიან გულიანი ბიჭი გამოდგა ბაჩა, სოფლის გაჭირვება ძირფესვიანად გამომკითხა. მეც არაფერი დამიმალავს, გამგებელმა რო ასი ჰექტარი

მიწა მიითვისა, ეგეც ვუთხარი, ჰუმანიტარულ დახმარებას ჩვენამდე რო არ მოუღწევია, ეგეცა. მერე გათხრებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. აქა, ჯადოსნური მახვილი იპოვეს მეთქი, თურმე ვიღაც მონღოლისთვის წაურთმევია თემურ-ლენგსა და ქართველი თავადისთვის მიურთმევია.

_ თოხთამიში ხომ არ ერქვა იმ მონღოლს? _ შეახსენა დიმიტრიმ.

_ ჰო, მგონი ეგრე ითქვა.

_ ვინ ახსენა პირველად თოხთამიშის მახვილი?

_ სოლომონმა. და იმ კაცმა, თან რომ ახლდა.

_ სოლომონი ვინ არის? _ თავი გამოიშტერა დიმიტრიმ და ფარულად სესილს გახედა, რომელიც ძლივს იკავებდა ღიმილს.

_ მეორე ჯერზე რო დაიწყეს თხრა, სოლომონი იმ ჯგუფის უფროსად მუშაობდა. ეგეთი თავმდაბალი კაცი ცხოვრებაში არ მინახავს. ხო თანამდებობის პირია, მაგრამ უნდა გენახა რას იქნევდა წერაქვსა!

_ ჯგუფის წევრებს ვერ გაიხსენებთ?

_ ერთსა ჩიორა ეძახდნენ, სახელი არ ვიცი, მეორე, ცოტა გვიან შეუერთდათ, სათვალიანი კაცი... ისიც ქალაქელი. მახვილი რო ამოიღეს, ერთმანეთს ულოცავდნენ: ნაღდად ეგ არისო.

დიმიტრიმ ქურთუკის ჯიბიდან მახვილის ფოტო ამოიღო და პავლეს გაუწოდა:

_ ეს არის?

_ გცოდნიათ და მე რაღას მაწვალებთ?

_ არ გაწვალებთ, პავლე, ჩვენც გვაინტერესებს მახვილის ისტორია. სხვა ფოტოც ხომ არ მოგეპოვებათ?

_ მომეპოვება, მაგრამ იქ მახვილი არ არის, ისე გადაგვიღო ჩემმა ბიჭმა, სამახსოვროდ.

_ შეიძლება დავხედო? _ სულ გათავხედდა დიმიტრი.

_ რატო არ შეიძლება? დახედვაში ფულს არ ავიღებ. _ პავლე სახლში შევიდა, სესილს კი სამიოდე წლის თმაგაწეწილი გოგო მიუახლოვდა:

_ შენ ვინ ხარ?

_ სესილი.

_ ესა შენი ქმარია? _ გოგო ახლა დიმიტრის სტატუსით დაინტერესდა.

`ნეტავ~, ინატრა სესილმა და ვიდრე რამეს უპასუხებდა, სახლიდან პავლე გამოვიდა ფოტოსურათით ხელში.

_ მარჯვნიდან პირველი მე ვარ. _ გამოაცხადა ამაყად, თითქოს ისე ვერ იცნობდნენ.

სესილს ელდა ეცა, პავლეს გვერდით გაღიმებული იდგა მისი ყოფილი მეორე ნახევარი არჩილ ჩიქოვანი.

_ ეს კაცი ვინ არის? _ იკითხა კანკალა ხმით.

_ სახელი არ მახსოვს... ეგა რაღაც ერთი საათით იყო ჩამოსული და მალევე წავიდა. მართალი ვყოფილვარო _ გაიძახოდა, უხაროდა ძალიან. ჰო, ლუპაც ჰქონდა. ჯერ ლუპით დააკვირდა მახვილსა, მერე თქვა: მომილოცავსო! მერე ეს სურათიც გადაგვიღო პეტრემა, ჩემმა უფროსმა ბიჭმა.

დიმიტრიმ პავლე გვერდზე გაიხმო:

_ კაცურად გეუბნები და არ გეწყინოს, რა... რა ღირს ეს ფოტოსურათი? _ ჰკითხა ხმადაბლა.

_ უხერხულ მდგომარეობაში მაგდებ ჩემმა მზემ... ბაჩას უსასყიდლოდ მივეცი, შენ ფული როგორ გამოგართვა?! _ შეიშმუშნა პავლე.

_ მაშინ წავიღებ, ქსეროასლს გავაკეთებ და ისევ ჩამოგიტან, გაწყობს?

_ რაღა დაგიმალო და, ფული მირჩევნიან. _ აღიარა პავლემ.

დიმიტრიმ ორმოცდაათ ლარიანი კუპიურა ჯიბეში ჩაუკუჭა და დიდი ამბით დაემშვიდობა.

რა იცოდა პავლემ, რომ სულ რამდენიმე დღეში ამ ფოტოსურათზე გადაღებული ორი მამაკაცი თავისი ფეხით ეახლებოდა და თითო სურათში 100 დოლარს შეაძლევდა.

_ _ _

_ არაფერი გინდა მითხრა? _ მანქანაში ჩაჯდომისთანავე ჰკითხა სესილს დიმიტრიმ.

_ რას გულისხმობ?

_ ის სურათის დანახვაზე თვალები დაგიელამდა.

_ დამიელამდა?... ჰი, კარგი სანახავი ვიქნებოდი... _ სესილი თემის გადატანას შეეცადა.

_ ნაცნობი ფიზიო დაინახე?

_ ჰო, ჩემი ყოფილი ქმარი. _ გამოტყდა სესილი.

_ მაშინ გასაგებია.

მანქანამ, როგორც იქნა, გააღწია მიწაყრილს და მოასფალტებულ გზაზე გასრიალდა.

_ არაფერიც არ არის გასაგები! _ ნაგვიანევად წამოიყვირა სესილმა. _ რა უნდოდა იქ? ერთი წლის წინ ჩვენ ჯერ კიდევ ცოლ-ქმარი ვიყავით, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესახებ მეცოდინებოდა.

_ რა პროფესიისაა შენი ქმარი?

_ ყოფილი ქმარი. _ დააზუსტა სესილმა.

_ ყოფილი.

_ სპეციალობით არქეოგრაფია, დღეის მდგომარეობით პარლამენტის დეპუტატი.

დიმიტრიმ გრძლად დაუსტვინა.

_ მითარგმნე, გეთაყვა. _ თხოვა ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილმა სესილმა.

_ შენი `ყოფილის~ და სოლომონ დვალის ინტერესები სადღაც გადაიკვეთა.

_ სოლომონ დვალი ნაძირალაა, არჩილი კი უწესიერესი კაცია, მისგან წარმოუდგენელია რაღაც მაქინაცია. ახლავე გავარკვევ ყველაფერს. _ სესილმა ჩანთაში ხელი მოაფათურა და იმედგაცრუებული გადაწვა სკამის საზურგეზე. _ მობილური სახლში დამრჩენია!

_ შეგიძლია ჩემი მობილურიდან დარეკო, მაგრამ არ გირჩევ.

_ რატომ?

_ მე არ ვიცი, რა მიზეზით დაშორდით ერთმანეთს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, შენ დევნაში მისი ხელიც ერიოს.

_ არჩილის? შეუძლებელია!

სესილის თითებში `ვოგის~ წვრილი ღერი აცახცახდა.

დიმიტრის გვანცა გორდეზიანი გაახსენდა, ქალი რომელმაც აჩუქა ბედნიერების ერთი დღე, მერე მოსწია სიგარეტი `ვოგი~, სახსოვრად ნამწვი დაუტოვა და გაქრა. მოგვიანებით კი უმტკიცებდა: ეს ყველაფერი დაგესიზმრაო. სიცხიან ავადმყოფს სრულიად შესაძლებელია რაც ელანდებოდეს ის ესიზმრებოდეს (მელიის არ იყოს), მაგრამ `ვოგის~ ნახევრადხამწვარი ღერი დიმიტრის ნამდვილად არ დასიზმრებია. საკუთარი ხელით შეეხო, მოსრისა კიდეც და დაყნოსა კიდეც. მას შემდეგ ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ დიმიტრის დღესაც მტკივნეულად ახსენდება მაშინდელი ამაღლებაც და დამცირებაც. გიყვარდეს ერთი (ამ შემთხვევაში, გვანცა), სულაც არ ნიშნავს დაივიწყო მეორე (ამ შემთხვევაში, ეკა, დიმტირის ტრაგიკულად დაღუპული ცოლი). დიმიტრი ვერ ახერხებდა ეკას ხსოვნისგან გათავისუფლდებას, გვანცა ამას გრძნობდა და ვერ ეგუებოდა. ალბათ მოთმინება აკლდა, ან ცხოვრებისეული გამოცდილება. ნებისმიერ შემთხვევაში, სულსწრაფი ბავშვივით

მოიქცა, როცა დიმიტრის ჯიბრზე გათხოვდა. საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში სესილი, რომელმაც `ნაპოლეონით~ დაიწყო თავის მოწონება და თუ ასე აქტიურად გააგრძელა, შეიძლება `ჟოზეფინობას~ გამოჰკრას ხელი.

_ ...არჩილი ბუნებით ფრთხილი, წინდახედული ადამიანია, _ თავისას ამტკიცებდა სესილი. _ სიფრთხილე და ავანტიურა ერთად ვერ ძოვს. ფანატიზმამდე უყვარს თავისი საქმე. მგონი სიზმარადაც ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებს. იცის არაბული და არამეული ენები, აღარაფერს ვამბობ ფრანგულსა და ინგლისურზე. მის ნაშრომებს უცხოელები გამოსცემენ, ლექციების წასაკითხად ეპატიჟებიან...

_ ასეთი იდეალური ქმარიცთუ გყავდა, როგორ დათმე?

სესილმა გვერდულად შეხედა. დიმიტრი თავს გამოუტყდა, რომ ამდენმა დითირამბებმა ვიღაც არჩილის მისამართით ის გააღიზიანა. ნუთუ ეჭვიანობს?

_ სადმე ფრთებს ხომ არ მალავს ის შენი პროფესორი? _ განაგრძო არხეინად.

მაგრამ სესილს რას გამოაპარებ? ისე უყურებს, თითქოს რაღაც აკრძალულ ფიქრში გამოიჭირა:

_ არ არის ჩემი. _ თქვა ხმადაბლა. _ ალბათ არც არასოდეს ყოფილა. მე უბალოდ სიმართლის დადგენას ვცდილობ, მაპატიე, თუ ზედმეტი მომივიდა.

_ სიმართლის დასადგენად კრიტიკული ხედვა გაკლია, ზედმეტად აღმერთებ ყოფილ ქმარს.

_ მე, მე ვაღმერთებ? _ სესილმა ვისერი გადააგდო და სიმწრით გადაიხარხარა. _ ღმერთო ჩემო, ასე რომ იყოს, დღესაც მისი ცოლი ვიქნებოდი, ერთი ჩემი ზარი ბედნიერ კაცად გახდიდა!

_ ზარის გაშვება შეიძლება მართლა დაგჭირდეს, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. როგორმე უნდა გაარკვიო, ჰქონდა თუ არა ინფორმაცია თოხთამიშის მახვილის შესახებ.

_ კარგი.

_ შეეცადე არ დააფრთხო.

_ ისე ამბობ, თითქოს არჩილი აპრიორი დამნაშავეა.

_ არ მაქვს ფსიქოლოგიურ წიაღსვლების ფუფუნება, როცა საქმე შენს სიცოცხლეს ეხება.

სესილმა მადლიერი მზერა შეაგება. მას არ შეუმჩნევია დიმიტრის ხმაში გამკრთალი ყალბი ინტონია. იმის შეგრძნება, რომ ამქვეყნად არსებობს მამაკაცი, რომელიც მის გამო თავს გამოიდებს, ეიფორიაში აგდებდა. ადამიანს აქვს თავის მოტყუების უფლება, განსაკუთრებით, თუ ეს ადამიანი მდედრობითი სქესიაა და ბალზაკის ასაკს უკაკუნებს.

არჩილის ღირსებების რეკლამირება ვერ იყო მაინცადამაინც გამართლებული სტრატეგია, დაასკვნა სესილმა. მით უფრო, რომ ყოფილს ერთი ისეთი ნაკლი აქვს, ყველა ღირსებას რომ გადასწონის _ ის მშიშარაა. მშიშარა ადამიანის ნდობა არ შეიძლება. რა არის შიში? ჩვეულებრივი ინსტიქტი, რომლის დაძლევა ღირსების საქმეა. არჩილმა ვერ დასძლია. კაცი რომ საკუთარ ცოლს ვერ დაიცავს, რომელ ღირსებაზეა ლაპარაკი? ასეა თუ ისე, ფაქტი ჯიუტია: არჩილი იცნობს კაცს, ვინც ბაჩა ქორქიას სიკვდილი შეუკვეთა... მარტო ბაჩასი? არა, ეს წარმოუდგენელია!
საზარელმა აზრმა, რომ ყოფილმა ქმარმა სამაგიეროს გადახდის მიზნით მკვლელი მიუგზავნა, სესილი ადგილზე გააქვავა. არა, რა, ასე შეიძლება გაგიჟდეს კაცი! ფიქრს თუ აღვირი არ ამოსდე, ეშმკმა უწყის სად გაგაჭენებს. კმარა! ის იფიქრებს მხოლოდ კარგზე, იგივე დიმიტრიზე. ეს ფიქრი სიამოვნებას ანიჭებს და ჰარმონიულად გადადის ოცნებაში. მერე მოხდება ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა _ სესილი უნებლიეთ გახდება საკუთარი ოცნების ტყვე. ტყვეობაში მყოფი ადამიანი კი ათას სისულელეს ჩადის...

ამასობაში თბილისშიც ჩამოვიდნენ.
დიმიტრიმ სესილი სადარბაზოსთან დატოვა და გეზი მამისეული სახლიკენ აიღო.

დღეს მისი ნახევარძმის, ნიკოს ნიშნობაა. დილის აქეთია მამამისმა ზარებით აიკლო: მოსვლა არ დაგავიწყდესო. რომ შეიძლებოდეს, სიამოვნებით `დაივიწყებდა~, მაგრამ არმისვლა ცუდ ტონად ჩაეთვლება, განსაკუთრებით ნიკოს ყოფილი საცოლის საქციელის ფონზე (იხ. `უფროსი ძმა~). უსათუოდ უნდა მივიდეს და `კაი ბიჭი~ გაითამაშოს: შეაქოს ნიკო, ხელები დაუკოცნოს დედინაცვალს, გვერდი დაუმშვენოს მამას, ქათინაურები არ დაიშუროს ნიკოს ახალი საცოლის მისამართით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს უკანასკნელი ნამდვილი ჯოჯო აღმოჩნდება...

მობილურმა დარეკა.

`ეს თუ კიდევ გურამია...~ დიმიტრი წინასწარ გაღიზიანდა. მაგრამ სესილი შერჩა:

_ სასწრაფოდ მოაბრუნე მანქანა, ჩემს ბინაში ვიღაც იყო. _ სხაპასხუპით მიახალა და გათიშა.

სესილის ბინას თითქოს ტაიფუნმა გადაუარა. წიგნები, საღებავები, ფუნჯები, ყვავილები, თეთრეული... ყველაფერი ძირს ეყარა. მარტო სესილი იდგა, მოლაპარაკე ძეგლივით.

_ არაფერი მესმის! აი, მართლა არაფერი... სამკაულები ადგილზეა, ფულიც...

_ რა არის გაუგებარი?! უბრალოდ გაგაფრთხილეს. _ დიმიტრიმ ოთახების რევიზია დაიწყო და მალევე მიაგნო ინკოგნიტო `ტაიფუნის~ დატოვებულ პერფომანსს: მაგიდის ზედაპირზე დანით ამოკაწრული და ჯვარედინად გადახაზული ტუჩები. იქვე სიმბოლურად იდო კოჯრის ტყეში დაკარგული ჯაყვა.

_ კრინტი არსად დაძრაო. _ განაგრძო დიმიტრიმ და გადაფითრებულ სესილს ხელი შეაშველა, რომ არ წაქცეულიყო. _ მდაა, შენი ამ სახლში გაჩერება სახიფათოა.

_ მე სხვა სახლი არ მაქვს...

_ ბარგი ჩაალაგე.

_ სად მივდივართ?

_ უსაფრთხო ადგილზე.

_ სად არის ეს უსაფრთხო ადგილი, იქნებ მასწავლო? _ ჭერს შესჩივლა სესილმა.

_ ჩემთან.

სესილმა ჭერს მზერა მოწყვიტა და დიმიტრიზე გადაიტანა. არ მოესმა. ნამდვილად დაპატიჟეს! უნდა დათანხმდეს, ვიდრე გადაუფიქრებია.
სესილი თვალის დახამხამებაში მოსწყდა ადგილს, პარკში პირველი მოხმარების ნივთები ჩაყარა და ძაღლის ერთგულებით მიაჩერდა მფარველ ანგელოზს, რომელსაც ისეთი დაღლილი სახე ჰქონდა, ყველაფერს ჰგავდა ანგელოზის გარდა.

დიმიტრის სახლამდე ხმა არ ამოუღიათ. ორივეს ისე ეჭირა თავი, თითქოს მთელი გულისყურით უსმენდნენ რადიოს, სადაც იჭაჭებოდა მარად უბერებელი მიკ ჯაგერი.

_ დღეს ჩემი ძმის ნიშნობაა, წაუსვლელობა არ გამოვა. _ ლიფტში შესვლისთანავე თქვა დიმიტრიმ.

სესილი უსიტყვოდ დაეთანხმა.

_ თუ გინდა შენც წამოდი. _ შესთავაზა დიმიტრიმ.

_ მართლა? _ სესილს ძალიან გაუჭირდა სიხარულის დამალვა, მით უმეტეს ახლა, როცა ზედ შუბლთან სასურველი მამაკაცის გასაპარს ნიკაპს გრძნობდა.
მიძინებულმა ფერამონებმა ტალღებად დაუარა მთელ სხეულში და როგორც სესილს მოეჩვენა, თმის ძირებში შეაღწია. ფერამონების არსებობა პირველად მეცხრე კლასში `ომი და მშვიდობის~ კითხვისას აღმოაჩინა. ანდრეი ბოლკონსკისა და ნატაშა როსტოვას შეხვედრის ეპიზოდი ბარე 50-ჯერ ჰქონდა გადაკითხული. როგორც კი თავს ნატაშას ადგილზე წარმოიდგენდა, ფერამონიც დაბარებულივით ჩნდებოდა ხოლმე და თვალებს უნისლავდა. გრძნობად-ენერგეტიკულ ვიბრაციებს არჩილთან ურთიერთობის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ნებისმიერ დასაწყისს აქვს დასასრული და ყველა ვარიანტში დასაწყისი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე დასასრული.

დაახლოებით იგივეს ფიქრობდა დიმიტრი, იმ განსხვავებით, რომ მის ფიქრში არ იყო ოცნების ნატამალიც კი. პირიქით, მის გადაღლილ ტვინში აბსოლუტურად მიწიერი აზრები სახლობდნენ. მაგალითად, სად არის ზღვარი შეცოდებასა და სურვილს შორის? იქნებ მამაკაცი მართლა გამოუსწორებელი ცხოველია, რომელიც ქალს უსათუოდ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აღიქვამს?
წამიც და, დიმიტრი სიამოვნებით მიაკრავდა ლიფტის კედელს ამ მინიატურულ ბეღურას, რომლის გახშირებული სუნთქვა სხვა არაფერია, თუ არა მამრისთვის გაგზავნილი სიგნალი.

ბედის ირონიით ლიფტმა სწორედ იმ მომენტში მიაღწია დანიშნულების ადგილს, როცა სიგნალის მიმღებმა სრული საომარი მზადყოფნა გამოაცხადა. კარი გაიღო და დიმიტრიმ კარის მეზობელი ზორბეგ ცაავა დაინახა თავის უზარმაზარ როტვეილერ დაფისთან ერთად. აი, ვის მოუხდებოდა პატრონის სახელი! დაფი არა, კვატი. მხოლოდ ზორბეგი.

ერთმანეთს მიესალმნენ.
დიმიტრიმ გალანტურად გაატარა დარეტიანებული სესილი.
როტვეილერმა არც აცია, არც აცხელა და ქალიშვილის შოტლადიური ქვედაკაბის ქვეშ ცხვირის შეყოფას შეეცადა. მდედრის ორგანიზმიდან წამოსული ფერამონები თუ იყნოსა. მამაძაღლი!
_ დაფი, ფუ! _ დაანამუსა ზორბეგმა.
_ ვაი! _ შეშინებული სესილი უკან გახდა და დიმიტრის მიასკდა, იმან წონასწორობა დაკარგა და ლიფტის კარს კეფით მიეხეთქა.
რადიომიმღები მწყობრიდან გამოვიდა, სამივე დორბლმორეულ როტვეილერზე გადაერთო.
_ ნუ გეშინიათ, ქალიშვილო, არ გიკბენთ. _ სესილი დაამშვიდა ზორბეგმა.
`უარესი არ მიქნას,~ გაიფიქრა სესილმა და კედელ-კედელ აუყვა კიბეებს. `ძაღლმა არ მიქნას, თორემ დიმიტრისთან ლიფტშიც მზად ვარ~.
_ გამაგიჟა, რა... დღე ერთია და ხუთჯერ მარბენინებს იპოდომზე. _ დაიწუწუნა ზორბეგმა.
_ ჰაერზე გასეირნება შენთვისაც კარგია. _ დაამშვიდა დიმიტრიმ.
_ ეეხ, რა გასეირნება, თუ ძმა ხარ, დაოთხილი მარბენინებს წინ და უკან. დედალი არ დატოვა გაუტესტავი... ყნოსვა მაქვსო, ამან უნდა თქვას...

_ _ _

არჩილ ჩიქოვანი სააბაზანოში იჯდა და სარკეში აკვირდებოდა თავზე წათხიპნილ ჭაობისფერ მასას. რომ არა სრული გამელოტების საშიშროება, უეჭველად ურს იტყოდა მსგავს ექსპერიმენტზე, მაგრამ დედამისი შეუჩნდა: ინა ქიმია არ გეგონოს, ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული პროდუქტია, კანის სტრუქტურას აუმჯობესებსო, თმის ძირებს ამაგრებსო...
ესეც დათანხმდა. ყოველთვის დამჯერე შვილი იყო. თითქმის ყოველთვის.
ამ ბოლო დროს ყველამ დააღალატა, თმამაც კი. ისედაც დაობლებულ ბალიშზე დილაობით იმდენი თმის ღერი ეყარა, არჩილს ლამისაა სიმწრით ეყმუვლა. ასე თუ გაგრძელდა, მალე საჯდომივით გადაუპრიალდება თავი. მერე რა, რომ მის წიაღში გენიალური აზრები ბუდობენ? ადამიანი ერთი შეხედვის უნდა ტოვებდეს შთაბეჭდილებას, მით უფრო ცოლის მაძიებელი ადამიანი.
აი, რომ მომღერალი ყოფილიყო, ბოჰემა, არც დაფიქრდებოდა, ისე გადაიპარსავდა თავს. შავ სათვალეს დაიკოფსებდა, თეთრ პიჯაკს მოირგებდა და ბოლში გახვეული გამოხტებოდა სცენაზე. მაგრამ არჩილი მეცნიერი იყო, მეცნიერს კი შუბლზე დაყრილი ლომისებრი ფაფარი უხდება, ყოველ შემთხვევაში ფაფრის იმიტაცია მაინც. ჩვენში რომ

დარჩეს, ეს ვარიანტიც ცადა, მაგრამ სათვალიან ოფოფს დაემსგავსა. თუმცა, დედა უმტკიცებდა, გიხდებაო.

არჩილმა საფეთქელზე ჩამოწუწული ტალახისფერი მასა თითით მოიწმინდა. ხელები თეთრი ჰქონდა, ფითქინა, ცისფრად დაძარღვული. თვეში ერთხელ დედა, ქალბატონი ინესა ვაჟიშვილს ფრჩხილებს უწესრიგებდა ხოლმე. არჩილს სიამოვნებდა ეს პროცედურა. თბილ წყალში ჩაყოფილი თითები ბავშვობას ახსენებდა, იმ დროს, როცა დედას სილამაზის სალონში დაჰყვებოდა ხოლმე. კრიჭ-კრიჭ... ერთმანეთს კოცნიდნენ მაკრატლის გალესილი გვერდები. ღერძიანი სავარძელის გარშემო თმა ეყარა _ დედის თმა. ერთ დროს ხშირი და წაბლისფერი, დღეს _ მეჩხერი და სპილენძისფრად შეღებილი, თუმცა საგულდაგულოდ დავარცხნილი. ღერი ღერზე, რომ იტყვიან.

_ 10 წუთიც მოიცადე, დედიკო, და ხელად ჩამოგბან. _ ინესამ საღებავიანი ჯაგრისი ნიჟარაში ჩააგდო და შვილი სარკეში შეათვალიერა. _ ეს დღეები რაღაც არ მომწონხარ, შეშუპებული თვალები გაქვს, უძილობა ხომ არ გაწუხებს?

შეშუპებული თვალები ინესამ სპეციალურად ახსენა, შვილის ლაპარაკში გამოწვევა სურდა. პირდაპირ ხომ არ კითხავდა, შენს შარვალში ბიუსტიმულატორის აბები ვიპოვე და ამიხსენი რას ნიშნავსო. პირდაპირ არა, მაგრამ შემოვლითი გზით შეიძლება. მაგალითად, სიტყვის ჩამოგდება ზოგადად იმპოტენციაზე და გამომწვევ მიზეზებზე. იქნებ აჩიკომ არ იცის რა იწვევს ნაადრევ იმპოტენციას?
ეს დღეები ინესა სამედიცინო ენციკლოპედიას დააკვდა და არა მხოლოდ შვილის, გარდაცვლილი ქმრის პრობლემებსაც მოუძებნა ახსნა. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ბოლო რამდენიმე წელი ის და მისი აკადემიკოსი თანამეცხედრე გულბაათ ჩიქოვანი და-ძმასავის ცხოვრობდნენ. თურმე ნუ იტყვით, მაღალინტელექტუალური საქმიანობა ძირს უთხრის სექსუალობას! რაც უფრო რთულია მამაკაცის სულიერი სამყარო, მით უფრო მეტად იბლოკება სქესობრივი ლტოლვის მექანიზმი. ღმერთმა ნუ ქნავს, რომ მის დედისერთა ბიჭს დაოჯახებამდე დაემართოს მსგავსი კაზუსი. გულბაათს როცა პრობლემები დაეწყო, ათი წლის შვილი ჰყავდათ უკვე. არჩილს კი ყველაფერი წინა აქვს, ერთი ცოლი არ გამოადგა, მეორეს მოიყვანს.
ნეტავ ქეთევანი შეირთოს, აგნესას საოცნებო რძალი... ზრდილი, თავშეკავებული, პროფესორების ოჯახიდან...

_ მითხარი, რა გაწუხებს... _ რბილად გაიმეორა ინესამ.
არჩილმა თავი გააქნია. არ იყო ლაპარაკის ხასიათზე, თორემ დედასთან რა ჰქონდა დასამალი? დედას ყველანაირი მოსწონდა. არჩილსაც მოსწონდა დედის თვალით დანახული საკუთარი თავი, ქათინაურები რაღაც აუხსნელ, სენტიმენტალურ ტრანსში აგდებდა. თუმცა ბოლო დროს საკუთარი უნიკალურობა აღიზიანებდა კიდეც, უფრო სწორედ, ინესას სუბიექტური დამოკიდებულება. არ შეიძლება მთელი ცხოვრება დაბრმავებულმა იარო, შვილს ხანდახან კრიტიკული შენიშვნაც უნდა მისცე, დაუყვავო... არ არსებობს იდეალური ადამიანი, როგორც დედას ჰგონია. არსებობს იდეალური წარმოდგენები და დედა მათ ტყვეობაშია. ჯერ ქმარი ჰყავდა გაფეტიშებული, მოგვანებით შვილზე გადაერთო. ორი უნიკალური ადამიანი ერთი ქალის ცხოვრებაში, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტია.
სესილმა გაშიფრა მისი ნამდვილი არსი და ზურგი აქცია. ინესამ არ იცოდა, რა შავმა კატამ გაირბინა ცოლ-ქმარს შორის, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, შვილს გაამართლებდა: `შენ წინდახედულად მოიქეცი, არჩილ, თორემ მოგკლავდნენ, ანდა უარესი: გაგაუპატიურებდნენ~... კი, ასე ეტყოდა, თითქოს ორსული სესილის გაუპატიურება ნაკლები უბედურება იქნებოდა.

ყველაზე მეტად მიტოვებული ქმრის სტატუს ვერ ინელებდა, იდეაფიქსად ექცა სესილის შემორიგება. წარმოუდგენელია, ვიღაც ინალ არჩაბაძის ქალიშვილმა დაიწუნოს კაცი, რომელის გვარი სამ აკადემიკოსს ითვლის! რომ აღარაფერი ვთქვათ

საგვარეულო გერბსა და შტოზე. სესილმა კი აბორტი გაიკესა, ვიღაც პეჟოიან პიჟონთან გააბა რომანი! ვინ იცის, მეორე ლანდაუ უნდა გამოჩეკილიყო მისი საშოდან... ნობელის პრემიის ლაურეატი, ბაბუის დაწყებული კვლევის ღირსეული გამგრძელებელი...

_ კბილებს აკრაჭუნებ, შვილო... რაღაც არის შენ თავს და მიმალავ. _ ინესამ ონკანი მოუშვა და წყალი გაანელა. _ დაიხარე, ჩამოგბან.

არჩილმა თვალები დახუჭა და სოლომონ დვალის შავი ჯიპი დაინახა. რა საქმე ჰქონდა ამ ავანტიურისტსა და მის ნაციხარ დამქაშს სესილთან? უნდა დარეკოს და გაარკვიოს. სხვათაშორის ჰკითხავს, ვის ეძებდა ამა და ამ მისამართზეო. საინტერესოა, რას უპასუხებს.

_ ასეც ვიზამ! _ წამოიძახა ხმამაღლა.

_ რა თქვი? _ გაეპასუხა დედა.

_ პირსახოცი მომაწოდე.

ნახევარ საათში თმაჩამობანილი არჩილი კაბინეტში განმარტოვდა. რა დიდი ვაჟკაცობა უნდა ყურმილის აღებას და ნაცნობი ნომერის აკრეფას, მაგრამ აჭიანურებდა. სოლოს კატეგორიული, საკუთარ თავში დარწმუნებული მამრის ხმა წინასწარ აფრთხობდა.

გაბედა.

_ არჩილს გაუმარჯოს. რამ გაგახსენა ჩემი თავი? _ გაუკვირდა სოლოს.

_ ამასწინათ ხილიანზე მოგკარი სვალი, მაგრამ ვერ გაგაგონე, ვიფიქრე დავრეკავ, მოვიკითხავ...

_ ხილიანზე? _ სოლო აშკარად დაიძაბა. _ კონკრეტულად სად?

_ სკოლასთან დავინახე შენი ჯიპი, ჩიორაც გვერდით გეჯდა, როგორც ყოველთვის.

_ ხილიანზე რა გინდოდა, შე კაცო?

_ ყოფილ ცოლთან გახლდი სტუმრად. _ ჩაურტყა არჩილმა, იმ იმედით, რომ სოლო ყოფილი ცოლის ვინაობას ჰკითხავდა.

_ უყურე შენ?... არც ვიცოდი, ცოლი თუ გყავდა...

_ წელიწადზე მეტია, რაც დავშორდით.

_ რა ჰქვია შენს ცოლს?

_ სესილი. სესილ არჩაბაძე.

ყურმილის მეორე მხარეს დუმილი ჩამოვარდა.

_ სოლო? _ დაუძახა არჩილმა.

_ არჩილ, მოგვიანებით გადმოგირეკავ, რა... მანქანამ მომაკითხა, აიკლო სიგნალით ყველაფერი.

არჩილის ვარაუდი გამართლდა. სოლომ მოსაფიქრებლად ტაიმ-აუტი აიღო. გაბმული ზუმერი სხვა არაფერია, თუ არა მისი ეჭვის დასტური. ბატონი სოლომონი შოკში ჩააგდო სესილის ხსენებამ. ახლა ზის და ფიქრობს: რა მოუხერხოს პარლამენტარ არჩილ ჩიქოვანის ცოლს, თუნდაც ყოფილს? ყოფილი ცოლი, ყოფილი ოჯახი, ყოფილი სამსახური... ყველაფერი ყოფილი აღმოჩნდა არჩილის ცხოვრებაში.

მაგიდის უჯრა გამოსწია, სადაც იდო მისი ორწლიანი კვლევის შედეგი _ მსუქანი საქაღალდე სახელწოდებით: `თოხთამიშის მახვილი~. ამ ნაშრომს უნდა უმადლოდეს პარლამენტარის სკამს, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან არაფერში ჭირდებოდა, თუ არ ჩავთვლის ჟურნალის ყდაზე გამოჭიმულ რამდენიმე ფოტოს და ქალბატონი ინესას მაღალფარდოვან ინტერვიუს.

საქაღალდეში ინახებოდა არქივში მოპოვებული ხელნაწერების ქსეროასლებიც. ხელნაწერების ცალკეულ ფრაგმენტებს არჩილი სიძველეთსაცავში მუშაობისას წააწყდა, შეძლებისდაგვარად აღადგინა და თანმიმდევრობით დააწყო. თუმცა დღემდე აუხსნელი რჩებოდა ერთი ფაქტი: ვინ იყო უცნობი მემატიანე და რა მიზანს ისახავდა შვიდი საუკუნის წინანდელი მისტიკური ამბების აღწერისა?

ხელნაწერების გაშიფვრაზე მუშაობის პერიოდში არჩილს არ ტოვებდა შეგრძნება, რომ ის მარტო არაა, რომ თავთით უცნობი მემატიანის ფანტომი ადგას. ის არ იყო მისტიკურ ნოტზე აწყობილი ადამიანი, აქედან გამომდინარე, თქმულებას თოხთამიშის მახვილზე ვიღაცის (თუნდაც მემატიანის) ფანტაზიის ნაყოფად აღიქვამდა და არა რეალურ ფაქტად. თუმცა, ხელაღებით არც იმის უარყოფა შეიძლებოდა, რომ ნებისმიერი ლეგენდას საფუძვლად უდევს სიმართლის მარცვალი. თუკი არსებობს ლეგენდა თბილისურ ხოხობზე, რატომ არა აქვს არსებობის უფლება ლეგენდას თოხთამიშის მახვილზე?
თქმულების თანახმად მახვილი ჯადოსნურ თვისებებს ატარებდა, თუმცა დაკონკრეტებული არ ყოფილა ამ თვისებების შინაარსი. ერთ-ერთი ვერსიის მისი უკანასკნელი მფლობელი ყოფილა ვინმე თაყა თორელი, რომელმაც თემურ ლენგის მერვე შემოსევისას ქონების ნაწილი, მათ შორის თოხთამიშის მახვილი, სადღაც გადამალა. არჩილმა დიდი ძალისხმევის ფასად მოახერხა წინაისტორიული რუკის აღდგენა და განძის სავარაუდო ადგილმდებარეობის დადგენა.
გათხრებზე ნებართვის მისაღებად პროფესორმა არჩილ ჩიქოვანმა სოლომონ დვალს მიაკითხა. არქეოლოგიის სამსახურის უფროსი ისე დააინტერესა თოხთამიშის მახვილის მისტიკურმა ისტორიამ, უმოკლეს ვადებში მოაწერა ხელი ნებართვას. მეტიც, პირადად ჩაუდგა სათავეში ახალგორის ექსპედიციას.
არჩილი ხელმეორედ ჩაუღრმავდა ხელნაწერს. იქ, იმ ცხოვრებაში 1403 წელი იდგა...

_ _ _

მზე შუბისტარზე დგას. ცხელა. ბირთვისის ციხეში გამაგრებული ქართველები გახურებულ კისრებზე წყალს ისხამენ. ქვევით, მთის ფერდობზე შფოთავს, იგინება, ოფლად იღვრება თათართა გაავებული ურდო. დაიღალნენ. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. თემურ ლენგისთვის არ არსებობს აუღებელი ციხე-სიმაგრე.
ციხის შიგნით, სამეურნეო ნაწილში ბავშვიანი ქალი შეყუჟულა. ქალი ზღაპარს ყვება. მისი კანკალა ხმა ჩიტის ბარტყივით აწყდება ციხის კედლებს, ბიჭი ვერ გრძნობს დედის შფოთვას, მთელი გულისყური ზღაპრისკენ აქვს მიმართული.
`...ქალმა მონადირეს უთხრა: წაიყვანე ეს ბავშვი, სამი დღე-ღამე უშობელი დეკეულის გვამში გააჩერე, ერთი დღე-ღამე კურატის გვამში... უფალმა ღმერთმა ნათლულს აღელვებული მდინარის სიმარდე, მგლის მუხლი და გაქანებული გუთნეულის ძალა დაანათლა...~
_ დედი, გვამში განა არ დაიხრჩობა?
_ ზღაპარში ყველაფერი შეიძლება, ჩემო პატარავ.
_ სინამდვილეში?
ქალი არაფერს პასუხობს. სინამდვილე მკაცრია და დაუნდობელი. ის დაუბანელი ურდოს სუნად ყარს.
მოულოდნელად დღეს ღამე შეცვლის. მთვარე თითქოს განგებ უნათებს გზას კლდეზე ცოცვაში გაწაფულ ურდოელ მზვერავს, რომელიც შეუპოვრად მიიწევს წინ. სულ ცოტაც კოშკს მიაღწევს, აბრეშუმისგან დაწნულ თოკს ქონგურზე ჩამოაცმებს, ტკბილ ძილს დაუფრთხობს შეზარხოშებულ ქართველებს...
უცებ ყველაფერი ნათდება, თითქოს ვულკანმა ამოხეთქა ციხის შუაგულიდან. მტრი უკვე ალაყაფის კართანაა _ ტარანებით, არბალეტებით, კატაპულტებით...
მოულოდნელი თავდასხმით დაბნეული ქართველთა გარნიზონი მტრის მოგერიებას ცდილობს, ქონგურებიდან ცვივა ქვები, იღვრება ადუღებული კუპრი, წუილი გაუდის ისრებს... ჰაერში დამწვრი ხორცის, გაჭყლეტილი ნაწლავისა და კვამლის სუნი ტრიალებს... ომის სუნი. სისხლისგან იცლება ერთმანეთს ჩახუტებული დედა-შვილი. კოჭლი თემური გამარჯვებას ზეიმობს...

სოლომონმა თვალი გაახილა. დრო საღამოს ხუთ საათს უჩვენებდა. არჩილთან ლაპარაკის შემდეგ აზრების მოსაკრებად ლოგინზე წამოწვა. თურმე ჩასძინებია, სულ ათიოდე წუთით, მაგრამ რამდენის ნახვა მოასწრო!
ინსტიქტურად შეაცოცა ხელი ლეიბის ქვეშ, მახვილის ვადა მოსინჯა. ის აქ იყო, უფასო ბილეთი წარსულში! მერე რა, თუკი იმ წარსულს სისხლის სუნი ასდიოდა?! არც თანამედროვეობა გამოირჩევა ღვთიური ამბრით. სოლომონი ცოცხალი თავით არ დათმობს ენით აუწერელ, ყოვლისშემძლეობის განცდას, რასაც ჯადო-მახვილი ანიჭებს. რომელი ჭკუათმყოფელი გაუშვებს ხელიდან დროის გარღვევის შანსს? ასიათასიდან ერთ შანსს... თუ მილიონიდან, ან მილიარდიდან?...
დასანანი ისაა, რომ ვერავის უზიარებს წარსულში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. არადა, მსმენელი სჭირდება. ჰაერივით. ეს იგივეა, კიბოს წამალი იცოდე და კაცობრიობას უმალავდე. ჩიორასთან გულის გადაშლა რისკია. არ არის გამორიცხული, აქეთ დააშანტაჟოს. კაცს, რომელსაც არავინ და არაფერი უყვარს, დასაკარგიც არაფერი აქვს. თუ არ ჩავთვლით მტრედებს და ნოსტალგიას ცოლიკაურის ჯიშის ვაზზე, რომელიც ბაბუამისს მოჰყავდა თურმე სამეგრელოში.
მერიკო არ ემეტებოდა მესაიდუმლედ... შეიძლება ბოდვად ჩაუთვალოს მამამისს და პირში თქმა ვერ გაბედოს. დარჩა არჩილი. მაგრამ ის დაწყევლილი ქალი მისი ყოფილი ცოლი აღმოჩნდა! რომ მიასიკვდილონ, სკანდალი აიწევა. არჩილი, ეს ინტელექტს ამოფარებული ფრთხილი ბაჭია, სველ საქმეზე წამსვლელი არაა. არა უშავს, ამ ეტაპზე სესილის შეშინებაც საკმარისია. მაგრამ თუ არ შეეშინდა და პოლიციაში გაიქცა? არა, არა, ფიქრიც არ უნდა მახვილის დაკარგვის შესაძლებლობაზე! ეს იგივეა, უარი თქვა შენი ცხოვრების საუკეთესო წუთებზე. მერე რა, რომ ამ ყველაფერს ხილვების ელფერი დაჰკრავს, სიზმარიც ხომ თავისებური ხილვაა...
სხვათა შორის, ხილვები სოლოს ჯერ კიდევ ბავშვობაში დასჩემდა, ბებიამისის სარდაფში ჯეირანის რქას რომ გადააწყდა, მაშინ. ისე მოეწონა სპირალივით დაკლაკნილი რქა, რომ ძილის წინ ბალიშის ქვეშ ამოიდო, სიზმრად კი ნადირობის სცენა ნახა...
ვითომ, შავი ავაზა თავს ესხმოდა ჯეირანის ჯოგს. ჯეირანი გარბოდა, დაოთხილი ავაზა მისდევდა, ეწეოდა, ერთი დარტყმის აგდებდა მიწაზე და ბასრ კბილებს ყელში ასობდა. ცივ ოფლში გაღვიძებულ სოლოს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ავაზა ჯეირანს კი არა, მას მისდევდა,... მას ეწეოდა, მას კლავდა, მის ლეშთან ფუთფუთებდნენ ყელმოშიშვლებული და კუჭებაწრიალებული სვავები.
მისტიკურ რქას პატარა სოლო საკუთარი ნებით გამოეთხოვა, მობეზრდა მუდმივად მსხვერპლის როლში ყოფნა. ადგა და მიწაში ჩაფლა.
მერე იყო ნიჟარა... ზღვის ნაპირზე ნაპოვნი პატარა, ლამაზი ნიჟარა, რომელსაც სოლომ თასმა გაუყარა და ყელზე ჩამოიკიდა. და დაიწყო სიზმრების ახალი წყება: წყლისქვეშა სამყარო, თევზები, მოლუსკები... ერთხელ გვამსაც მოჰკრა თვალი, დინებას მიჰყვებოდა მედუზების ესკორტის თანხლებით. მერე იყო ბაბუამისის ფეტრის ქუდი, რომლის საფარქვეშ თავს ნამდვილ პენსიონერად გრძნობდა. პენსიონერად ყოფნა მოსაწყენი იყო. დღეები ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს. დილით მურაბიანი ჩაი, საღამოს _ სკვერში გასეირნება, ღამე _ მუხლების ტკივილი.
გაცილებით საინტერესო იყო იმავე ბაბუის ომგამოვლილი მათარიდან წყლის დალევა... ტყვიამქვევის კაკანს ფოქსტროტის მელოდია ერთვოდა, ჩექმიანი ფეხების ბაგაბუგს ძაღლის ყეფა.
ეს იყო გზა უკვდავებისკენ, უსასრულობისკენ... სიკვდილი სულაც არ ყოფილა ოთხი ფიცარი, როგორც სოლოს წარმოედგინა, არამედ სხვა განზომილება, რომელშიც შეღწევას (რაც მთავარია, უკან გამოღწევას) ის რაღაც გზებით ახერხებდა.

და ახლა, როცა მისი ფსიქიკა მზადაა დატკბეს განგებისგან ბოძებული ნიჭის შედეგებით, ვიღაც ჟურნალისტს სიმართლის დადგენის მახრა შეუჩნდა. ვერ მოართვეს! ჟურნალისტი ბევრია, სოლო _ ერთადერთი.
სოლო კრიახით წამოიმართა ლოგინიდან და სააბაზანოში გაემართა თავის მოსაწესრიგებლად. ერთ საათში გალერეაში უნდა იყოს, ნაცნობი მხატვრის პერსონალური გამოფენის გახსნაზე. სოლოს წასვლა ეზარებოდა, მაგრამ მის არყოფნას ამბიციური მხატვარი პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. კლიენტის გაბრაზება კი არ შეიძლება. ეს იყო ოქროს წესი, რომელსაც გალერეის მეპატრონე არასოდეს ღალატობდა.
სააბაზანოს კართან არმისულს მერიკოს კისკისი შემოესმა. შედგა. როდის აქეთია მისი ქალიშვილი ასე ვულგარულად კისკისებს?
სოლომ ნაბიჯი შეანელა. მიაყურადა. მერი ვიღაცას მობილურზე ელაპარაკებოდა და დროგამოშვებით ზუსტად ისეთივე პირველყოფილი აღტკინებით კისკისებდა, როგორც ის ცალტვინა თინეიჯერები შარდენის ქუჩაზე.
_ მეც ძალიან მომენატრე...
რაო? მერიკოს ვიღაც ენატრება?
_ ექვსისთვის გალერეაში მიბრძანდება... შვიდის ხუთ წუთზე გელოდები... მეც.
სოლო იატაკს შეეზარდა. ორიოდე წამს ასე იდგა, არც მკვდარი, არც ცოცხალი. თავს ძალა დაატანა და ზამბარასავით დაჭიმული სხეული სააბაზანოში შეიტანა.
მისი სანაქები ქალიშვილი ვიღაცას ხვდება, თანაც სად, საკუთარ სახლში! არა, 17 წლის გოგოს შეიძლება ვიღაც მოსწონდეს, მაგრამ მერიკო ხომ განსაკუთრებულია! ამას ყველა აღნიშნავდა _ მასწავლებლებიც, ნათესავებიც, მზარეულიც კი. და უცებ, ეს ინტიმური ხითხითი... გაფიქრებაც არ უნდა რისი მომასწავებელი.
სოლომ ნაჩქარევად ჩამოიპარსა ლოყები, პირი შეიმშრალა და დაკვირვებით შეათვალიერა სარკეში საკუთარი გამოსახულება. იყო მასში რაღაც დემონური _ ასიმეტრიული წარბები, მძიმე ქვედა ყბა, დიდი პირი _ თავხედი და მგრძნობიარე... მერიკომ თუ უმტყუნა, სერიოზულად დაფიქრდება ცოლის მოყვანაზე. მე შენ გეტყვი ქალების ნაკლებობას განიცდის?! ერთის ნაცვლად სამი საყვარელი ჰყავს, სამივე ერთმანეთზე უკეთესი.
ასაკით ყველაზე უფროსი თევზის რესტორანის დირექტორად მუშაობს, საქმიანი ქალის იმიჯი აქვს და თავის დაჭერაც ეხერხება, მაგრამ სოლოს მუდმივად ეჩვენება, რომ `თავდაჭერილ~ დირექტრისას თევზის სუნი ასდის. მაგალითად, ნიორწყალში ჩადებული ლოქოსი. როგორ შეიძლება ცოლად მოიყვანო ქალი ლოქოს ასოციაციით? მეორე, ორშვილიანი და ქმარგაყრილი, სილამაზის მეთევზეს ჯაბნის, მაგრამ სხვისი შვილები კი არა, სოლოს ზოგჯერ საკუთარის შვილი აღიზიანებს. მესამე საყვარელი ფაქტობრივად იდეალურია, არც სუნის პრობლემა აქვს, არც შვილების, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს _ საშინლად უნდა გათხოვება. სოლოზე უარყოფისად მოქმედებს მისი მახრჩობელა შემოტევები. ამ ქალის ნებისმიერი ჟესტი, ღიმილი თუ რეპლიკა სოლოს ოჯახურ მარწუხებში მოსაქცევად არის მიმართული. და რაც მეტად ცდილობს, მის მეტად შორდება სანუკვარ მიზანს.
სააბაზანოს მართკუთხა ფანჯარიდან მოჩანდა პატარა ეზო. სოლოს მოკრძალებული დიზაინის ნიმუში _ მოხრშილი ბილიკებით, ჯუჯა წიწვოვნებით, მასიური, დეკორატიული ქოთნებით... ალაყაფთან ჩამომჯდარი ჩიორა მტრედებს უმასპინძლდებოდა პურის ნაფხვენებით. მტრედები თამამად მარშირებდნენ ხელგაშლილი მასპინძელის გარშემო. ჩიორა ამაყი ჩანდა, როგორც ადამიანი, რომელმაც ეს-ესაა სოლიდური თანხა გადარიცხა უპატრონო ბავშვსა თავშესაფარში.
ავთო გაბედავა, მეტსახელად ჩიორა სოლომონმა 7 წლის წინ გაიცნო, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციას რომ ხელმძღვანელობდა, მაშინ. რეკომენდაცია ერთმა ცნობილი ავტორიტეტმა გაუწია: ნაპატიმრალი ბიჭია და იქნებ მიმიხედოო. მართლა

მისახედი იყო. გამხდარი, უშნოდ აწოწილი, უკბილო... სამაგიეროდ, ვირივით მუშაობდა, ბარსა და წერაქვს ვერ გააშვებინებდი ხელიდან. დაღამებულზე, როცა ექსპედიციის წევრები კოცონს შემოუსხდებოდნენ, ჩიორა განცალკავებით იჯდა და ბულვარულ რომანებს კითხულობდა. მერე და მერე ხორციც მოისხა, კბილებიც ჩაისვა და ადამიანს დაემსგავსა, მაგრამ სოლომინთან დამეგობრება ერთმა ინციდენტმა გამაპირობა.
ეს მოხდა არმაზისხევის გათხრებზე, სადაც ჩიორამ იშვიათი სილამაზის ნივთი იპოვა _ მამაკაცის ბიუსტიანი ოქროს თასი წონით 1 კილოგრამი და 200 გრამი. ჩიორამ სხვებისგან დამალულად თასი კარავში განმარტოვებულ სოლომონს მიურბებინა:
_ ჩემ გარდა არავის უნახავს.
_ მაგით რისი თქმა გინდა? _ გამომცდელად ჰკითხა სოლომონმა.
ჩიორამ თვალი თვალში გაუყარა და უსიტყვოდ გაეცალა.
უნიკალური თასი სოლომონმა შავ ბაზარზე გაყიდა. სწორედ მაშინ გაიგო პირველად დიდი ფულის გემო, ჩიორა კი ნდობით აღჭურვილ პირად გადაიქცა.
_ ჩიორა! _ გადმოსძახა ფანჯრიდან.
ჩიორამ ქვევიდან ამოხედა.
_ დღეს არ დამჭირდები, შეგიძლია წახვიდე.
ჩიორამ თავი დაუქნია, შარვალზე დაყრილი ნამცეცები დაიფერთხა და კარიბჭეში გაუჩინარდა. ნდობით აღჭურვილი პირია თუ რაც არის, დვალების პირადი ცხოვრების დეტალები არ უნდა იცოდეს.
ექვს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა სოლოს ჯიპი ეზოდან გავიდა. ცხადია, გალერეაში წასვლა გადაიდო, რა დროს კლიენტია, მგონი ოჯახი ენგრევა თავზე.
ბინდდებოდა. სოლომ მანქანა პარალელურ ქუჩაზე დააყენა, `ტაურუსის~ ნაგანი ქამრის სალტეში გაირჭო და სახლის უკანა ფასადიდან და სამზარეულოში შეიძურწა.
მოწნულ კალათაში დახვავებული ხილის ასორტი შემოდგომის სურნელს აფრქვევდა. პირს გაისველებდა კაცი, მაგრამ სოლოს ჭამისთვის არ ეცალა. სამზარეულოდან ჰოლში, იქიდან კი მეორე სართულზე გადაინაცვლა.
ადამიანის სიმაღლე სარკემ მისი დაძაბული სილუეტი აირეკლა. რამდენიმე ნაბიჯი და უკვე თავის საძინებელშია. ახლა ჩუმად ყოფნა და ლოდინი მართებს.
შვიდის წუთებზე მერიკო კიბეზე დაეშვა. ქვევით მოგუდული ხმები გაისმა: ქალის დ მამაკაცის. ისევ კიბე. მერიკოს საძინებელი...
სოლომ ათამდე დაითვალა, ჰაერი ჩაისუნქა და ტორეადორის შემართებით დაიძრა შვილის ოთახისკენ.
მერიკოს შეყვარებული ზურგით იდგა კარისკენ. სოლო ვერ ხედავდა მის სახეს, მხოლოდ დაძარღვულ ხელებს, ურცხვად მოსრიალეს მერიკოს მოშიშვლებულ მკერდზე.
`აჰ!~ წამოიკივლა მერიკომ, როცა კარში მდგარი მამამისი დაინახა. იმანაც მოიხედა, შეყვარებულმა. სოლომ ჩიორა იცნო.
_ მერიკო ჩემი ცოლია. _ ამოღერღა ჩიორამ.
_ სიკვდილია შენი ცოლი. _ სოლომ ნაგანი ამოიღო და ესროლა.
ჩიორა შეტოტმანდა. ცოტა ხანს გაკვირვებული ლაყლაყებდა, მერე უცებ მოიცელა და სახით იატაკს დაენარცხა.

_ _ _

დიმიტრიმ თვალი გაახილა და პირველი რაც დაინახა, იყო ქალის ვარდისფერი ფაჩუჩები. ისინი უწესრიგოდ ეყარა იატაკზე, მის პატრონს კი დიმიტრის მკლავზე ეძინა. ის, რომ მასა და სესილს შორის რაღაც მოხდება, ლიფტში ყოფნისას იგრძნო, მაგრამ თუ ასე სწრაფად განვითარდებოდა მოვლენები, არ ეგონა.

ყველაფერი მამამისის ბრალია. უმცროსი ვაჟის ნიშნობაზე ისე გამოთვრა, ერთად ადღეგრძელა დიმიტრი და სესილი. დიმიტრიმ ტაქტიანად შეახსენა, რომ სესილი მისი უბრალო ნაცნობია, მაგრამ ალკოჰოლით ტვინნაღრძობ მშობელს ვერაფერი შეასმინა და გაბრაზებულ გულზე თვითონც მიეძალა სასმელს. ყველაფერი იმით დამთვარდა, რომ მამაზე არანაკლებ შემთვრალმა დიმიტრიმ ხელი სესილის ფეხისკენ გააცურა. ადრე არასოდეს დაუკარგავს კონტროლი საკუთარ თავზე, წუხელ კი თითქოს ვიაგრაგარეული ღვინო შეაპარეს. მაგიდის ქვეშ დაწყებულმა ჩალიჩი კიბის ბაქანზე გაგრძელდა. რომ არა სესილის კატეგორიული თხოვნა, დიმიტრი პირდაპირ მანქანაში დააცხრებოდა, ლამპიონებით გაჩახჩახებულ გამზირზე.
მართალია სახლამდე მიაღწიეს, მაგრამ ლოგინამდე _ ვერა. ოთახში მიმოფანტულ სამოსს თუ დაეჯერება, ერთი ჭერზე არ შემხტარან, თორემ ადგილი არ დაუტოვებიათ ინტიმური კვალის გარეშე.
ასე იცის გრძელმა პაუზამ... თუ ღვინომ?... თუ უფრო სერიოზულ გრძნობასთან აქვს საქმე?
დიმიტრიმ მკერდზე დადებულ თავს შეხედა. სესილს ეძინა, ოდნავ უკრთოდა გრძელი წამწამები. უდავოდ მომხიბვლელი ქალი იყო, ტემპერამენტიანი... რომ არა ვარდისფერი ფაჩუჩები, თავისუფლად შეიძლებოდა იდეალურ ურთიერთობაზე ლაპარაკი, მაგრამ უდანაშაულო ფაჩუჩები დიმიტრიმ ფარულ ინტერვენციად აღიქვა. ფაჩუჩებს კბილის ჯაგრისი მოჰყვება, ჯაგრისს _ სავარცხელი, საცვალი, პარფიუმერია... ფაჩუჩებიდან კაპიტულაციამდე ერთი ნაბიჯია.
მისაღებში მობილურმა დარეკა. დიმიტრი ფრთხილად გამოძვრა ლოგინიდან. ბაჩას დედა რეკავდა, გამოძიების მსვლელობა აინტერესებდა.
_ ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ ერთი: თქვენი შვილი თოხთამიშის მახვილს შეეწირა. _ უთხრა დიმიტრიმ.
_ და უწინდებურად არ გსურთ შემკვეთის ვინაობის დასახელება.
_ რაღაც დეტალები დამრჩა დასაზუსტებელი, თუ რამეა, პირველ რიგში თქვენ შეგატყობინებთ.
ქალბატონი ელენე აშკარად არ დაკმაყოფილდა პასუხით, არაფრისმთქმელი `გასაგებია~ ესროლა და გათიშა.
_ რა დეტალები დაგრჩა გასარკვევი? _ ზურგიდან მიეპარა სესილი.
_ საიდან მოხვდა შენი ქმრის ხელში ინფორმაცია მახვილის შესახებ?
_ დავურეკავ და ვკითხავ.
_ არ გეტყვის სიმართლეს. თუ ამ ისტორიაში მისი ხელიც ურევია, მით უმეტეს.
_ მაშინ მითხარი რა გავაკეთო? _ სესილმა დიმიტრის კალთაში გადაინაცვლა. კისერზე ხელები შემოხვია და გულზე მიეკრა. თავს იმ ბარტყივით გრძნობდა, რომელმაც დიდი წვალების შემდეგ მიაგნო მშობლიურ ბუდეს.
_ შენს ყოფილ ქმარს კომპიუტერში ექნება ინფორმაცია?
_ კომპიუტერი საერთოდ არა აქვს. მობილური რომ მობილურია, ისიც ძალით ვაყიდინე.
_ სახლში არ მოჰქონდა სამუშაო?
_ მოჰქონდა. დღის პირველ ნახევარს უნივერსიტეტში ატარებდა... სიძველეთსაცავის, ეროვნული ბიბლიოთეკის, არქივის ხშირი სტუმარი იყო. შინ ქსეროასლები მოჰქონდა ხოლმე, კითხულობდა, სწავლობდა, საქაღალდეებში ახარისხებდა.
_ არასოდეს დაინტერესებულხარ მისი კვლევებით?
_ როგორ არა?! მე ხომ პროფესიის ხელოვნებასმცოდნე ვარ?! მახსოვს, ბრინჯაოს ხანის გორა-სამარხებს იკვლევდა, სოფელ ლილოსთან და გაკვირვებული იყო: სამარხებში ადამიანის ძვლების ნაცვლად საქონლის ძველები აღმოჩნდა, იქვე იდო ბრინჯაოს იარაღი, ოქროს ნაკეთობები, საყოფაცხოვრებო ინვენტარი... არჩილმა, ვარაუდი გამოთქვა, რომ იმ დროში გარდაცვლილს კრემაციას უკეთებდნენ. ნაშრომიც

გამოაქვეყნა ამ თემაზე. ასევე დიდხანს ეძებდა მიქაელ მაღლაკელის ჭედურ ხატს, რომელსაც ერთ-ერთ მიყრუებულ ტაძარში მიაკვლია.
_ საინტერესოა. _ აღნიშნა დიმიტრიმ.
_ კიდევ მე-17 საუკუნის დასავლეთ საქართველოს ისტორიულ კატაკლიზმებზე მუშაობდა... როგორ ჩამოაგდეს ტახტიდან ლიპარიტ მეორე, როგორ დასვეს იმავე ტახტზე ვამეყ მეოთხე, მერე ისიც როგორ ჩამოაგდეს, მერე... მერე არ ვიცი, ყველაფერი კი არ მახსოვს?! _ გაიცინა სესილმა.
_ თოხთამიშის მახვილი არსად უხსენებია?
სესილმა თავი გააქნია, დიმიტრის გასაპარსი ყბები ხელისგულებში მოიქცია და სახე ახლოს მიუტანა:
_ პირდაპირ მითხარი, რა გინდა?
_ შენი ქმარყოფილის არქივი მჭირდება.
სესილმა გამამხნევებლად გაუღიმა და ტუჩებში აკოცა. დიმიტრიმ თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ ენთუზიაზმით უპასუხა.

_ _ _

ინესა ჩიქოვანი პასიანს შლიდა და შვილის მომავალზე ფიქრობდა. რთული აღმოჩნდა ღირსეული მეუღლის შერჩევა ერთადერთი შვილისთვის, სადაც გადააფურთხებ, უგვან კალიას მოხვდება. ერთი ასეთი კალია მის ოჯახშიც შემოფრინდა, ახტა-დახტა და როგორც შემოფრინდა, ისე გაფრინდა. ინესას არ გაჰკვირვებია, მაგრამ არჩილმა განიცადა, ალბათ მართლა უყვარდა ეს გაკრეჭილი ქალა-ბიჭა.
მაინც, რამ შეაყვარა? არც სიმაღლე მისცა ღმერთმა, არც მანერები... გემოვნებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია?! დედამთილის მირთმეულ ძვირფას სამკაულებს თავისი ხელით მოქსოვილი ჭინჭები ერჩივნა. დაძენძილ ჯინსებს რომ თვითნაკეთი სამაჯური უფრო შვენის, ეს ინესამაც კარგად იცის, მაგრამ პროფესორის ცოლს არ ეგების თინეიჯერივით სიარული. სამაჯურს ვინ დაეძებს, ფრანგული პარფიუმის ნაცვლად ტურტლიან ფესვებს დაათრევდა ხელჩანთაში. ისე გაასაჩუქრა არჩილის მიერ ლისაბონიდან ჩამოტანილი `ვივიენ ვესტვუდის~ სუნამო, თვალიც არ დაუხამხამებია. მაშინ, როცა ინესა დღესაც სასოებით ინახავდა გულბაათის ნახუქარ `ნინა რიჩის~ ცარიელ ფლაკონს.
და მაინც, ავად თუ კარგად, ოჯახი ერქვათ. ისეთი შეხმატკბილებული არა, როგორც ინესას და მის ცხონებულ მეუღლეს, მაგრამ სრულიად მისაღები. მერე რაღაც მოხდა. არჩილს არაფერი უთქვამს, არც ინესა ჩასძიებია. ნებისმიერ შემთხვევაში, ცოლის ადგილი ქმრის გვერდითაა ჭირშიც და ლხინშიც. არჩილისთანა გამორჩეული მამაკაცის ცოლობა იოლი არ არის, მოთმინებას მოითხოვს, სადღაც დათმობას, სადღაც დაყვავებას...
ინესა კარტს ჩაუღრმავდა. რას უნდა ნიშნავდეს კენტად დარჩენილი აგურის მეფე? ან ჯვრის ტუზზე დამჯდარი ყვავის ექვსიანი?... ავადმყოფობას? სიკვდილს?
ღმერთო, რა ეშველება არჩილს დედა რომ მოუკვდეს? დაობლებული შვილის წარმოდგენაზე ინესას სული ეხუთებდა. თავად სიკვდილი არ აშინებდა, ის კი არა, თადარიგიც წინასწარ დაიჭირა. კარადაში, სულ ბოლო თაროზე ინახებოდა კრეპჟორჟეტის საკუბოვე კაბა, ერთი ხელი საცვალი, ლაკის შავი ფეხსაცმელი, მარაო აჟურული ფირფიტებით, ქელეხზე დასაპატიჟებელ ნაცნობ-მეგობართა სია, გასადიდებელი ფოტოსურათი... ინესა არჩილის სულიერი მდგომარეობა ადარდებდა, თორემ იმქვეყნად რომ კეთილშობილ ნათესავთა დიდი არმია დახვდებოდა, მთელი გულით სწამდა.
_ დედა, სესილმა დამირეკა...
ინესამ კარტი აკრიფა და გამომცდელად შეხედა კარში მდგარ აჟიტირებულ არჩილს. `მადლობა ღმერთს~, გაიფიქრა გულში. თქმით, არაფერი უთქვამს.

_ უნდა მოვიდეს, დედა, სალაპარაკო აქვს ჩემთან. როგორ გგონია, რა უნდა მითხრას?

_ შერიგება უნდა.

_ ვითომ? _ არჩილი გიმნაზიატივით გაწითლდა.

_ ცხადია. სესილს ალბათ ეგონა დაეფეთებიან, კალთებს დააგლეჯენ... ეჰ, ჩემო კარგო, განათხოვარ ქალებს კი არა, ქალწულებს უჭირთ გათხოვება.

არჩილი არ შეჰკამათებია. მის კათედრაზე ოთხი შინაბერა მუშაობდა, ოთხი მოღუშული, სრულიად ქვეყნიერებზე გაბრაზებული ქალწული. აქედან ერთი, ყველაზე სტაჟიანი, თავის დროზე არჩილს ეზომებოდა. როცა სესილთან გაყრის შესახებ გაიგო, სულით და გულით გაიხარა. თითქოს სხვისი უბედურება მისი ბედნიერების გარანტი იქნებოდა.

_ ვინ გითხრა, რომ არ დაეფეთებიან? _ არჩილს სესილის აივანზე გადმომდგარი ჩალისფერთმიანი გაახსენდა და უცებ მოიწყინა.

_ არ იცნობ შენ ქალების ფსიქოლოგიას. სესილს უყვარხარ, მაგრამ ჯიუტია, თავისნათქვამა. პირდაპირ ვერ ამბობს, რცხვენია.

_ სესილი და სიმორცხვე?! ცდები, დედა, კიდევ ერთხელ ცდები. სესილი ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ეს მისი ნაკლიც არის და ღირსებაც.

ინესამ ცალყბად ჩაიცინა.

_ დედა, ერთი თხოვნა მაქვს და არ გეწყინოს. _ არჩილი შეიშმუშნა. _ არ გეწყინება? _ მაინც გადაამოწმა.

_ ვეცდები.

_ ჰო... როცა მოვა... როცა სესილი მოვა, იქნებ ვერიკო დეიდასთან გახვიდე ყავის დასალევად? _ მიაყარა სხაპასხუპით და მეხის გავარდნას დაელოდა.

მეხი არ გავარდნილა. ინესამ დიდსულოვნად დაუქნია თავი.

_ _ _

_ გამარჯობა, არჩილ.

სესილს უწინდელივით ხალისიანი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მათ შორის არ იდგა განშორების ერთი წელი, მაშინ, როცა არჩილს აღელვებისგან პირი გაუშრა.

_ გამარჯობა. _ ძლივს ამოღერღა.

_ არ შემომიშვებ?

_ კი, რა თქმა უნდა...

არჩილმა წყენა ჩაყლაპა. მისი სცენარის სესილი დერეფანშივე უნდა ჩამოჰკიდებოდა კისერზე, როგორც ადრე იცოდა ხოლმე, მაგრამ ყოფილმა ცოლმა არც გადაკოცნა, პირდაპირ კაბინეტისკენ დაადო თავი.

_ საით? _ გასძახა არჩილმა.

_ არ მინდა დედაშენის თანდასწრების ლაპარაკი.

_ დედა არ არის შინ.

_ მართლა? _ გაუკვურდა სესილს. _ როგორ მოხდა?

_ დედაჩემი რას გიშლის?

სესილმა არაფერი უპასუხა, კაბინეტის კარი შეაღო და გაღიმებული შედგა:

_ იცი, არჩილ, ეს ოთახი ყველაზე მეტად მომენატრა, ეს მაგიდა, ეს წიგნები... აქ სულ სხვა აურა ტრიალებს...

_ მე არ მოგენატრე? _ არჩილმა თმაზე დაყნოსა და სურვილი იგრძნო. სესილის თმას ჟასმინის არომატი დაჰკრავდა, როგორც აღმოსავლეთის პრინცესას.

_ მომენატრე, კი.

_ მერე, რა საჭიროა ამდენი ცერემონიები, პირდაპირ მოსულიყავი და გეთქვა.

_ აი, მოვედი.

_ აწი აღარსად გაგიშვებ.

არჩილის საეჭვოდ ჩახლეხილი ხმის გაგონებაზე სესილი თავის გათავისუფლებას შეეცადა.

_ მოიცა, მოიცა... მისმინე, არჩილ, მე დრო მჭირდება, ასე უცებ არ შემიძლია. არჩილი გაწბილებული მიაჩერდა. ვითომ იჩქარა? სესილი თუ ელოდება, რომ ყოფილი ქმარი მამალი სირაქლემასავით სასიყვარულო რიტუალში დაბზრიალდება, ცდება. რა საჭიროა ცერემონიები, როცა ისედაც ყველაფერი ნათელია.

_ დრო? რამდენი?

_ 10, 15 წუთი, ვიდრე შენ შხაპს მიიღებ.

_ შხაპი რა შუაშია? _ ვერ მიხვდა არჩილი. _ ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი?!

_ წყალს ცხუ გადაივლებ, უფრო მეყვარები.

_ უკვე გადავივლე, დილით...

_ დილით მეც გადავივლე, ახლა შუადღეა.

_ მაშინ... მაშინ ერთად. _ არჩილი თვალსა და ხელს შუა გათავხედდა.

_ როდის აქეთია, ერთად შევდიოდით შხაპის მისაღებად?

_ რა მოხდა მერე? ზოგიერთი ცოლ-ქმარი წყლის გადაღვრელად შედის ერთად. სესილმა გაკვირვებულმა შეხედა. არჩილის მხრივ ეს იყო სუპერ თამამი წინადადება. სექსის დროს ყველაზე კულმინაციურ მომენტებში ცოლს პირზე ხელს ააფარებდა ხოლმე

_ დედამ არ გაიგოსო. ახლა კი ერთობლივ შხაპზე ეპატიჟება. უცნაურია.

_ არჩილ, შენ ახლა წახვალ, შხაპს მიიღებ, მე აქ დაგელოდები. _ სესილმა ხმაში დედამთილის ინტონაცია გაურია.

გაჭრა. არჩილი უსიტყვოდ გაიძუწა კაბინეტიდან. არ ღირს შხაპის გამო გაჯიუტება, მსჯელობდა გზადაგზა. ვინ იცის, სესილს რა გეგმები აქვს... არჩილის აჟიტირებულ გონებაში ეროტიკული სცენების მრავალფეროვანმა კასკადმა გაირბინა. ყოველი შემთხვევისთვის, ბიოსტიმულატორი გადაყლაპა და თამამად შეაბიჯა სააბაზანოში.

ამასობაში, სესილმა მოასწრო იმ საქაღალდის მოძებნა, რომელსაც მსხვილი შრიფტით ეწერა: `თოხთამიშის მახვილი~, თითოეული ფურცელი ფოტოაპარატზე აღბეჭდა და უკანმოუხედავად დატოვა ქმარყოფილის ბინა.

_ _ _

არჩილის არქივის ზედმიწევნით შესწავლამ დიმიტრი დაარწმუნა, რომ ინფორმაცია თოხთამშის მახვილზე სოლომონ დვალს სწორედ მან მიაწოდა. საიდუმლოდ რჩებოდა ერთი: რა მიიღო სანაცვლოდ ახალგაზრდა მეცნიერმა?

ამის გასარკვევად დიმიტრიმ და სესილმა ნაშუაღამევს სოლომონ დვალის სახლთან დასცეს კარავი. სახლი ავისმომასწავებლად დუმდა.

_ ხომ არ მოკვდნენ? _ დიმიტრიმ ბინოკლის ფოკუსი გაასწორა.

_ არა, _ დაამშვიდა სესილმა. _ მეორე სართულზე სუსტი სინათლეა, წეღან ჩრდილსაც მოვკარი თვალი.

_ ვიდეოკამერა გამორთულია. პროჟექტორიც. არც დაცვა ჩანს. რაღაცაშია საქმე.

_ კი, უეჭველად რაღაც ხდება.

_ ჩემი ვარაუდით, უკვე მოხდა. დაცვაც იმიტომ მოხსნეს. მზარეული ისედაც დღეგამოშვებით დადის. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ინფორმაცია მაქვს.

_ საიდან?

_ უშიშროებიდან.

_ რა საშინელებაა, ნეტავ ჩემზეც აქვთ ინფორმაცია?

_ შენზე არ ვიცი, მაგრამ შენს პარლამენტარ ქმარზე ექნებათ.

_ ყოფილზე. რამდენჯერ უნდა შეგახსენო?

_ პირველ სართულზე შუქი აინთო, მოემზადე! _ დიმიტრი თვალებით შეეზარდა ბინოკლს.

_ რისთვის მოვემზადო?
_ მარტო დასარჩენად.
_ ვაიმე, მეშინია.
_ შიში სახლში უნდა დაგეტოვებინა. ¬_ დიმიტრიმ ბინოკლი ჩამოიღო და რაღაცას მიაყურადა. _ ძრავის ხმა გესმის?
სესილი კისერწაგრძელებული გადაიხარა დიმიტრის მხარეს:
_ მგონი...
_ ყურში ნუ მასუნთქავ.
_ არ გსიამოვნებს?
_ რომ მსიამოვნებს, იმიტომაც გეუბნები.
სესილი გაბადრული გასწორდა თავის სავარძელზე. სიგარეტი მოიმარჯვა.
_ არ გაბედო. _ გააფრთხილა დიმიტრიმ. _ სიბნელეში მანქანა შეიძლება ვერც შენიშნოს, წითელი ნაკვერხალი კი თვალშისაცემია.
სესილმა მორჩილად შეინახა სიგარეტი, დიმიტრიმ ფანჯარას ჩაუწია:
_ საინტერესოა, რისთვის დაქოქა მანქანა...
_ მე ის უფრო მაინტერესებს მახვილი როგორ მიაგნებ? იქნებ სეიფშია?
_ თუკი მახვილს სარკალური დანიშნულება აქვს, სადმე ახლოს ექნება დამალული.
_ ლეიბის ქვეშ, არა? _ გაიხუმრა სესილმა.
_ თუნდაც. მე მაგალითად, ლეიბის ქვეშ მეზღვაურის ხანჯალი მიდევს. ერთმა ფრანგმა ბერიკაცმა მაჩუქა. სიკვდილამდე ისიც ლეიბის ქვეშ ინახავდა.
_ ვინ ბერიკაცმა?
_ კლიენტმა, ასე ვთქვათ.
_ ?
_ ის ფულს მიხდიდა, მე ვუვლილი. ჩემ ხელში დაილია სული.
_ მაშაყირებ?
_ ნწუ.
_ იმის თქმა გინდა რომ... `ბებისიტერად~ მუშაობდი?
_ მე ვიტყოდი, `ბაბუსიტერად.~ ჰო, რას მომჩერებიხარ? კაპიკი არ მიჭყაოდა ჯიბეში, როცა პირველად ჩავედი საფრანგეთში. ენა მე არ ვიცოდი და... _ დიმიტრი უცებ გაჩუმდა. რაღაცას მიაყურადა. _ ახლა უფრო გარკვევით მესმის. შენ მანდ ჩაყვინთე, მე ეზოს დავზვერავ.
_ დიმიტრი! _ დაუძახა სესილმა, მაგრამ ადრესატს არ გაუგია, ის უკვე გალავანს ეზომებოდა.
ეზოს სიღრმეში, ავტოფარეხის წინ სოლომონის შავი ჯიპი ფუხფუხებდა. მანქანაში არავინ იყო. დიმიტრიმ უკმაყოფილოდ ახედა სახლის გადასწორებულ კედელს. არავითარი ხელმოსაჭიდი, ტერასა ან რიგელი. მეორე სართულზე წრიაპებით თუ აბობღდებოდა კაცი.
დიმიტრი გაკრეჭილ გაზონებს შორის გაწვა და მოვლენების განვითარებას დაელოდა. ორიოდე წუთში განათებულ ფოიეში სოლომონ დვალის ხმელი სილუეტი დაილანდა. დაიხარა, მოზრდილ ტომარა გამოათრია, მანქანისკენ გააჩოჩა, საბარგული გააღო... მიწაზე გაწოლილმა დიმიტრიმ დრო იხელთა და მძიმე ჩორთოთ მოღიავებული კარისკენ გახოხდა. შოტლანდიური სეტერივით.
აი, ის უკვე დვალების სახლშია. სოლომონმა კარი გარედან გადარაზა, შუქი ჩააქრო და ტომრიან-მანქანიანად სადღაც გაუჩინარდა.
ორიენტაციადაკარგულმა დიმიტრიმ სიბნელეს თვალი მიაჩვია და მხოლოდ ამის მერე აიძურწა მეორე სართულზე.
ოთახი, სადაც წეღან შუქი ენთო, სოლოს საძინებელი აღმოჩნდა. ფანრის შუქი აშლილ ლოგინზე გასრიალდა, ბალიშზე დაქარგული წერო დაიჭირა და ავეჯზე გადაინაცვლა. ტუმბოზე იდო კატაბალახას ნაყენი და ტრანკვილიზატორის ნახევრადდაცლილი

ფირფიტა. არც ისე კარგად ყოფილა `დიდი კომბინატორის~ ფსიქოლოგიური მდგომარეობა, თუკი დამამშვიდებლებს ყლაპავს, დესერტად კი კატაბალახას აყოლებს.
კაცმა რომ თქვას, არც დიმიტრი ძნელაძე გამოიყურებოდა მაინცადამაინც ჯანმრთელად. ოცწუთიანი ბოდიალის შემდეგ ოფლში გაიხვითქა, მახვილის კვალს კი ვერსად მიაგნო.
სესილის დაყრანტალებულმა მოსაზრებამ მაშველი რგოლივით მოუსწრო. დიმიტრიმ ყოყმანით შეაცურა ხელი ლეიბის ქვეშ და ლამის გამარჯვების ყიჟინა დასცხო. ის იქ იყო _ თოხთამიშის მახვილი!
ბაჩას სულს შეუძლია მშვიდად შეურთდეს ზეციურ წინაპრებს, სოლო დვალს კი პარაშის სიახლოვეს მოუწევს წაკუზვა სირაქლემას პოზიციაში.
მოულოდნელად შუქი აინთო და დიმიტრი თავის ნადავლიანად წარსდგა უცნობი ქალიშვილის წინაშე.
`სოლოს შვილა~, გაიფიქრა დიმიტრიმ. თუ ასეა, რატომ არ ტეხს პანიკას? გულზე მიხუტებული სათამაშო სპილოთო დგას კარის ღიობში და უძრავ მზერას არ აშორებს მახვილიან ყაჩაღს.
_ ჩიორა, შენ? _ იკითხა ქალიშვილმა. ხმაც ისეთივე უსიცოცხლო ჰქონდა, როგორც მზერა, ყოველგვარი ემოციის გარეშე.
პასუხად დიმიტრიმ სულელივით გაიღიმა. ახნა-განმარტებას აზრი არა აქვს. საიმისო არც დროა, არც სიტუაცია. ქურდის ქურდი ცხონდაო, ხომ არ დაუწყებდა...
_ შენ არ მოკვდი... _ მექანიკურად განაგრძობდა ქალიშვილი.
_ მგონი არა.
_ ე. ი. მე მოვკვდი.
დიმიტრი მიხვდა: მის წინაშე სულიერად ავადმყოფია ადამიანია, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდა:
_ როგორ შეიძლება აქედან გავაღწიო?
_ ჩვენ ერთად გავაღწევთ აქედან. მე შენი ვარ. სამუდამოდ.
ეს უკვე მეტისმეტია. დიმიტრი მახვილის წასაღებად მოვიდა და არა ქალის დასანიშნად.
_ არ დამტოვო, ჩიორა, _ ქალიშვილმა სათამაშოს ხელი გაუშვა და წარმოდგენილი ჩიორას მიმართულებით ნაბიჯი გადადგა.
ნაბიჯი გადადგა დიმიტრიმაც, მაგრამ უკან, ფანჯრისკენ, რადგან გარკვევით გაიგონა ნაცნობი `გრანდ-ჩეროკის~ გუგუნი. ახსნა-განმარტების დრო არ იყო. ვიდრე ოჯახის უფროსი მანქანას ავტოფარეხში შეაყენებს, უნდა აიწიოს, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.
დიმიტრიმ ფანჯარა გამოაღო და `აიწია~.
არ გამოვიდა მისგან სპაიედერმენი. არც ახლა, არც მაშინ, ეგვიპტეში, როცა გალავნიდან გადახტომისას ფეხი იღრძო და ლამის სიცოცხლეც ზედ მიაყოლა (იხ. `თევზთა დუმილი~). სხვათა შორის, მაშინ ჩიტმა გადაარჩინა. ჩვეულებრივმა სტვენია ჩიტმა, რომელიც სწორედ იმ დროს შემოფრთხიალდა ციცქნა სარკმელში, როცა ჯალათმა იარაღი ამოიღო. შემოფრთხიალდა და ჯალათის გადახოტრილ თავზე დაეშვა. დიმიტრის გაეცინა. იმასაც გაეცინა, ბოროტმოქმედს. მშვიდობიანად დაიშალნენ. ალბათ რთულია ჩიტით თავზე ესროლო უდანაშაულო ადამიანს. მით უფრო, გაღიმებულს.
იმედია, ახლაც გადარჩება. ფეხი იღრძო, ტვინი ხომ არა?!
გალავნისკენ მფორთხავი დიმიტრი ძნელაძე აღარ ჰგავდა შოტლანდიურ სეტერს, ის ჰგავდა ბარის პირით გასრესილ ჭიაყელას.

– – –

_ ვინ იყო? სად გაქრა ჩემი მახვილი? _ სოლომონს თავზე დაათენდა ერთი და იგივე შეკითხვის დასმით.
ყურსა ბამბისასა!
მერიკო იდუმალი გამომეტყველებით იჯდა საწოლზე, ხელები მუხლებზე დაეწყო, პირველკლასელივით, და რაღაცას (თუ ვიღაცას) უღიმოდა. მამამისი მზად იყო გაელახა ამ ღიმილის გამო, მაგრამ რამდენჯერაც აღმართა ხელი, იმდენჯერ მომაკვდავი ცოლისთვის მიცემული პირობა გაახსენდა: `მერიკოს ხელი არ ახლო.~ ჩვენში რომ დარჩეს, ისე იყო გაცეცხლებული, პირობასაც დაიკიდებდა, მაგრამ ამ სიტუაციაში ცემას შეიძლება უარესი შედეგი გამოეღო. მერიკო შოკში იყო. რაც არ უნდა იყოს, 17 წლის გოგო მკვლელობას შეესწრო. მის თვალწინ მამამისმა მისი საყვარელი გააგორა! სოლოს ზარავდა იმის წარმოდგენა, რომ უმწიკვლო, უცოდველი, ჭკუის დატენილი მერიკო კაცს დაუწვა: ნაცხარს, ქეშს, გარეწარს, მკვლელს, ამებას...
_ ამებას, ხო, ამებას! _ წამოიძახა ხმამაღლა.
მერიკო შეკრთა, თვალების სპილო მოძებნა, ხელი დაავლო და გულში ჩაიკრა.
იქნებ სოლო ცდება ჩიორასთან დაკავშირებით? იქნებ მან ვერ დაინახა ის, რაც დაინახა მერიკომ, თუნდაც ბაჩამ... აკი, სოლომ ჩიორა გააგზავნა ბაჩასთან შესახვედრად? ამ უკანაკნელმა კი მისი ნდობის მოპოვება შეძლო. ამება ამდენს ვერ მოახერხებდა. ე.ი. ჰქონდა საიმისო ბაზა. სოლომ ვერ გათვალა ამ ბაზის სიღრმე. სოლომ ვერაფერი ვერ გათვალა! საკითხავია, ვინ იყო მათ შორს ამება.
_ რატომ არ წამიყვანე? _ ძილში დაიკვნესა მერიკომ.
ასე ზეზეულად სადგურში სძინავთ მატარებლის ლოდინის გაბეზრებულ მგზავრებს. გულში კვლავინდებულად სპილო ჰყავდა ჩაკრული. შიშველ ფეხისგულებზე ჭუჭყი აკვროდა, მაგრამ დაბანა არც უფიქრია. დაბანას ვინ დაეძებს, ლუკმა არ ჩასვლია პირში! ვინ იცის, წყალიც არ დაულევია.
ფსიქიატრთან კონსულტაცია დასჭირდება, გაიფიქრა სოლომ. მადლობა ღმერთს მერიკო არ შემოაკვდა, თუმცა ღირსი იყო ე. წ. შეყვარებულისთვის მიეყოლებინა, მაგრამ შვილის გვამს ტომარაში ვერ ჩასტენი და ტყეში ვერ გადამალავ (როგორც ჩიორას), შვილი უნდა დაიტირო და ადამიანურად დამარხო.
ბაჩა მკვდარია, ჩიორაც. ერთადერთი, ვინც იცის მახვილის არსებობა, არჩილ ჩიქოვანია... ტყავიდან ამოაძრობს იმ სირისტიან პროფესორს თუ გაბედა და სადმე პირი დაასველა. რჩება სესილი _ ხეზე შესკუპული მოწმე.
ვინ შეიამხანაგოს ამ რთულსა და ჩახლართულ საქმეში? ჩიორა სოლოს გამო ყველაფერზე წავიდოდა, მაგრამ ისინი არასოდეს ყოფილან მეგობრები. ბოროტმოქმედების ერთობლივი დაგეგმა ცოტას ნიშნავს. მეგობრობა, პირველ რიგში თანასწორობის აღიარებაა და არა ერთის გადაგდებული ლუკმის მეორის მიერ დროულად დაჭერა. რადგან ერთხელაც იქნება დამჭერს ყელზე დაადგება ნაწყალობევი ლუკმა და გამცემს ზურგში დანას ჩასცემს. რაც გააკეთა კიდეც ჩიორამ.

_ _ _

საუბარი არჩილსა და სოლოს შორის გალერეაში შედგა, სოლომ მახვილის მოპარვის ამბავი გაუმხილა და რეაქციას დაელოდა.
_ ჩემგან ინფორმაციის გაჟონვა გამორიცხულია. _ კატეგორიულად განაცხადა არჩილმა. _ ამ საკითხზე არც ვაპირებ თავისმართლებას... მე სხვა რამ მაინტერესებს: ვინ განათავსა ინტერნეტსივრცეში მახვილის ფოტო?
_ ეგ მეც მაინტერესებს.

_ იქ, ახალგორის გათხრებზე მგონი ერთი გლეხი აჩხაკუნებდა აპარატს. გახსოვს, სამახსოვრო ფოტოს გადაღება შემოგვთავაზა?
სოლომ შუბლზე იტკიცა ხელი:
_ პავლეს შვილი იქნებოდა, პეტრე. კი, ასეა!
_ დავუშვათ, დავუშვათ... მაგრამ რაღაც ვერ წარმომიდგენია, რომ მიწაზე მომუშავე გლეხკაცებს ინტერნეტთან ჰქონოდათ საქმე.
_ ადამიანი, ვინც ფოტოსურათები განათავსა, აღარ არის ცოცხალი. _ მოგუდული ხმით განუმარტა სოლომონმა.
_ რა?
_ მოკლეს.
_ როგორ თუ მოკლეს? ვინ მოკლა? _ არჩილი ლამის სკამიდან ჩამოვარდა.
_ მაგდენი არ ვიცი.
_ რაღაცას მიმალავ, სოლო...
_ დამალვა რომ მინდოდეს, სალაპარაკოდ არ მოგიწვევდი.
_ ის მაინც მითხარი, ვინ არის მოკლული, რას წარმოადგენს?
_ ჟურნალისტი ბაჩა ქორქია. გეცნობა ეს სახელი და გვარი?
_ არა, ხომ იცი ჩემი ამბავი, ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ. პრაქტიკულად არასოდეს.
_ პარლამენტარი კაცი კი უნდა იყო საქმის კურსში. _ აგდებულად შეახსენა სოლომ.
არჩილმა გაჩუმება ამჯობინა. სოლოს სიტყვის მასალად არ უხსენებია პარლამენტარის სკამი. რაღაც უნდა მისგან. საინტერესოა, რა?
_ ახალგორში უნდა ჩავიდეთ. _ უაპელაციო ხმით დაბეჭდა სოლომ და პასუხს არ დალოდებია, გასასვლელისკენ გაემართა.
არჩილი კრიზაშეკრული გაჰყვა. რა დარჩენია ახალგორში? ან რაზე უნდა ელაპარაკოს იმ ძალად აპოსტოლებს: პავლეს და პეტრეს, როცა ხვალ კომიტეტის სხდომაა?! მცხეთამდე ჩუმად იარეს. ორივე თავის გაჭირვებაზე ფიქრობდა.
სოლო _ მერიკოზე. გოგოს ფსიქიატრი სჭირდება, მაგრამ ფსიქიატრთან ურთიერთობა გულახდილ საუბრებს გულისხმობს. სოლო ვერ გარისკავს. ნეტავ, მშობლის მიერ მოყოლილ სიმპტონებზე დაყრდნობით შეიძლება მკურნალობის დანიშვნა?
არჩილი ვოვას მიწოდებულ ინფორმაციას ხარშავდა და თანდათან რწმუნდებოდა: სოლომონ დვალის სესილით დაინტერესება რაღაც კავშირშია მოპარულ მახვილთან და ეს ყველაფერი მოკლულ ჟურნალისტთან.
_ რას ამბობენ, რატომ მოკლეს ჟურნალისტი? _ იკითხა ხმამაღლა.
_ რას გაიგებ, ჩემო არჩილ... ზოგი პოლიტიკურ მოტივს ასახელებს, ზოგიც პირადულს.
_ სად მოიპოვა ფოტო?
_ მაგას ადგილზე გავარკვევთ. აბა, ამხელა გზაზე პეტრე-პავლეს მოსაკითხად დავირაზმეთ?
_ ჩიორა რატომ არ გახლავს?
_ ჩიორა დავითხოვე. მთელი თვეა სამსახურში არ გამოცხადებულა, ცოლი მოიყვანა და გადაყვა თაფლობისთვეს. _ სოლომ სახელდახელოდ გამოცხობილ ტყუილს შესცინა.
`ცრუობს ეს სალახანა ანტიკვარი, ესა, _ მიხვდა არჩილი. _ რამდენიმე დღის წინ სესილის სახლთან ერთად ბრძანდებოდნენ. მე ამას იდიოტი ვგონივარ! დაე, ვეგონო. მით უკეთესი ჩემთვის, ნაკლები შარია.“
პავლე მარკოზაშვილს ბაღჩაში მიაკვლიეს. შვილიშვილთან ერთად გოგრებს ეზიდებოდა.
ძველი ნაცნობების დანახვაზე პავლეს თვალები დაუმრგვალდა, მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, კარგა მოზრდილი გოგრა გაუვარდა ხელიდან.
_ ი, რას შვები, პაპა? _ ყვითლად გადამსკდარი გოგრის დანახვაზე შესძახა შვილიშვილმა.

_ რამ შეგაშინა, შე კაცო, _ სოლომ გამამხნევებლად დაჰკრა პავლეს ხელი. _ სამტროდ კი არ მოვსულვართ?!
_ არც ის ბიჭები ჩანდნენ სამტროდ მოსულები, მაგრამა...
_ ვინ ბიჭები? _ ერთხმად შეჰყვირეს სტუმრებმა.
_ პირველი ჟურნალისტი იყო. მეორე, არ ვიცი. იმათაც გათხრების ამბები აინტერესებდათ.
_ სახელი, გვარი? _ სოლოს კითხვა ბრძანებასავის ჟღერდა.
_ ჟურნალისტს ბაჩა ერქვა. _ უპასუხა პავლემ.
არჩილს ფერი წაუვიდა, სოლომ თვალები დაუბრიალა. პროფესორის დამბლაღა აკლდა, აქეთ იყო მოსაბრუნებელი.
_ მეორე ვიღაა?
_ დიმიტრი ერქვა, გვარი არ ვიცი. რა მოხდა, ხალხო, რა ფერი-ფური მიგდით, დავაშავე რამე? _ აღელდა პავლე.
_ არაფერი, პავლე, არაფერი, _ დაამშვიდა სოლომ. _ უბრალოდ, მცირე გაუგებრობა მოხდა და ახლა ვიკვლევთ. შენ ის მითხარი, რა უნდოდათ?
_ აკი გითხარით, რო გათხრების ამბავს კითხულობდნენ...
_ კონკრეტულად?
_ კონკრეტულად, არა? _ პავლემ ჩაფიქრებულმა ამოიღო სიგარეტის დაჭმუჭნული კოლოფი, დემონსტრაციულად მოუკიდა მოღრეცილ ღერს, ბალნიანი ნესტოებიდან კვამლი გამოაფუშფუშა.
_ ჰო, ჰო... მიპასუხე. _ სულმოუთქმელად შესძახა სოლომ.
_ ე, რატო უნდა გიპასუხო? მე რა, მოცლილი ვარ ყველას ველაპარაკო? კანონი მე არ დამირღვევია, კაცი არ მამიკლავს, საქონელი არ მამიპარავს...
სოლო მიხვდა, საითაც უბერავს ანგარებიანი გლეხკაცი და ორმცდაათ ლარიანი დააძრო:
_ ეს ჩათვალე, წამხდარი გოგრის კომპენსაციაა.
_ ვა, ორმოცდაათი ლარი, ტაქსაა? _ გაეცინა პავლეს. _ ჰე, ჰე, იმანაც ორმოცდაათი მიფეშქაშა, დიმიტრიმ, მიტომაც ვამბობ.
_ რატომ გიფეშქაშა, მაშინაც გოგრის დაზარალდი? _ დადარაჯებული ხმით იკითხა სოლომ.
_ არა, სურათი გამომტყუა, საცა ყველა ერთად ვართ გადაღებული. აი, ჩემმა პეტრემ რო გადაგვიღო ბოლო დღეს...
სოლო და არჩილი სასოწარკვეთილები მიაჩერდნენ ერთმანეთს. პირველი სოლო მოვიდა გონს, ფერმიხდილ პროფესორს თვალი მოსწყვიტა და პავლეს შინაურულად გადახვია ხელი:
_ რაც აქ გოგრები ყრია, ყველას ფულს მე ვიხდი, მაგრამ ერთი პირობით: დაწვრილებით მომიყვევი ვინ იყვნენ და რა უნდოდათ.
ჯორკოზე ჩამოჯდნენ.
პავლემ სვენებ-სვენებითა და ბლუყუნ-ბლუყუნით მოუყვა ჯერ ბაჩას, შემდგომ დიმიტრისა და უცნობი ქალის ვიზიტის შესახებ.
_ სესილი იქნებოდა. _ ჩაილაპარაკა არჩილმა. _ რითი იყვნენ მოსულები?
_ მანქანით.
_ მარკა არ გახსოვს?
პავლემ ქუსლით გასრისა სიგარეტის ნამწვი და ახლოს ჩამჯდარი თვალები წარბების გასაყარიკენ მიმართა.
_ მე ვიცი. _ ხმა ამოიღო აქამდე გაჩუმებულმა შვილიშვილმა. _ `პეჟო~ იყო. ფირუზისფერი.
არჩილს ელდა ეცა. სოლომ გონებაში კი იმღამინდელი კადრი ამოტივტივდა: ფარების შუქზე გამკრთალი `პეჟოს~ ფირუზისფერი გვერდი. ანუ, როცა ის ჩიორას გვამს

საბარგულით მიათრევდა, `პეჟოს~ პატრონი, ვინმე დიმიტრი, მის ბინაში მახვილს იპარავდა
_ პავლე, ფოტო კიდევ ხომ არ დაგრჩა?
_ არა.
_ კარგად დაფიქრდი. 100 დოლარს ვიძლევი.
_ მილიონიც რო მომცე, არ მაქვს!
_ ნეგატივი?
_ ნწუ.
დამშვიდობების წინ სოლომ პავლე დაიმარტოხელა და ის 100 დოლარიანი ჩაახუტა, რომელსაც წეღან ერთ ფოტოსურათში იხდიდა. ამჯერად სიჩუმის საფასურად. ვინც არ უნდა მოსულიყო და რაც არ უნდა ეკითხა, პავლეს არაფერი გაუგია თოხთამიშის მახვილის შესახებ.
ასეც შეთანხმდნენ.
_ აბა, ჩამოყაჭე, ვისია ის `პეჟო?~ _ მანქანაში ჩაჯდომისთანავე იკითხა სოლომ.
`ჩამოყაჭე~. აი, თურმე როგორია სინამდვილეში არქეოლოგიის სამსახურის ყოფილი უფროსი, ნაგვიანები სინანულით გაიფიქრა არჩილმა:
_ ვინმე დიმიტრის. _ თქვა ხმამაღლა.
_ არჩილ, არ გინდა ეს იწილო-ბიწილო ბაზარი. ამ საქმეში ჩვენ კომპანიონები ვართ, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ, მე _ შენ, შენ _ მე.
_ მე და შენ მგონი უკვე გავასწორეთ ანგარიში. რა შუაშია ჩემთან ის დაწყევლილი მახვილი?
_ შენს ყოფილ ცოლთან ხომ არის? _ იყვირა სოლომ. _ მითხარი, ვინ არის იმ დედააფეთქებული `პეჟოს~ პატრონი და რა კავშირი აქვს სესილთან?
_ არ ვიცი, მართლა არ ვიცი... ეს მანქანა ერთხელ ვნახე სესილის სახლთან. სულ ეს იყო.
_ მანქანა ნახე თუ ის კაცი?
_ ორივე.
_ მატყუებ.
_ ტყუილი შენკენ მოიკითხე. _ შეუღრინა არჩილმა.
_ რას გულისხმობ?
_ რა გინდოდათ სესილის სახლთან შენ და შენს სამსახურიდან დათხოვილ ჩიორას?
სოლომ მძიმედ ამოიოხრა. ჩემი მტერი იყოს ისე `დათხოვილი სამსახურიდან,~ როგორც ჩიორა. მაგრამ არჩილთან ხომ არ გამოფენდა თავისი ოჯახის ჭუჭყიან თეთრეულს?!
_ აგიხსნი, მაგრამ ერთი პირობით, _ სოლომ გვერდულად შეხედა გაბუტულ არჩილს. _ ჯერ დაურეკე სესილს, გამოჰკითხე დიმიტრის კოორდინატები.
იმდღევანდელი ინციდენტის შემდეგ არჩილს სესილთან დარეკვას სიკვდილი ერჩია. ან მოსვლა რა იყო, ან გაქცევა? მართალია დედა, არჩილი ცუდად იცნობს ქალებს, და საერთოდ, ადამიანებს.
_ არჩილ?
`ზახრუმა!~ გულში გაეპასუხა არჩილი. ცხოვრებაში პირველად შეშურდა თავისი მძღოლის, რომელმაც ამასწინათ ისეთი `ზახრუმათი~ შეამკო ცოლი, რომ არჩილს გრძელი ლექციის წაკითხა მოუწია ეტიკეტთან დაკავშირებით. არადა, ზოგჯერ საჭიროა. აი, მივა სახლში, სააბაზანოში შეიკეტება, ონკანს მოუშვებს (დედამ რომ არ გაიგოს) და გათენებამდე იგინება.
სესილის მობილური არ პასუხობდა. ან არ ესმის, ან გამიზნულად არ პასუხობს.
_ თუ არ გაგონებს, სახლში მივაკითხავთ. _ გადაწყვიტა სოლომ. _ დღესვე უნდა გავარკვიო იმ ტიპის ვინაობა. შეიგნე არჩილ, ახლა თავის დაფასების დრო არ არის!
სესილმა რაღაც იცის ბაჩა ქორქიას მკვლელობის შესახებ.

_ რა კავშირშია სესილი მკვლელობასთან?
_ შენ რა გგონია, რატომ დავითხოვე ჩიორა სამსახურიდან? არა, მკითხე, რატომ დავითხოვე?
_ გეკითხები.
_ ჟურნალისტი ბაჩა ქორქია ჩიორას მოკლულია, შენი ყოფილი ცოლი კი მოწმეა, ცოცხალი მოწმე!
_ იმის თქმა გინდა, რომ სესილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება? _ თავზარი დაეცა არჩილს.
_ საფრთხე გვემუქრება ყველას, ვინც ნებით თუ უნებლიეთ კავშირში ვართ თოხთამიშის მახვილთან.
არჩილს ახლაღა გაახსენდა ვოვას გაფრთხილება სესილის დევნასთან დაკავშირებით. მაშინ წაუყრუა, ჩათვალა, რომ ყოფილი ცოლი მეტის ღირსია. ვინ იცის, სესილი დახმარების თხოვნით ესტუმრა, ამან კი სექსი შესთავაზა. რა ესექსებოდა საწყალ ქალს, თუკი მოსაკლავად დასდევენ?! სოლომონ დვალი უკან არაფერზე დაიხევს, არც ჩიორა გააგორებდა ბაჩას მისი ნებართვის გარეშე, მკვლელები! შემკვეთი და შემსრულებელი. არჩილი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მოძალადე შეიძლება იყოს ნაკითხი, განათლებული ადამიანი, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბოროტი საქმეები სადღაც კატაკომბებში იგეგმება და არა სამხატვრო გალერეის სალონებში.
უნდა გააფრთხილოს სესილი! ეს ერთადერთია, რაც შეიძლება გააკეთოს საკუთარი უნიათობის კომპენსაციისთვის.
_ ჩიორას ინტერესებში რატომ შედიოდა ჟურნალისტის მოკვლა? _ პაუზის შემდეგ იკითხა არჩილმა.
_ ჟურნალისტის გაჩუმება ჩემ ინტერესებში შედიოდა. _ სხაპასხუპით უპასუხა სოლომ, თითქოს აჩქარებულ ტემპში ლაპარაკი დანაშაულს გადაფარავდა. _ გიმეორებ, გაჩუმება, და არა მოკვდინება! სხვა თუ არაფერი, მისი მოსყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ ჩიორამ პირადი ინიციატივა გამოიჩინა, აჩქარდა, არ დამეკითხა, მასიამოვნა თავისი მოკლე ჭკუით. რაც შეეხება ჩვენ ერთად ყოფნას სესილის სახლთან, არ დაგიმალავ, იქ მისვლა ჩემი იდეა იყო. მინდოდა დავრწმუნებულიყავი: რამდენად საშიშია ცოცხალი მოწმე.
_ მერე, რა დასკვნა გამოიტანე?
_ პირადად მე, დასკვნა შენი ყოფილი ცოლის სასარგებლოდ გამოვიტანე, რასაც ვერ ვიტყვი ჩიორაზე. _ მორიგი ტყუილი გამოაცხო სოლომ. _ ვინაიდან ვერ შევთანხმდით, საქმიდან გასვლა შევთავაზე. მისი კერძო ინიციატივები სისხლზე გადიოდა, არჩილ, იმიტომაც მოვიშორე თავიდან...
_ ახლა სად არის? _ გააწყვეტინა არჩილმა.
_ ალბათ საქორწინო მოგზაურობაში ბრძანდება. ასემც უქნია, არასოდეს ჩამოსულა!
არჩილმა არც ერთი სიტყვა არ დაიჯერა.
_ მიმიყვანე სესილის სახლთან, პირადად დაველაპარაკები. ასე აჯობებს.
_ რასაკვირველია, აჯობებს. _ გაუხარდა სოლოს.
ერთ საათში არჩილი სესილის კართან იდგა და ამაოდ რეკდა ზარს. ის იყო, გამობრუნება დააპირრა, რომ კარში გარჭობილი ქვითარი დაინახა. სასწრაფოდ ამოიღო საწერ-კალამი და ქვითრის მეორე მხარეს ნაჩქარევად მიაწერა: `სესილ, შენ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. დამიკავშირდი. არჩილი.~
სესილის არყოფნაზე სოლოს თავი არ გაუგიჟებია, მისი გონება სულ სხვა მიმართულებაზე იყო გადართული:
_ არჩილ, ბაჩა ქორქიას დედას უნდა დაველაპარაკო. აი, ვის ექნება ინფორმაცია მახვილზეც და ინკოგნიტო დიმიტრიზეც.
_ და რა კავშირშია ამ ყველაფერთან სესილი?

_ არ ვიცი. ჯერ არ ვიცი. ერთში დამეთანხმე: სესილი ერთადერთი ადამიანია, ვისგანაც შეიძლება გაეჟონა ინფორმაციას მახვილის შესახებ.
_ გამორიცხულია. _ არ დაეთანხმა არჩილი. _ იმ პერიოდში ჩვენ დაშორებულები ვიყავით. და საერთოდ, სესილს წარმოდგენა არ ჰქონდა ჩემს აღმოჩენებზე.
_ შემოგზავნილს ჰგავს ეგ ქალი, არჩილ...
_ როგორ გეკადრება, რას მიედ-მოედები, სოლომონ?
_ მაშინ მიპასუხე, რატომ დაშორდის ერთმანეთს? რაღაც საეჭვოდ დაემთხვა თქვენი დაშორებისა და მახვილის აღმოჩენის თარიღი.
_ ჩვეულებრივი დამთხვევაა.
_ მკვლელობის მომენტში ხეზე რომ იმალებოდა, ისიც დამთხვევაა?
_ საიდან უნდა სცოდნოდა სესილს მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ? სისულელეა! ამ კუთხით თუ მიუდექი, ყველაფერში სარკალურ ელემენტს აღმოაჩენ. არ გეწყინოს სოლო, მგონი ჭკუაზე გადაგიყვანა იმ მახვილმა, მე შენ ასეთად არ გიცნობდი.
_ გეთანხმები. _ მოულოდნელად სოლოს ხმაში სითბო ჩაეღვარა, თითქოს მახვილზე კი არა, საყვარელ ქალზე ჩამოუგდეს სიტყვა. _ მე სასწაულებრივი ნიჭი მაქვს, არჩილ, ამ ნიჭმა გადამიყვანა ჭკუაზე.
_ უნიჭო არც მე გახლავარ. _ ჩაახველა არჩილმა.
_ არ გეკამათები, მაგრამ ეგ სულ სხვა ნიჭია. სულ სხვა...
_ ამიხსენი, გეთაყვა.
უკვე თბილისში იყვნენ. სოლომ ცენტრალური გამზირიდან გადაუხვია, მანქანა ტროტუარზე მიაყენა და ერთი ამოსუნთქვით უამბო თავისი ძილისპირული ხილვების შესახებ.
`ეს კაცი სამკურნალოა~, დაასკვნა არჩილმა.
_ არ გჯერა? _ მიუხვდა სოლო.
_ არა, რატომ... თეორიულად ყველაფრის წარმოდგენა შეიძლება.
არჩილმა სათვალე მოიხსნა და ჩაფიქრდა. თოხთამიშის მახვილის ჯადოსნური ძალა თორელის მატიანეში იყო ნახსენები. გაკვრით, მაგრამ მაინც. სულ სხვა ფენომენია ფანტომი... რა არის ის? ბიოლოგიური ორეული, ელექტრონული აურა, გაურკვეველი ენერგიის იმპულსი? თუკი დავუშვებთ მის არსებობას, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ამ უკანასკნელს ორიგინალიდან გასვლისა და უკან დაბრუნების უნარი გააჩნია. ფანტომით მანიპულირება უმაღლეს საფეხურზე მდგარი იოგების პრერგატვაა და არა სოლომონისთანა ავანტიურსტების. თოხთამიშის მახვილი არ არის ბიოლოგიური სხეული, ის ფოლადის შენადნობისგან გაკეთებული ცივი იარაღია, რომლის ერთადერთი დანიშნულება მოწინააღმდეგის განგმირვა იყო. იქნებ მიწაში დებისას შეიძინა ჯადოსნური თვისებები? თუ საქმე სოლოს უნიკალურ ნიჭშია? თუკი დისტანციაზე აზრის გაგზავნა შეიძლება, რატომ არის შეუძლებელი ორეულის გადაადგილება დროსა და სივრცეში?!
_ ის, რასაც სხვები თეორიულად წარმოიდგენენ, მე პრაქტიკაში განვახორციელე, არჩილ! ახლა ხვდები, რას ნიშნავს ჩემთვის ეს მახვილი?
_ ერთ რამეს ვხვდები: ჩვენი ძალებით ქურდის დაჭერა გაგვიჭირდება.
_ ქურდისო?! _ სასაცილოდ არ ეყო სოლოს. _ შეიგნე, ადამიანო, ქურდები და მამაძაღლები ჩვენ გამოვდივართ და არა პატიოსანი ჟურნალისტი ბაჩა ქორქია, რომლის ერთადერთი დანაშაული სიმართლის დადგენის სურვილი იყო! კი ბატონო, ჩავრთოთ პროკურატურა და წარვდგეთ სასამართლოზე, როგორც სამუზეუმო ექსპონატის ქურდები. რა კარგი სანახავი იქნება დეპუტატი არჩილ ხიქოვანი საბრალდებულო სკამზე?
_ არც არქეოლოგიის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი იქნება მაინცდამაინც თვალისმომჭრელი.

_ გეთანხმები. მაგრამ ახლა ერთიერთბრალდებების დრო არ არის, გაფუჭებულ საქმეს მივხედოთ.
_ რას მთავაზობ? _ დანებდა არხილი.
_ ბაჩას დედა უნდა დაველაპარაკოთ.
_ ჩვენ დაველაპარაკებით, მაგრამ ის რატომ უნდა დაგველაპარაკოს?
_ არჩილ, თეატრი გიყვარს? _ ცბიერად იკითხა სოლომ.
_ არა. რატომ მეკითხები?
_ მართლა არ გიყვარს?
_ არა.
_ არცა გრცხვენია... მარგალიტა ჩიქოვანის მოგვარე მაინც არ იყო?! _ დაანამუსა სოლომ.
_ რატომ მოგვარე, ნათესავად მეკუთვნოდა. _ ამაყად განაცხადა არჩილმა.
ულამაზესი მარგალიტა ჩიქოვანი რევოლუციამდელ საქართველოში ცხოვრობდა და თეატრალიზირებული სანახაობების მოწყობით იყო განთქმული. სპექტაკლებს საკუთარ სახლში მართავდა ხოლმე, სადაც თავად იყო რეჟისორიც, დრამატურგიც, მთავარი გმირიც... მარგალიტას და მისი მეუღლის _ პეტერბურგის კადეტთა კორპუსის ოფიცრის ფოტოპორტრეტი ინესას საპატიო ადგილზე ეკიდა.
ღმერთო, რა დროს წინაპრებით ტკბობაა, როცა თემიდას აჩრდილი ადგათ თავზე:
_ სოლო, პირდაპირ მითხარი რა გინდა?
_ პატარა მინი-სპექტაკლი უნდა გავითამაშოთ. გზაში მოგიყვები.

_ _ _

შუქნიშანზე მანქანები ჩერდებოდნენ, ხალხი გადადიოდა _ კაცები, ქალები, ბავშვები... ელენე ქორქია ფანჯარასთან იდგა და გრძნობდა, როგორ ეპარებოდა სულში უცხო, შურისმაგვარი გრძნობა. მას შურდა გადასავლელზე მოძრავი ადამიანების, ვისაც სადღაც ეჩქარებოდა, ვისაც ელოდნენ, ან ვინც ელოდა, ვისაც შიოდა, წყუროდა თუ ციოდა. ისინი ცოცხლები იყვნენ, ელენე კი მოკვდა. უფრო სწორედ, უსარგებლო გახდა, როგორც მოდიდან გამოსული კრაველის ქურქი. უბრალოდ, ნაფტალინის მიყრა და ანტრესოლში შეგდება დაავიწყდათ.
ახლობლები მას ძლიერი ნებისყოფის ქალად მიიჩნებდნენ. ალბათ იმიტომ, ლოყებს რომ არ იხოკავდა... ნეტავ დაეხოკა, მოთქმით აეხადა ჭერი, შუბლით გაეჩეჩქა კუბოსფიცარი, სიტყვებში მოექცია თავს დამტყდარი უბედურება, როგორც ამას სხვა შვილმკვდარი დედები აკეთებდნენ... ის კი იჯდა, როგორც იაპონიის პრინცესა და ცრემლებს ყლაპავდა. თავშეკავება _ იაპონელების სავიზიტო ბარათოა. გენეტიკურად მოსდგამთ. იაპონელმა შეიძლება ღიმილით გაუწყოს ახლობლის გარდაცვალების ამბავი, იმიტომ კი არა, რომ უხარია, უბრალოდ გრძნობების აფიშირებას ერიდება. ქართველებს პირიქით, მოსწონთ სანახაობის მოწყობა, სხვების დასანახად ტირილი თუ სიცილი. ხალხი მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად არ დადის პანაშვიდზე, ხალხს აინტერესებს _ როგორ დასტირის დედა ერთადერთ შვილს, როგორი ფერის კაბა აცვია, წესრიგში აქვს თუ არა ვარცხნილობა, რამდენი ცხვირსახოცი გამოიცვალა... ელენემ კი სულ საათს უყურებდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გაილალებიან სამძიმარზე მოსულები, რომ მარტო დარჩენილიყო შვილის ცხედართან, მოწმეების გარეშე დაეკოცნა, მოფერებოდა. ესენი კი ძლიერ ნებისყოფაზე ყვებიან ზღაპრებს. ყავას რომ სვამდა, სიგარეტს რომ ეწეოდა (რაღა დასამალია, ჭამდა კიდეც), იმას ეძახდნენ ძლიერ ნებისყოფას. რა მნიშვნელობა აქვს ჭამა-სმას და მოწევას, თუკი სიზმარშიც სიკვდილზე ფიქრობ.

სიკვდილი კი არ მოდიოდა, ახლომახლო უტრიალებდა, ენას უყოფდა, აღიზიანებდა, გამოცდას უწყობდა. აბა, რას იზამს _ აივნიდან გადახტება თუ ყულფში შეძვრება? რამდენ ხანს შეიძლება მოგონებებით თავის გატანა? ერთი თვე, ერთი წელი, სიცოცხლის ბოლომდე? უაზრობაა. აბსურდი. ცხოვრება ან თავიდან უნდა დაიწყო, ან ბოლომდე გაუძლო. თავიდან დაწყების სურვილი ელენეს არ ჰქონდა, გაძლებით კი ჯერჯერობით უძლებდა, ყოველ შემთხვევაში, ცოცხალი ლეშის პირობაზე ცუდად არ გამოიყურებოდა.
ფიქრი გრძელმა ზარმა შეაწყვეტინა. კიდევ ერთი სტუმარი, კიდევ ერთი ყალბი ღიმილი, კიდევ ერთი უაზროდ ჩავლილი დღე.
ზღურბლზე უცნობი ორი მამაკაცი იდგა. ერთს, მაღალსა და ასაკოვანს, ხელში ფურცლების დასტა ეჭირა, ხელში კი ავტოკალამს აწვალებდა. მეორე, სათვალიანი, შედარებით ახალგაზრდა, ზღურბლზე იტკეპნებოდა. ერთნაირი ქუდები ეხურათ, ნაქსოვი, შუბლზე ჩამოეფხატული.
_ თბილგაზის სამმართველოდან გაწუხებთ. _ თავი წარუდგინა მაღალმა. _ მთვლელებზე დამღას ვამოწმებთ და...
ელენე უსიტყვოდ შეუძღვა სამზარეულოში. გამათბობელთან მიმჯდარმა კატამ კამილამ ცალი თვალი გაახილა და ზანტად გაიზმორა. მაღალმა ფურცლები და ავტოკალამი მაგიდაზე დადო და მთვლელთან ჩაიცუცქა:
_ ქვითრებიც თუ შეიძლება...
ელენე ქვითრების მოსატანად გაემართა, თან გაჰყვა სრულიად აუხსნელი დისკომფორტის შეგრძნება. რაღაც ვერ იყო ისე. ეს ორი მამაკაცი, ერთნაირი სპორტული ქუდებით...
შედგა. ავტოკალამი! ფურცლებზე იდო `პარკერის~ ფირმის ოქროსთავიანი ავტოკალამი. სად პარკერი, სად ინკასატრი?!
ელენე 180 გრადუსით შეტრიალდა და უკან წამოვიდა. გონებაში ფორმირების სტადიაში მყოფი, თუმცა იმედისმომცემი აზრი გაუკრთა: იქნებ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და ამ კაცების სახით განსაცდელი მოუვლინა? არა აქვს მნიშვნელობა ვინ არიან ისინი: ქურდები, ყაჩაღები, მანიაკები... რაც უარესი, მით უკეთესი.
მაღალს უკვე მოესწრო ავტოკალამის შენახვა, სკამზე დასკუპულყო და საერთოდ, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ის იყო ამ ოჯახის უფროსი.
_ არ ხართ თქვენ გაზის სამმართველოდან. _ თქვა ელენემ.
პასუხად მაღალმა ნაგანი დაანახა:
_ დაბრძანდის ქალბატონო... მმმ...
_ ელენე.
_ კეთილი. დაბრძანდით ქალბატონო ელენე და ყურადღებით მისმინეთ. არ გახლავართ თბილგაზიდან, სულ სხვა საქმეზე ვართ... თქვენ დაბრძანდით, დაბრძანდით...
`ესენი ქურდები არ არიან... არც მანიაკები... ~ _ ეწყინასავით ელენეს, თუმცა დაჯდა. კამილა მოშვილდული ზურგით წამოვიდა პატრონის მიმართულებით, სკამის ქვეშ შეძვრა და გამაფრთხილებლად დაიკნავლა.
_ ორიოდე შეკითხვა და თავისუფალი ბრძანდებით. _ იარაღიანმა სათვალიანს გახედა, თითქოს დასტურს ელოდა მისგან, მაგრამ სათვალიანი ვერ იყო შემტევ ხასიათზე. შეწუხებული დასცქეროდა საკუთარ ფეხსაცმელს, რომლის ხარისხი აშკარა დისონანში მოდიოდა იაფფასიან სპორტულ ქუდთან.
_ რა ვერსია აქვს გამოძიებას ბაჩას მკვლელობასთან დაკავშირებით? _ დაიწყო მაღალმა.
_ არ ვიცი. _ მშრალად უპასუხა ელენემ.
_ თოხთამიშის მახვილის შესახებ რაიმე გსმენიათ?
_ კი.
_ საიდან?

_ არ გეტყვით.
_ ბაჩას გარდა, ვინმემ იცოდა მახვილის არსებობა?
_ კი.
_ ვინ?
_ არ გეტყვით.
_ ვინ?
_ არ გეტყვით.
მაღალმა ნაგანი დაუმიზნა. ელენემ შავს ხვრელს თვალი გაუსწორა და მოულოდნელად შიშის ნაცვლად ეიფორიაში ჩავარდა. ერთი გასროლა და ყველაფერი დამთავრდება! ეს დღე, ეს ღამე, ეს გაუსაძლისი მონატრება, როცა პატარა ჩქამიც კი საყვარელი ადამიანის ხმას გაგონებს, ფანჯარის რაფაზე შესკუპული ბეღურა კი მისი სული გგონია... ერთი გასროლა, მხოლოდ ერთი! `მიდი, მიდი, გაბედე...~ დისტანციურად შეაგულიანა პარკერისკალმიანი უცნობი, მაგრამ ის არ აპირებდა ჩახმახის გამოკვრას, ყოველ შემთხვევაში, ინფორმაციის მიღებამდე.
_ ე. ი. უარზე ხარ?
ელენე თვალებით დაეთანხმა.
_ მაშინ მე გეტყვი! _ ნაგანიანი ფეხზე წამოიჭრა, უკნიდან შემოუარა ელენეს და მის პატარა, სიფრიფანა ყურთან დაიხარა: _ იმ კაცს დიმიტრი ჰქვია. გვარი, სახელი, მისამართი...
ელენეს ღიმილში შეუხტა ტუჩის კუთხე. ბაჩას სიკვდილის შემდეგ პირველად იგრძნო თავი ცოცხალ ადამიანად. არა, მეორედ. პირველად, როცა დიმიტრიმ მკვლელობის მისეული ვერსია გააცნო, მაშინ. მას მერე ელენე საათობით იჯდა ხოლმე კომპიუტერთან, უყურებდა ქალს, რომელიც მის შვილს უყვარდა, კითხულობდა მათ მიმოწერას და კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა, რომ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, მათ შორის ქალისა და მამაკაცის უსაშველო ურთიერთლტოლვა. წლები ალბათ მის უბედურებასაც გაახუნებს, დროთა განმავლობაში ცხოვრება ჩადგება კალაპოტში, მაგრამ ელენეს სწორედ ამის ეშინოდა... ამ გახუნების, შეგუების, ზეზეულად სიკვდილის...
_ გელოდები. _ ნაგანიანმა სახიფათად დაუწია ხმას.
ელენემ თავი გააქნია.
_ დაგბრიდავ, იცოდე.
_ მიდი.
_ შენ გგონია ვხუმრობ?
_ არა, არ მგონია. ჩემი შვილი ხუმრობით არ მოგიკლავს, ის მართლა მოკვდა. იქ, იმ ოთახში ესვენა... _ თავით ანიშნა ელენემ.
_ შენ იცი, ვინც ვარ?
_ კი.
_ ვინ?
_ მკველელი.
_ შენ წარმოიდგინე, მკვლელსაც აქვს სახელი და გვარი.
_ არ გეტყვი.
_ თქვი მეთქი! _ ნაგანიანი ელენეს ცეცხლისფერ თმაში წვდა და კისერი მოაღრეცინა. _ თქვი, შენი დდშც...
_ სოლო, არ გინდა! _ წამოცდა აქამდე გაჩუმებულ სათვალიანს.
_ გვარი და სამუშაო ადგილი არ დაგავიწყდეს, შენი დედამტყ... _ შეაგინა ნაგანიანმა. სათვალიანი აილეწა. ელენეს ტვინმა კი გამალებული მუშაობა განაგრძო: `სოლო, სოლო... სოლომონი... სოლომონი ჰქვია ამ ნაძირალას! დიმიტრიმ იცოდა მისი ვინაობა, იცოდა და არ უთხრა. ღირსი არაა, ჩაუშვას? მაგრამ მაშინ ცოცხალს

დატოვებენ... და ყველაფერი თავიდან დაიწყება. უძილო ღამე, უაზრო დღე, გაუსაძლისი მონატრება... არა, არა, არა!~

სოლომონად წოდებულმა ელენეს ნაგანი საფეთქელზე დაადო:

_ ერთი, ორი... სამზე გავისვრი.

_ ვერ გაისვრით, ბატონო სოლომონ, ვინ მოგცათ მაგის ვაჟკაცობა?! _ მიზანმიმართულად გაახელა ელენემ. _ ოფლის სუნი აგდით, შიშმა იცის...

_ ჩაკვდი, მე შენი მკვდარი და ცოცხალი!

_ თავი დაანებე, ხომ ხედავ, არ იცის?! _ საცოდავად ამოიხავლა ხმადაკარგულმა სათვალიანმა.

ელენემ თანაგრძნობით შეხედა. სათვალიანი იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნებოდა, ვისაც სტერსის ნიადაგზე ხმა ეკარგება. ელენე იცნობდა ერთ ასეთ კაცს _ ბაჩას მამას, რომელსაც პატარა ემოციაზეც კი ხმა ეპარებოდა.

სოლომონმა ნაგანი დაუშვა და მწყრალად გახედა სათვალიანს:

_ იცის, მაგრამ ჩვენს ნერვებზე თამაშობს. არა უშავს, იტყვის, სად წავა? შენ ამას უყარაულე, მე კი... მაიცა, იარაღის ხმარება იცი?

_ არა.

_ ჯარში მაინც არ ყოფილხარ, შე კაცო?

_ ჩემ დროს დედისერთებს ჯარში არ უშვებდნენ.

_ `არ უშვებდნენ...~ _ გამოაჯავრა სოლომონმა და ელენეს წინ დაჯდა. მაშინაც დედიკოს ბიჭი იყავი და ახლაც ასეთი ხარ! მოკლედ, ამას მე ვუყარაულებ, შენ კი რევიზია გაუკეთე მთელ სახლს. ყველაფერი დაჩხრიკე... უჯრა, კარადა, სურათები, ბლოკნოტი... არც ერთი დეტალი არ დატოვო უყურადღებოდ, სადღაც ეწერება იმ ნაბიჭვარი დიმიტრის ნომერი.

სათვალიანი უსიტყვოდ დაემორჩილა, სოლომ კი ტაქტიკა შეცვალა:

_ აქ თქვენს მოსაკლავად არ მოვსულვარ, ქალბატონი ელენე, _ დაიწყო დაშაქრულად, _ ღმერთმა დამიფაროს უდანაშაულო ადამიანი გავიმეტო. არც თქვენი შვილი მომიკლავს. მინდა იცოდეთ, რომ ბაჩას მკვლელი უკვე მიწაშია. ჩათვალეთ, მე გადავუხადე სამაგიერო. თქვენ მაგივრად, ასე ვთქვათ.

_ შემკვეთი რომ შემსრულებელს იშორებს თავიდან, ამაში საკვირველი არაფერია. _ არანაკლებ დაშაქრულად მიუგო ელენემ.

_ შემკვეთი გგონივართ?

_ დარწმუნებული ვარ. მეც რომ იმ შემსრულებლის ბედი მელის, ამაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული. რა მნიშვნელობა აქვს გეტყვით თუ არა დიმიტრის კოორდინატებს?! ზუსტად ვიცი, მაინც მომკლავთ.

სოლომ კბილები გააკრაჭუნა. ეს წითურთმიანი ალქაჯი მის პროვოცირებას ცდილობს. `ფრთხილად, სოლომონ,~ შეუძახა თავს. `ასეთი არც ტირილით შეგაცოდებს თავს, მაკასავით, არც სომნამბულად გადაიქცევა, მერიკოსავით... ასეთი პირდაპირ ხელში შემოგაკვდება, ტყვედ ჩავარდნილი ამორძალივით.~

_ მე ყველაფერზე წავალ მახვილის დასაბრუნებლად. გესმით, რა ნიშნავს `ყველაფერზე?~

_ მესმის და მჯერა. _ მშვიდად უპასუხა ელენემ.

_ შევთანხმდეთ: თუ მეტყვით დიმიტრის კოორდინატებს, მე სამუდამოდ გავქრები. პირობას გაძლევთ.

_ რა დაგიშავათ დიმიტრიმ?

_ გამქურდა.

_ თქვენ ამას გაქურდვას ეძახით? _ ცალყბად ჩაიცინა ელენემ, _ მან წაიღო ის, რაც იმთავითვე არ გეკუთვნოდათ.

სოლო ერთიანად მოიჭიმა, თითქოს ნახტომისთვის მოემზადა:

_ დიმიტრის მისამართს ადრე თუ გვიან მაინც გავიგებ, უბრალოდ, დრო არ ითმენს, ძალიან მეჩქარება. _ გამოსცრა კბილებში,

_ მე კი არსად არ მეჩქარება.

ამის თქმა და სილის გაწვნა ერთი იყო. ელენეს არც უფიქრია თავის დაცვა, სიმწრით ჩაიცინა კიდეც, რამაც უარესად გაახელა მხეცად ქცეული სოლომონი, რომელიც ერთ გასილაქებას არ დასჯერდა, მეორედაც გაარტყა, მერე მესამედ... მეოთხედ კი მოულოდნელი სურვილი იგრძნო. თანაც ერთდროულად ორი: გაუპატიურებისა და მოკვლის. მისი დასარტყმელად აღმართული მარჯვენა ელენეს კაბის ქვეშ შესრიალდა და ინტიმური ადგილებისკენ გაცოცდა.
ელენემ ფეხები შეატყუპა და ყველაზე უარესისთვის მოემზადა, მაგრამ კამილამ იყოჩაღა, ბაჩას საყვარელმა კატამ, რომელმაც არც აცია, არც აცხელა, სოლოს მაჯაზე დაახტა და ისე ძლიერად მოფხოჭნა, ვერშემდგარ მანიაკს ყმუილიღა აღმოხდა. თუმცა მალე მოეგო გონს, კატა ქეჩოთი დაითრია და მთელი ძალის კედელს მიანარცხა.
აქ კი ელენესაც აევსო მოთმინების ფიალა, გრაციოზულად მოხარა მუხლში თავისი გრძელი, ლამაზი ფეხი და მოძალადეს პირდაპირ სასირცხო ადგილას უთავაზა.
ამჯერად სოლო მარტო ყმუილით არ შემოფარგლულა, იქვე ჩაიკეცა და ტკივილისგან მოღრეცილი პირიდან ისეთები ამოუშვა, რომ ოთახების დასაზვერად გასული სათვალიანი წამში გაჩნდა სამზარეულოში.

_ არჩილ, არჩილ, აიღე ნაგანი და მიაწვინე ეს ნაბოზვარი! მიდი ნუ გეშინია! _ შეაგულიანა სოლომ.

არჩილი მიხვდა საქმის ვითარებას, მაგიდაზე დადებულ იარაღს დასწვდა და სოლოს დაუმიზნა:

_ გაეთრიე აქედან!

სოლომ იფიქრა, მომესმაო, მაგრამ იარაღის ლულა პირდაპირ მისკენ იყო მიმართული. თვალს დაეჯერებოდა.

_ ახლა მე ვითვლი სამამდე. ერთი... _ დაიწყო არჩილმა.

_ რას მიედ-მოედები, შე... შე სათვალიანო ლოკოკინა, აზრზე მოდი, ბიჭო! _ დაიღრიალა სოლომ.

_ ორი...

_ ღრძილებით დაგტოვებ თუ წამოვდექი! გადაგივლი კატოკით, შე ტრაკშუილა პროფესორო! შენც და მთელ შენს გამოსირებულ საგვარეულოს, კლიმაქსიანი დედაშენის თამადობით...

_ სამი.

_ მოგიტ...

არჩილმა გაისროლა. ტყვიამ სოლოს თავსზევით ჩაუწუილა, თმა შეუტრუსა და ზათქით შეხტა კედელში.
სოლომონმა ადგომა იკადრა. წელში მოკაკულმა ჩაუარა კატასთან ჩაცუცქულ ელენეს და გასასვლელისკენ წალასლასდა.
იარაღმომარჯვებული არჩილი უკან გაჰყვა.
_ აღარ სუნთქავს. _ კატაზე ანიშნა ელენემ, როცა სამზარეულოში შემოსული არჩილი დაინახა.
არჩილმა ქუდი მოიხადა და ელენეს გვერდით, მუხლებზე დაეშვა.
_ უნდა დავმარხო. _ უფერული ხმით განაგრძო ელენემ. _ ერთი ლამაზი თავშალი მაქვს, ბაჩამ ჩამომიტანა კიევიდან... იმაში გავახვევ და სასაფლაოზე წავიღებ. ფეხებთან დავუმარხავ ბაჩას, კამილას ისედაც უყვარდა მის ფეხებში ძილი. ორივეს უყვარდა, განსაკუთრებით ზამთარში. კამილა თბილი იყო ხოლმე, ღუმელივით... ახლაც თბილია, მაგრამ თანდათან ცივდება... საბრალო კამილა, შენ მაინც რას მერჩოდი, რატომ დამტოვე მარტო...

_ აწი აღარ იქნებით მარტო. თქვენი მტერი ჩემი მტერია. _ არჩილი ფრთხილად შეეხო მხარზე ელენეს. _ მაპატიეთ, ასე რომ გამოვიდა. ცხოვრებაში ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული, ადვილად ვექცევი ხოლმე სხვისი გავლენის ქვეშ, მაგრამ თქვენს სახლში ბედისწერამ მომიყვანა.
ელენემ გვერდულად შეხედა, ოდნავ შესამჩნევი ინტერესით.
_ მე არჩილი ვარ, ჩიქოვანი... გულბაათ ჩიქოვანის ვაჟი. მე... მე არ ვიცოდი თქვენი არსებობა... არც ის ვიცოდი, ძმა თუ მყავდა. მე არაფერი არ ვიცოდი! _ არჩილს ხმამ უმტყუნა, სასაცილოდ შეუტოკდა აწითლებული ნესტოები.
ელენე რამდენიმე წამს მონუსხულივით იჯდა. რაღაც ხდებოდა მის ორგანიზმში, თითქოს ტაიფუნი ახლოვდებოდა. ცრემლის დაპრესილი გორგალი ჯერ მუცელში ათახთახდა, თითქოს გასასვლელს ეძებდა და ვერ პოულობდა, მერე უცებ მოსწყდა, დაიძრა, იფეთქა, თვალებიდან გადმოწვიმდა...
შვილის სიკვდილის შემდეგ ელენე პირველად ატირდა მოურიდებლად. ხმამაღლა, პატარა ბავშვივით... ზლუქუნებდა და არ რცხვენოდა, დორბლი ცვიოდა და არ რცხვენოდა, ცხვირზე წკვლინტი ეკიდა და არ რცხვენოდა...
ტიროდა არჩილიც. ის დასტიროდა თავის უფერულ ბავშვობას, მოტყუებულ დედას, ორმაგი ცხოვრებით დატანჯულ მამას, უნახავ ძმას, გაქცეულ ცოლს... ის ტიროდა ყველაფერ კარგს, რაც შეიძლება ყოფილიყო მის ცხოვრებაში.

_ _ _

ვოვა აზნაურივი მესამე სოსისს ნთქავდა და მეოთხეს უმიზნებდა, როცა დერეფანში ტელეფონმა დარეკა. ცოლი ბავშვებს აძინებდა, მშობლები ტელევიზორს უყურებდნენ. ყურმილის აღებას არავინ ჩქარობდა. ვოვა დაღლილი იყო და მშიერი. ენაწყლიანი სიდედრის გამო სულ არ აპირებდა ჭამის შეწყვეტას, დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ქალბატონი სუსანა იკლებდა ტელეფონს.
დიმიტრი ძნელაძემ მთელი დღე საეჭვო ადგილებში არბენინა, გვამს ეძებდა. გვამის ხსენებაზე ვოვა კინაღამ სული განუტევა, მაგრამ დიმიტრიმ აუხსნა, ვინ შეიძლება ყოფილიყო მოკლული და ვინ მკვლელი.
ვერაფერიც ვერ იპოვეს. მაგრამ დიმიტრის ეშმაკი შეუჩნდა: გინდა თუ არა, გაწვრთნილი ძაღლი უნდა ვიშოვოო, და იშოვა კიდეც. ნაცნობ მეძაღლეს ეთხოვა. ის მეძაღლე კინაღამ თან გაჰყვა: `არ დამღუპო, დიმიტრი, შინოს არაფერი დაუშავდესო.~ შინო, მალინოას ჯიშის ძაღლს ერქვა და არც მეტი, არც ნაკლები 2 ათასი დოლარი ღირდა. ვოვამ არ დაიჯერა, მაგრამ დიმიტრიმ დაარწმუნა: ოდოროლოგიური ექსპერტიზიასთვის სუნზე დასაგეში ძაღლები 2-ჯერ მეტი ღირსო.
შინო სოლომონ დვალის სახლთან ჩამოსვეს, მისივე ჯიპის საბურავების ნაკვალევზე დაგეშეს და თბილისის მიმდებარე ტყეებს შეესივნენ.
დიმიტრის ნაღრძობი ფეხი სტკიოდა, კოჭლობით დადიოდა და დედაბერივით კვნესოდა. ვოვას შეთავაზებას ხვალისთვის გადაედოთ მომქანცველი `ექსკურსია~ კატეგორიულად უარყო: `ხვალ რომ წვიმა მოვიდეს ან ქარი ამოვარდეს სუნი გაიფანტება და ძაღლი დაიბნევაო~. დაბნეულმა ძაღლმა კი ჩიორას ნაცვლად შეიძლება გუშინ დაკლული ძროხის ძვლები ამოთხაროს, რაც არაფერიი გვზირდებაო.
ლისის ტბასთან, პატარა ტყეში შინო საეჭვოდ აწრიალდა. მისმა მგრძნობიარე ნესტოებმა ხარბად შეისრუტა ჰაერი, რის შემდეგაც წინა თათებზე დახტა და ცას შეჰყეფა.
იმ ადგილზე, სადაც ძაღლი გააქტიურდა, დიმიტრიმ ნაძვის ტოტი ჩაარჭო და წასასვლელად მოემზადა.
_ არ ამოვთხაროთ? _ ეშხში შევიდა ვოვა.

_ ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, დანარჩენს პროკურატურა მიხედავს. გინდ ამოთხარონ, გინდ დატოვონ.
ვოვამ ჭამა მოამთავრა და მუცლის ფხანით გადაწვა სკამის საზურგეზე. ცხელი ჩაი დაამშვენებდა, მაგრამ ქალები დაკავებულები არიან, მამამისს ხომ არ შეჰკადრებდა? ამასობაში, დერეფანში ისევ გამოცოცხლდა ტელეფონი.
_ დაყრუვდის ყველა? _ საძინებელი ოთახიდან ვოვას ცოლი გამოვარდა და ყურმილს ეცა. _ ალო!
_ შენ გეძახიან! _ ხმადაბლა გამოსძახა ქმარს. _ მგონი შეფია... _ დაამატა კრძალვით.
მართლა შეფი იყო, აღელვებული ხმა ჰქონდა, თითქოს ვიღაც მოსდევდა:
_ ვოვა, სასწრაფოდ უნდა წახვიდე სესილის სახლში და გაარკვიო, წაიკითხა თუ არა ჩემი წერილი.
_ გვიან როა, შეფ? _ ვოვას ცხელი ჩაი გაახსენდა.
_ ვოვა, ეს თხოვნა კი არა, ბრძანებაა! _ განრისხდა შეფი.
_ გასაგებია. ვთქვას წაიკითხა, მერე?
_ გადაეცი, რომ მაგის ნაცნობს, დიმიტრის, საფრთხე ემუქრება.
_ დიმიტრის? _ ვოვამ გადაამოწმა, ხომ არ მომესმაო.
_ ჰო, დიმიტრის. სესილმა იცის, ვინც არის.
`ბარემ მეც ვიცი,~ გაიფიქრა ვოვამ, მაგრამ სიმართლეს ხომ არ ეტყოდა:
_ რატომ ემუქრება საფრთხე? _ დაინტერესდა.
_ შენ რაც გითხარი, ის გააკეთე. _ მოუჭრა არჩილმა.
_ თქვენ რატომ არ დაურეკავთ? _ სულ გათავხედდა ვოვა.
_ ვრეკავ, მაგრამ არც სახლის ტელეფონი მპასუხობს, არც მობილური. დრო არ ისმენთ, ვოვა, ახლავე გავარდი.
ვოვამ ყურმილი დაკიდა და ქურთუკში მკლავი გაუყარა. სესილი დიმიტრისთან გადაბარგდა, მობილური ალბათ გათიშა, არ უნდა ვინმემ შეაწუხოს. შეფს რაღატომ აუწვა კუჭი? ან დიმიტრის ვინაობა საიდან გაიგო?

_ _ _

მითი მშობლების იდეალური ურთიერთობის შესახებ წამში დაინგრა, არჩილი იდგა ნანგრევებში და თავს იმ კაცივით გრძნობდა, რომელსაც ცოლი ნახევარი საუკუნის შემდეგ ღალატში გამოუტყდა.
მის სათაყვანებელ მამას ორი ოჯახი ჰყავდა, და ის, მეორე, სულაც არ იყო ნაკლებად ანგარიშგასაწევი, ვიდრე პირველი. ბატონი გულბაათი ისეთივე მონდომებით ხატავდა თავის ახალგაზრდა მუზას, როგორც თავის დროზე კანონიერ მეუღლეს. მეტიც, მინაწერი ნახატის უკანა მხარეს გაცილებით თბილი და უშუალო იყო, ვიდრე ინესას მისამართით ნათქვამი დაშტამპული ქათინაურები.
არჩილმა ბაჩას ოთახში შესვლისთანავე მიაქცია ყურადღება ზეთის საღებავით შესრულებულ ელენეს პორტრეტს. ხელწერა ეცნო, მაგრამ იმდენად იყო აღელვებული, მამამისთან არ დაუკავშირებია. მაშინ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა _ რაც შეიძლება სწრაფად ეპოვა დიმიტრის კოორდინატები.
დიმიტრის არა და უჯრაში ქექვისას მამამისის ფოტოსურათმა შემოანათა, ახალგაზრდა ქალთან და ბავშვთან ერთად. ქალი ელენე იყო, ბავშვი, სავარაუდოდ ბაჩა. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, წყვილი ბედნიერი ჩანდა. არჩილს არასოდეს უნახავს ასე გულღიად მომღიმარი მამა, ასეთი უბრალო და შინაური. ერთ სურათზე ნაბადმოსხმული იდგა, თეთრი ყაბალახითა და ხელოვნური თეთრი წვერით. უკანა ფონზე ნაძვის ხე ბრდვიალებდა. არჩილისთვის მამას არასოდეს გაუკეთებია მსგავსი სიურპრიზი. რა თქმა უნდა, ჩიქოვანების ოჯახშიც იშლებოდა საახალწლო სუფრა, მოდიოდნენ

სტუმრები, მაგრამ ბატონ გულბაათს რომ თოვლის პაპა განესახიერებინა _ გამორიცხულია! რომც გამოეთქვა სურვილი, ინესა არ დაანებებდა.

როცა პირველმა შოკმა გაუარა, არჩილმა ნახატი ჩამოხსნა, გადააბრუნა და მამის ხელწერა იცნო: `სიკვდილამდე შენი გულბაათი~. გონებაში მამამისის უკანასკნელი დღეები ამოუტივტივდა. მას შემდეგ, რაც კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, ერთი წელი იცოცხლა, აქედან ნახევარზე მეტი საავადმყოფოში გაატარა. ინესა თავზე ედგა ქმარს, ღამეებს უთევდა, კოვზით აჭმევდა, იმას კი გვერდზე სხვა ოჯახი ჰყოლია. როგორ მოახერხა დედა-შვილის ასერიგად გაცუცურაკება?

_ დარწმუნებული ვიყავი, მამა დედას აღმერთებდა. _ ელენეს გამოუტყდა არჩილი, როცა ნაშუაღამევს მის პატარა სამზარეულოში ჩაის სვამდა.

_ ასეც იყო. ძალიან უყვარდა დედაშენი. _ ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე დაეთანხმა ელენე.

_ როგორ თუ უყვარდა? თქვენ?

_ მეც ვუყვარდი, მაგრამ თავისებურად. დედაშენი მისთვის ქალურობის, დედობის, კეთილშობილების სიმბოლო იყო.

_ იქნებ სიმბოლო რომ იყო, იმიტომ ღალატობდა. ალბათ ძნელია გიყვარდეს `სიმბოლო.~

_ ძნელი რომ ყოფილიყო, მიატოვებდა და მე მომიყვანდა ცოლად. ერთი წუთით არ უფიქრია თქვენი მიტოვება. ეს იმთავითვე ვიცოდი, ამიტომ არც მქონია პრეტენზია.

_ ბაჩამ იცოდა ვინ იყო მამამისი?

_ კი. რვა წლის იყო, როცა გულბაათი გარდაიცვალა. ბოლო ერთი წელი, რაც ლოგინად ჩავარდა, აღარ გვეკონტაქტებოდა, ალბათ არ სურდა დაძაბუნებული გვენახა. სხვებისგან ვიგებდი მის ამბავს.

_ გვარი რატომ არ მისცა შვილს?

_ არ გვიმსჯელია ამ თემაზე. რომ შემოეთავაზებინა, დავთანხმდებოდი. _ ელენე იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ოდნავ გადმოიხარა. _ იცით, არჩილ, ეს ყველაფერი წვრილმანია იმ ბედნიერებასთან შედარებით, რასაც მასთან ურთიერთობა მანიჭებდა.

_ არ მესმის. მე არ მესმის ასეთი სიყვარულის, არც ასეთი ურთიერთობის... იქნებ ამიხსნათ? _ არჩილმა საგულდაგულოდ გაწმინდა სათვალის მინები, თითქოს ასე უკეთ გაიგებდა ამ უცნაური ქალის შეხედულებას.

_ არის რაღაცები, რაც ახსნას არ ექვემდებარება.

_ მე კი მგონია ყველაფრის ახსნა შეიძლება, უბრალოდ შესაფერისი სიტყვების მოძებნაა საჭირო.

_ მაშინ ამიხსენით, რატომ ვარ ცოცხალი, როცა ჩემი შვილი მიწაშია? მითხარით, რატომ არ გავგიჟდი, აივნიდან არ გადავხტი, თავი ყულფში არ გავუყარე... იქნებ ვინმემ ამიხსნას, რატომ?

არჩილმა თავი ჩაქინდრა. რა ჰქონდა სათქმელი? შვილმკვდარი დედის გამძლეობა და მოთმინების უნარი მართლაც არ ექვემდებარება ახსნას.

_ მე დღეს უნდა მოვმკვდარიყავი. _ ამოიოხრა ელენემ, _ მე დღეს უნდა მოვმკვდარიყავი იმ ადამიანის ხელით, ვინც ჩემი შვილი გაწირა. რატომ შეუშალეთ ხელი, არჩილ, რატომ?

და რადგან არჩილს არც ამ კითხვაზე ჰქონდა პასუხი, ელენემ განაგრძო:

_ ჩემი სიკვდილი კანონზომიერი იქნებოდა, როგორც მზის ჩასვლა. მე ვიქნებოდი ამ დიდი კანონზომიერების პატარა ატომი. სიცოცხლე მშვენიერია, არჩილ, მაგრამ მე მისი მშვენიერებით ტკბობა ბაჩასთან ერთად მინდოდა. ამიტომ, ამიტომ... _ ელენემ ტიკიანივით აახამხამა წამწამები, მომუჭული ხელები გულზე გადაიჯვარედინა და თქვა ის, რასაც არჩილი ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა.

_ მომკალით, არჩილ. აი, სოლომონ დვალის იარაღი, თუ არ ვცდები ნაგანია. პირობას გაძლევთ, კაციშვილი ვერ გაიგებს. როცა ყველაფერი დამთავრდება, ნივთმტკიცებას

მტკვარში გადააგდებთ, სულაც სოლომონის ეზოში! დიდი ამბავი, თუ იმ ნაძირალას თქვენი ძმის მკვლელობისთვის გაასამართლებენ. ბაჩა თქვენი ძმა იყო, არჩილ, თქვენი სისხლი და ხორცი! გულბაათის ვაჟის ხელით სიკვდილი ჩემთვისაც სასიამოვნო იქნება. განგების გამოგზავნილი მგონიხართ, იცით?... ასეა, კი, განგების გამოგზავნილი... _ ელენემ სოლოს ნაგანი არჩილს მიაჩეჩა და თვალები დახუჭა. _ მიდი, გამოჰკარი, გადამარჩინე...
არჩილი დერეფანში გავიდა და ნაგანი თავისი პალტოს ჯიბეში შეინახა.

_ _ _

გამთენიისას დიმიტრი ფეხის ტკივილმა გამოაღვიძა. შეწუხებული წამოჯდა ლოგინში, მძინარე სესილს გახედა.
სოლომონ დვალს მალე დაიჭრენენ, სესილის სიცოცხლეს საფრთხე აღარ დაემუქრება, თავისუფლად შეუძლია დაბრუნდეს თავის სახლში და ჩვეულ რეჟიმში განაგრძოს ცხოვრება.
სხვა საკითხია, უნდა თუ არა დიმიტრის, რომ სესილმა მის გარეშე განაგრძოს `ჩვეულ რეჟიმში ცხოვრება~. ნორმალური, ჯანმრთელი მამაკაცი ადრე თუ გვიან უნდა დაოჯახდეს. გარეული ნადირიც კი თავისი გენის გასავრცელებლად იღწვის. ვითომ რითია დასაწუნი არჩაბაძის ქალი? მიმზიდველია, უტვინო არ არის, კარგი ცოლი იქნება, მზრუნველი დედა... მაშ რატომ აღიზიანებს დიმიტრის ეს დემონსტრაციულად დაწყობილი ვარდისფერი ფაჩუჩები?
საძინებლიდან გამოსულმა დიმიტრიმ ფეხიდან სპირტიანი სახვევი მოიხსნა და უკმაყოფილოდ მიაჩერდა გასიებულ კოჭს. გუშინდელთან შედარებით სიწითლემ იმატა, გადატკეცილი კანი უხურდა და დახეთქვის პირას იყო. დღესვე უნდა წავიდეს ექიმთან, მახვილს თან გაიყოლებს, იქიდან კი პირდაპირ პროკურატურაში დააწვება.
მკვეთრი ზომების მიღება დიმიტრის არჩილ ჩიქოვანის შემონათვალმა გადააწყვეტინა. ვიდრე მახვილი კერძო პირის ხელშია, სოლომონ დვალი არ მოისვენებს.
მაინც რა აქვს ამ მახვილს ისეთი, რის გამოც სოლომონი მზადაა საიქიოს გაისტუმროს არაერთი ადამიანი? და საერთოდ, ღირს თუ არა ამ თემის გაპიარება? დავუშვათ, პრესკონფერენციის მოწყობა. თუკი არჩილის სახელი ამოტივტივტება, ალბათ არ ღირს. უხერხულია ჟურნალისტები მიუქსიო კაცს, რომელიც შენს უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ირიბად, მაგრამ მაინც.
მეორე მხრივ, თოხთამიშის მახვილის ისტორია დიმიტრის ჩარევის გარეშეც გახმაურდება. საზოგადოება სულმოუთქმელად ელის ჟურნალისტ ბაჩა ქორქიას მკვლელობის გახსნას. თუ არჩილს მართლა მიუძღვის ბრალი სამუზეუმო ექსპონატის გასხვისებაში, ცხადია, დაისჯება. სხვა თუ არაფერი, სოლომონი ჩაუშვებს.
დილის ცხრა საათზე სამზარეულოში ნამძინარევი სესილი შემოვიდა:
_ არაყის სუნია. _ აღნიშნა ცხვირშეჭმუხნილმა.
_ კომპრესი გამოვიცვალე.
_ რატომ არ გამაღვიძე?
_ ადრე ავდექი, ტკივილმა არ მომასვენა და...
_ მოკლედ ასე, ჩაის ვსვამთ და ექიმთან მივდივართ. _ წამში გამოფხიზლდა სესილი. _ ნაღრძობ ფეხს ნუ ეხუმრები, შეიძლება თაბაშირის დადება დაგჭირდეს.
_ უკვე დავრეკე ნაცნობ ტრამვატოლოგთან, ერთ საათში მელოდება.
_ ძალიან კარგი, ვისაუზმოთ და წავიდეთ.
_ შენი წაყოლა არ მინდა, საავადმყოფოდან პირდაპირ პროკურატურაში დავაწვები, იქიდან _ სამსახურში.
_ არ მითხრა, რომ მახვილიანად მიდიხარ თუნდაც ნაცნობ ტრამვატოლოგთან. თუ მანქანაში აპირებ უნიკალური ექსპონატის დატოვებას?

_ ჰო, მანქანაში ალბათ არ ღირს. _ დაეთანხმა დიმიტრი. _ მაშინ ასე გავაკეთებ: ექიმიდან აქ გამოვივლი, მოგისიგნალებ, შენ კი მახვილი ჩამომიტანე. კარგი?
_ რატომ არ გინდა წამოგყვე?
დიმიტრიმ არაფერი უპასუხა. ნაცნობი ტრამვატოლოგი ეკას ძმა იყო. არ არის ლამაზი ყოფილმა ცოლისძმამ ქალის გარემოცვაში ნახოს. მართალია, ეკას სიკვდილიდან რვა წელი გავიდა, მაგრამ ძმისთვის დღესაც მტკივნეული იქნებოდა დიმიტრის გვერდით სხვა ქალის ხილვა.
როგორც იქნა, დიმიტრიმ ავტოფარეხში შეაღწია, მანქანის კარი გამოაღო და კვნესით ჩაჯდა სავარძელში. ის იყო, მტკივანი ფეხი პედალზე შემოდო, რომ ავტოფარეხში მამაკაცის სილუეტი დაილანდა. დიმიტრიმ თავის აწევაც ვერ მოასწრო, რომ სახეში რაღაც მძაფრსუნიანი სითხე ეკვეთა და გონება დააკარგვინა.

_ _ _

_ რა ხდება შენ თავს? სად იყავი მთელი ღამე? ვისია ეს იარაღი? _ ინესა პირველად ხედავდა შვილს ასეთ დათრგუნულ მდგომარეობაში.
_ სამსახურში შემაგვიანდა. _ უგულოდ პასუხობდა ტახტზე გაუხდელად წამოწოლილი არჩილი.
_ ტყუილი არასოდეს გეხერხებოდა.
_ დედა, დავიღალე...
_ ვისია იარაღი, არ მეტყვი? _ არ ცხრებოდა აღელვებული მშობელი.
_ ახლობელმა დამიტოვა. საკუჭნაოში შეინახე, ნაძვის ხის ყუთში. ხვალ მივხედავ. გთხოვ...
_ კეთილი, როცა საჭიროდ ჩათვლი, მაშინ მომიყევი. ოღონდ სიმართლე! საკენკი, განქსტერი `ახლობლის~ შესახებ ჩიტებს დაუყარე.
გავიდა ერთი საათი, ორი. არჩილი არც ჭამდა, არც სვამდა, არც კონტაქტში შემოდიოდა.
_ გინდა ექიმს გამოვიძახებ? _ ვერ მოითმინა ინესამ.
_ არა.
_ კატაბალახას ნაყენი?
_ არა.
_ მე ვიცი, რაც მოგიხდება: მიწის თხილი. ნერვებს ხომ აწყნარებს, ამასთანავე Б ვიტამინს შეიცავს, ცილას, მინერალებს...
_ დედა, ელენე ქორქიას სახელი და გვარი რამეს გეუბნება? _ მოულოდნელად ჰკითხა არჩილმა.
ინესას სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. დაძაბული მიაჩერდა შვილს:
_ რა უნდოდა?
_ იცი, ვინც არის? _ კითხვა შეაგება არჩილმა.
_ მე შენ გეკითხები, რა საქმე ჰქონდა იმ უსირცხვილო ქალს შენთან? ააა, გაიგო, პარლამენტარი რომ გახდა გულბაათის უფროსი ვაჟი და თხოვნით მოგადგა ხომ?
_ გულბაათის ერთადერთი ვაჟი. _ თავისთვის ჩაილაპარაკა არჩილმა.
_ მაგით რისი თქმა გინდა?
_ ბაჩა, მამაჩემის უმცროსი ვაჟი მოკლეს. ის ჩემს აღმოჩენას შეეწირა.
_ რა `აღმოჩენას~, რა მიედებ-მოედები, არჩილ?
_ ძალიან უბედური ვარ, დედა.
ინესა შვილს შეთხელებულ თმაზე მიეფერა. არჩილს ცრემლი მოაწვა. სიამოვნებით ამოიღრიალებდა მთელ გუშინდელ დღეს. დანარჩენებსაც ზედ მიაყოლებდა. დესერტად.

_ მომიყევი, ყველაფერი მომიყევი, შვილო... _ რბილად თხოვა ინესამ. _ ნუ ჩამაყოლებ საფლავში გაურკვევლობის განცდას. თავის მოტყუებასაც აქვს საზღვარი.
_ კარგი. _ არჩილს სახეზე აღსარებაზე მისული მრევლის მზადყოფნა დაეწერა.
_ არც ვიცი საიდან დავიწყო...
_ იარაღის პატრონიდან. _ მიეხმარა ინესა.
არჩილმა ყველაფერი უამბო _ სოლოზე, მახვილზე, გარიგებაზე, სესილზე, მამამისის ყოფილ საყვარელთან ვიზიტის ნამდვილ მიზეზზე, არც ელენეს უცნაური თხოვნა გამოჩენია.

ინესა გაუნძრევლად უსმენდა. არც კითხვა დაუსვამს, არც სინანული გამოუთქვამს, მხოლოდ თვალები ჩაუმუქდა და რაღაცნაირად თითქოს გაქვავდა. მერე ადგა, თავაწეულმა გადჭრა ოთახი და საძინებელში შეიკეტა.
არჩილს დედის რეაქცია კიდეც გაუკვირდა, კიდეც გაუხარდა. არ იყო საქმის გარჩევის ხასიათზე. ვერც გაიგო, როგორ დაეხუჭა თვალები.
ვიღაცამ მზრუნველად მოაფარა პლედი. `მადლობ, დედი...~ ძილბურანიდან გაეპასუხა არჩილი.
ინესამ ვერ გაიგო შვილის მადლიერი ბუტბუტი. საკიდიდან ბუკლეს შავი ლაბადა ჩამოხსნა, შლიაპა დაიხურა და სახლიდან გავიდა.
არჩილ ჩიქოვანი ძილის მესამე ფაზაში შედიოდა, როცა დედამისი ტაქსს აჩერებდა. ელეგანტურ ჩანთაში აგნესას სოლომონ დვალის `ტაურუსის~ ნაგანი ედო. რამდენიმე წუთში ეს ნაგანი გაისვრის, მაგრამ ამაზე მერე...

_ _ _

სესილმა მტვერსასრუტით ხელში ჩაიქროლა სარკის წინ, მერე ისევ უკან ჩამოიქროლა. შედგა. მოეწონა საკუთარი თავი დიასახლისის ამპლუაში. ასეთი ენთუზიაზმით არასოდეს დაულაგებია სხვისი სახლი.
სხვისი?
რატომ არის დიმიტრი `სხვა?~ ის არის კაცი, რომელიც სესილს უყვარს. ორი მოყვარული ადამიანის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ჩვეულებრივი ამბავია. ერთი პატარა დეტალის გათვალისწინებით _ პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადადგას. სესილი ხომ არ შესთავზებს: ცოლად შემირთეო. არა, თუ დიმიტრიმ გააჭიანურა, არც ამაზე დაიხევს უკან. ქალმა შვილი ოცდაათ წლამდე უნდა გააჩინოს. სესილს კი ძალიან უნდოდა შვილი. ბავშვმა სამუდამოდ უნდა განდევნოს მისი ქვეცნობიერიდან წარსულში ჩადენილი ცოდვის გამოძახილი.

ზარის ხმამ ოცნების კოშკებს ქონგურები მოუშალა, სესილი საკუთარ გამოსახულებას დაეჭყანა და კარის გასაღებად გაიქცა.

ზღურბლზე იდგა მონუმენტური აღნაგობის ქალი კვასკვასა წითელი ქოშებით. სესილის დანახვაზე შეცბა და კარი შეამოწმა _ სართული ხომ არ შემეშალაო:

_ დიმიტრი მინდოდა, გენაცვალე... _ მოუქცია გურულად. _ მე დოდო ვარ, ზედა სართულიდან.

_ დიმიტრი არ გახლავს შინ.

_ როდის იქნება?

_ წუთი წუთზე ველოდები. _ პასუხს არ დაზარდა სესილი.

_ ბარემ მეც დაველოდები, _ ქალმა თავპატიჟის გარეშე შემობიჯა ბინაში.

სესილი გაკვირვებული შეჰყვა. შუა ოთახში გახირული მტვერსასრუტი კუთხეში მიაყენა, ტახტზე თავდაყირა მდგარი სკამებიდან ერთ-ერთი ჩამოიღო და მეზობელს დაუდგა.

_ რაფერ მიხარია, დიმიტრის სახლს რო დალაგებულს ვხედავ, _ დოდო სკამს მოერგო, თან შემფასებლური მზერა სესილზე გაასრიალა.

დიმიტრის უკეთესი ეკუთვნოდა, იყო პირველი შთაბეჭდილება. რას წარმოადგენს ეს გაჩხინკული გოგო დოდოს შეგულებულ სტომატოლოგთან შედარების? ციყვი და ჯეირანი. რას გაუგებ ამ კაცებს? ვინც პირველი ჩაუხტება ლოგინში, იმის მზეს ფიცულობენ.

_ ყავას ხომ ინებებთ, ქალბატონო დოდო?

სესილს თავისი მერკანტილური გეგმები გაუჩნდა დოდოსთან მიმართებაში. ვინ-ვინ და მეზობელმა უნდა იცოდეს, რით სუნთქავს ბერბიჭა მეზობელი. დიმიტრი არასდროს ყვებოდა წარსულზე და გაურბოდა ლაპარაკს მომავალზე.

_ უიმე, როგორ შეგაწუხოთ?! _ გაიპრანჭა დოდო.

_ რა შეწუხებაა, ჯერ მეც არ დამილევია. ხსნადს ინებებთ სუ თურქულს?

_ სულერთია, შვილო, რაფერც შენ გაგიხარდება.

`ზრდილობას ვერ დაუწუნებ.~ გულში აღნიშნა დოდომ.

`დიდი შებერტყილი ვინმე ჩანხარ~ შეჰღიმილა სესილმა და სამზარეულოში გაქანდა. დოდოც შეჰყვა.

_ დიმიტრი საფრანგეთში გამგზავრებამდეც აქ ცხოვრობდა? _ რაც შეიძლება მიამიტად იკითხა სესილმა.

მეტი არც არაფერი უკითხავს. ენაწყლიანმა ქალბატონმა ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ჩამოუკაკლა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები დიმიტრი ძნელაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ცოლის ტრაგიკული სიკვდილით დაწყებული, ცნობილი ტელეწამყვანის პირდაპირ ეთერში მკვლელობით დამთავრებული (იხ. ბედნიერი ოჯახის საიდუმლო).

_ ისიც ჟურნალისტი იყო? _ წამოსცდა სესილმა.

_ რატომ `ც~? კიდო ვინ იყო ჟურნალისტი?

სესილმა ენას კბილი დააჭირა. ძიების დასრულებამდე სასტიკად ეკრძალებოდა მკვლელობის შესახებ სიტყვის დაძვრა. მით უფრო, ჭორიკანა მეზობელთან:

_ ისა... დიმიტრი ვიგულისხმე, ქალბატონო დოდო. იცით, რა მაინტერესებს...

სესილს არ დასცალდა კითხვის დასმა. კარზე ზარი დაირეკა.

_ დიმიტრი იქნება. _ საქმის კურსში ჩააყენა დოდო და უკმაყოფილოდ გაემართა კარის გასაღებად.

კიდევ უნდოდა რაღაცების გარკვევა, მაგრამ მთავარი ფიგურანტის გარეშე, ცხადია. დეტალის ცოდნა სტრატეგიის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა. რას იზამ? კიდევ ერთხელ მოუწევს დოდოს ყავაზე დაპატიჟება, თუ იქამდე საკუთარ სახლზე არ მიუთითეს.

ზღურბლზე ფეხმძიმე ქალიშვილი იდგა. ძალიან სიმპათიური.

_ უკაცრავად, დიმიტრი მინდოდა... _ წარმოთქვა ბორძიკით. აშკარად ძალიან ნერვიულობდა.

_ დიმიტრი არ გახლავს შინ. _ უპასუხა სესილმა და თვალი მის გაბზეკილ მუცელზე შეაჩერა.

_ თქვენ... თქვენ მეუღლე ბრძანდებით?

_ ჯერჯერობით, არა. _ სესილმა ორაზროვანი ღიმილი შეაგება.

ქალიშვილს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, უცებ მოწყდა ადგილს და კიბის მარშში გაუჩინარდა.

_ რა გადავცე? _ მიადევნა სესილმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

დოდო აივანზე დახვდა, გაფაციცებული იყურებოდა ქვევით:

_ აგერ ნახე, ეს გოგო იმ გაზიზინებულ `მერსედესში~ თუ არ ჩასკუპდა! _ ნიშნის მოგებით აუწყა სესილს.

ეზოში მართლაც იდგა ორკარიანი სპორტული `მერსედესი~. დოდოს პროგნოზი გამართლდა. სადარბაზოდან გამოსული ქალიშვილი `მერსედესის~ საჭეს მიუჯდა და საბურავების ჭრიალით მოსწყდა ადგილს.

_ ა, ხო გითხარი?! _ საზეიმოდ შესძახა დოდომ.
აი, სესილმა კი მოიწყინა:
_ იცნობთ ამ გოგოს? _ ჰკითხა მეზობელს და ნირწამხდარი შებრუნდა ბინაში.
_ ამ გაზაფხულზე მოაკითხა, ამ მანქანით... _ ქოთქოთით შემოჰყვა დოდო.
_ ვინ არის?
_ მაგი მეც მაინტერესებს, გენაცვალე, მაგრამ დიმიტრის სიტყვას ვერ ამოაგლეჯ პირიდან. დიდი გულჩახვეული ვინმე ჩანს ჩვენი ბიჭი.
_ `ჩემი~ არ არის...
დოდომ გამომცდელად შეხედა და ახალი რაუნდისთვის მოემზადა, მაგრამ სესილმა დაკარგა ჭორაობის ხალისი. თვალწინ ედგა ფეხმძიმე ქალიშვილის დამფრთხალი თვალები და გაბზეკილი მუცელი.
ვის ეკუთვნის დიმიტრის გული: გარდაცვლილ ცოლს, უცნობ ქალიშვილს თუ მას, სესილს?
_ ვოვა ხომ არ გამოხენილა, ის ჩუმჩუმელა სომეხი? _ სხვა თემაზე გადაერთო დოდო.
_ ვოვა? _ სესილმა ყურები ცქვიტა. სად დოდო, სად არჩილის მძღოლი?
_ არ იცნობ, ხომ? _ გული დასწყდა დოდოს. _ თუმცა საიდან გეცოდინება...
_ თქვენ წარმოიდგინეთ, ვიცნობ. დიმიტრისთან იყო მოსული. _ ბობოლა ტყუილი გამოაცხო სესილმა.
_ ყური ხომ არ მოგიკრავს, რაზე ლაპარაკობდნენ?
_ არა. ვინ არის ეს ვოვა?
_ მაგის სიდედრი ჩემი მეზობელია. მე გავაცანი ვოვა დიმიტრის, მაგრამ რად გინდა? ახლოს არ მიმიკარა მაგ შეჩვენებლმა! საიდუმლო საქმეაო, დეიჩემა და მორჩა. დავიწვი, გოგო ინტერესით, რა საიდუმლო საქმე უნდა ჰქონდეს შოფერ კაცს ჟურნალისტთან?
დოდო მართალია, გაიფიქრა სესილმა. რა საიდუმლო საქმე უნდა ჰქონდეს შოფერ კაცს ჟურნალისტთან? ვოვა არჩილის მძღოლია, სესილი _ არჩილის ყოფილი ცოლი, ჟურნალისტი ბაჩა ქორქია მახვილის გამო მოკლეს, ისტორია თოხთამიშის მახვილზე სოლომონ დვალს არჩილმა მიაწოდა. რა შუაშია ამ ყველაფერთან დიმიტრი? იქნებ... იქნებ დიმიტრის სანაპიროზე გამოცხადება სულაც არ იყო შემთხვევითი? მას რატომღაც დასჭირდა სესილი და ნდობის მოსაპოვებლად გაცნობის ასეთ ხერხს მიმართა. ასეა, კი... დიმიტრის სესილის ხელთ არსებული ინფორმაცია აიტერესებდა და არა თავად სესილი! რა გულუბრყვილობაა სესილის მხრივ და რა ანგარება დიმიტრის მხრივ.
_ წავალ აწი. _ როგორც იქნა, მოიფიქრა დოდომ.
სესილმა დიდი სიამოვნებით გააცილა ენაწყლიანი მეზობელი და ტელეფონს ეცა. დიმიტრის მობილური გასული იყო მომსახურების ზონიდან. ამდენი ხანი გავიდა. წესით, ექიმთან ვიზიტიც უნდა მოეწრო და მახვილის წაღებაც პროკურატურაში. რაღაც ვერ არის ისე...
სესილი განგაშმა შეიპყრო და როცა მოუსვენრობამ პიკს მიაღწია, არჩილთან დარეკა:
_ არჩილ, უსიკვდილოდ მჭირდება შენი თავი. დიმიტრის თავს რაღაც უბედურებაა... მისამართი ჩაიწერე...

_ _ _

დიმიტრიმ დაბუჟებული თითები აამოძრავა და მიხვდა: საშინლად მოუხერხებელ პოზაში წევს ტყავის დივანზე, ახლომახლო კი ვიღაც სიგარეტს ეწევა.
საინტერესოა, ვინ?
თვალი გაახილა. ოთახში იყო. თავთით მყუდროდ ენთო ნარინჯისფერი ბრა, სიგარეტს კი ფანჯარასთან მდგარი სოლომონ დვალი ეწეოდა:

_ გეყოფა კოტრიალი, დროზე გამოფხიზლდი და მომახსენე: ვინ ხარ და სად გადამალე ჩემი მახვილი? _ ესროლა შორიდანვე.

_ წყალი. _ დაიკვნესა დიმიტრიმ და წამოდგომა სცადა, მაგრამ უსაშველოდ დამძიმებულმა თავმა ისევ ბალიშს მიაჯაჭვა.

_ წყალს მაშინ მიიღებ, როცა სიმართლეს მეტყვი.

_ მახვილი პროკურატურაშია. `ახლა კი დროა სოლომონ რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა...~

_ ჰმ, იუმორი გაწუხებს?

_ არა, წყურვილი.

_ როგორ გამოხვედი ჩემზე? _ სოლო თავზე დაადგა და მრისხანედ გადმოხედა ზევიდან.

_ რაში გაინტერესებს?

_ თუ იმ ტრაკშუილა პროფესორის ჩაშვებული ვარ, ცოცხლად გავატყავებ, ძვლებს კი კლიმაქსიან პინგვინს მივუგდებ.

_ არჩილ ჩიქოვანს გულისხმობ?

სოლომ მძიმედ დაუკრა თავი.

_ კლიმაქსიანი პიგვინი ვიღაა?

_ დედამისი.

_ მინდა გითხრა, საერთოდ არ ვიცნობ იმ არჩილს.

_ მის ცოლს ხომ იცნობ? _ ბოროტად ჩაიცინა სოლომონმა და სახე ახლოს მიუტანა.

დიმიტრი სულ ახლოს ხედავდა მის ასიმეტრიულ წარბებს, ფერმკრთალი ტუჩების სწორხაზოვან კუთხეებს, შეშლილობის ზღვარზე მოცახცახე თვალის კაკლებს.

_ ყოფილ ცოლს. _ უპასუხა გაჭირვებით, რადგან ნაღრძობმა ფეხმა ახალი ძალით შემოუტია, თითქოს თავის ტკივილი არ ეყოფოდა.

_ `ყოფილია~ თუ რაც არის, დაეყენებინა ერთი ადგილი. რას შეყარა ქვეყანა?

_ ქვეყანა შენ და შენმა ამფსონებმა შეყარეთ. სესილი თავისთვის იყო, არავის ჩაშვებას არ აპირებდა.

_ სად არის მახვილი? _ მკაცრად მოუჭრა სოლომონმა.

_ პრო-კუ-რა-ტუ-რა-ში.

_ მერე, სად არის შენი პროკურატურა, რატომ არ მომაკითხეს?

_ მოგაკითხავენ. _ `დაამშვიდა~ დიმიტრიმ და გამომშრალი ტუჩები აილოკა. _ კაცი არა ხარ, წყალი დამალევინე, რა... ენას ვერ ვაბრუნებ პირში.

_ ჯერ სადა ხარ? მეგ ენით რომ დაგკიდებ კარნიზზე, ვნახოთ როგორ აჭიკჭიკდები! მე არსად მეჩქარება, იმედია, არც შენი ძებნით მოიკლავს ვინმე თავს.

`ეგებ მოიკლას კიდეც,~ დიმიტრიმ მობილურს ჩაფრენილი სესილი წარმოიდგინა და სევდა შემოაწვა.

_ შენ ადგილზე ავჩქარდებოდი, _ უთხრა ხმამაღლა. _ პროკურატურამ არა მხოლოდ შენი ვინაობა, ჩიორას გვამის ადგილმდებარეობაც იცის.

_ რა გვამი, რას მიედ-მოედები, მე არავინ მომიკლავს! _ გადაირია სოლომონი.

_ მოგიკლავს, მოგიკლავს... _ მშვიდად მიუგო დიმიტრიმ. _ მოგიკლავს კიდეც და კარგადაც დაგიფლავს. თუ გინდა ადგილსაც გეტყვი, თუმცა რაღა აზრი აქვს?... ექსჰუმაცია გაკეთებული ექნებათ...

_ ტყუი! _ იყვირა სოლომ და დიმიტრის ყელში წვდა.

დიმიტრი არ ელოდა მოულოდნელ თავდასხმას, წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ წამლით გაბრუებულმა და ტკივილით დასუსტებულმა ორგანიზმმა დააღალატა. სოლომონი არ ხუმრობდა, რეალურად ახრჩობდა, თანაც დიდი სიამოვნებით. სულ ცოტაც, და დიმიტრის ჰაერი არ ეყოფა, თვალები გადმოეკარკლება, ენა გადმოუცურდება, სიკვდილისწინა კონვულსიებში ახროტინდება...

კოშმარული კადრების წარმოდგენაზე დიმიტრიმ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ნაღრძობი ფეხით მოძალადეს ეკვეთა. სოლომონ დვალის ინტიმური ადგილები უკვე მეორედ აღმოჩნდა საფრთხის წინაშე. რა თავში იხლის თოხთამიშის მახვილს, თუკი საკუთარი `მახვილი~ დარჩება ოხრად?!
_ მოგლავ, შენი... _ იღრიალა ბოლო ხმაზე და ასმარტალებულ მსხვერპლს ყელზე თითები მოუჭირა.
დიმიტრის არ დაუნახავს მამის ზურგსუკან აღმოცენებული მერიკო, არც ის დაუნახავს, როგორ დაეშვა სოლოს კეფაზე ხორცის საკეპი ჩაქუჩი...
ეს ყველაფერი დიმიტრიმ მერეღა გაიაზრა, როცა იატაკზე გაშხლართული, თავგაჩეჩქვილი სოლო დაინახა. მაგრამ ამაზე მეტად მერიკოს გამომეტყველებამ დაზაფრა. შვილს, რომელმაც წამის წინ მშობელ მამას თავი გაუტეხა, არ შეიძლება ჰქონდეს ასეთი გულგრილი სახე.
_ ეს რა ჩაიდინე, მერიკო?
_ ამან ჩიორა მოკლა. _ იყო პასუხი.

ფმფფფეპილოგიდბ

მეორე დღეს მთელი თბილისი ლაპარაკობდა ჟურნალისტ ბაჩა ქორქიას დედის, ელენე ქორქიას საზარელ მკვლელობაზე. ვიღაცამ თქვა, გამწარებული დედის მადლი მოისხესო, ვიღაც პოლიტიკურ სარჩულზე ალაპარაკდა.
სიმართლე მაშინ გაირკვა, როცა დადგინდა მკვლელობის იარაღის (`ტაურუსის~ ნაგანი) მფლობელს ვინაობა. ის ეკუთვნოდა ავთანდილ გაბედავას (მეტსახელად ჩიორა) მკვლელობაში ეჭვმიტანილ სოლომონ დვალს. ეჭვმიტანილმა დვალმა ვერც უარყო და ვერც დაადასტურა ჩადენილი დანაშაული, იმ უბრალო მიზეზით, რომ მძიმედ დაჭრილი იწვა ციხის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში.
ვერ მოხერხდა მერიკო დვალის დაკითხვაც. ქალიშვილი მკურნალობის კურსს გადიოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. დიაგნოზი: შოკით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობა.

სესილილ არჩაბაძისა და დიმიტრი ძნელაძის ერთობლივი თანაცხოვრება ვერ შედგა. დიმიტრის რეაქციამ ფეხმძიმე ქალიშვილის გამოჩენაზე სესილი იმდენად დაზაფრა, რომ გაცლა ამჯობინა.

არჩილ ჩიქოვანი დეპუტატის მანდატს დაემშვიდობა და თავის პროფესიას დაუბრუნდება, თოხთამიშის მახვილი კი სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდეგ სახელმწოფო მუზეუმს გადაეცა.

ქალბატონი ინესა ჩიქოვანი ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს. არჩილს არასოდეს უკითხავს მისთვის, რა გზის გაჩნდა მოკლული ელენე ქორქიას ბინაში სოლომონ დვალის `ტაურუსის~ ნაგანი.

ვოვა აზნაუროვი დიმიტრის რეკომენდაციით ტელეკომპანია `ტვ-21~ -ში მძღოლად მოეწყო. ახალი სამსახურით უზომოდ კმაყოფილია. ხუმრობა საქმეა, ყოველდღე ცნობილი ჟურნალისტების ნახვის ბედნიერება გქონდეს და მერე უბანში იტრაბახო?!

სესილი ისევ თავის სტიქიაშია: ორიგინალური ფესვების ძებნაში ახლომახლო ტყეებს დახეტიალობს. ამასწინათ, მოწვევა მოუვიდა ჰოლანდიიდან, საერთაშორისო ფესტივალზე: `ბუნება ხელოვნების სამსახურში~. არჩილმა მეგზურად გაყოლის სურვილი გამოთქვა. სესილმა მოსაფიქრებული დრო ითხოვა. აკვიატებული შიშები ბავშვის ტირილთან დაკავშირებით წარსულს ჩაბარდა, სამაგიეროდ მეორე უცნაურობა დასჩემდა _ ქუჩაში ყოფნისას ხშირ-ხშირად იცქირება უკან. რატომღაც ეჩვენება, რომ სპორტული აღნაგობის თაფლისფერთვალება მამაკაცი მოსდევს და ვერ ეწევა. შედგება, გაიხედავს, არავინაა. სესილი ტრიალდება და გზას განაგრძობს.

გზა გრძელია და მოლოდინით სავსე, ვინ იცის, რა სიურპრიზებს უმზადებს?...

2004 წელი. დასასრული